# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 3 თებერვალი 2000 №18 (1040) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

3

## (სე)ლექცია

საფეხბურთო კვანძი დიდუბის სადგურში გაიხსნა

5

## სერია A-ს შეწყვეტა ემუქრება

იტალიელი ფანების რასიზმზე ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწენიც მსჯელობენ

5

## ვიალი ისევ ფეხბურთელია



ვეტერანმა იტალიელმა „ჩელსის“ ოფიციალურ ოქმში თავისი გვარი შეიტანა

11

## ახალი ერა: ექვსი ერი

მოდი ვნახოთ: შოტლანდია, იტალია...

14

## ვინ ითამაშებს ოლ სტარს

აღმოსავლეთს ნიუიორკელი ჯეფ ვან განდი გაწვრთნის, დასავლეთს კი ლეიკერსელი ფილ ჯექსონი

# 441

# საქართველომ მოგება, ქეცბაიამ კი ახალგაზრდობა გაიხსენა

ლარნაკა
2 თებერვალი
16.30 საათი
ანდონის პაპადოპულოსი
400 (ტევადობა 11 000)

**სლოვაკეთი 0:2 საქართველო**

0:1 ქეცბაია (83), 0:2 ყაველაშვილი (86)
**სლოვაკეთი** (ახალგაზრდული): ჩონტოფალსკი, ჩიშოვსკი, ლერანტი, ჰლინკა, კრშკო, შუპკა (კლიმპლი 60), პეტრაში (პორაზიკი 80), ცინეგე, ბარჩიკი (მინტალი 80), ს. ნემეტი (ლ. მესაროში 60), მ. ვისკოჩი (ბაბნიჩი 60)
**საქართველო**: გვარამაძე, შეყილაძე (ხიზანიშვილი 29), ნემსაძე, სილაგაძე, ჩიხრაძე, კვარაცხელია (სიჭინავა 38), ქეცბაია, ჯამარაული, ყაველაშვილი (ქემოკლიძე 89), ა. არველაძე, ზ. ჯანაშია (მენთეშაშვილი 55)
**გაფრთხილება**: ჩიხრაძე, ლერანტი
**მსაჯები**: თეოდოტუ, მავრისი, სტავრუ (ყველა კვიპროსი)

ქობა ინასარიძე

*სლოვაკურ საინფორმაციო სააგენტო „სიტაზე“ დაყრდნობით*

**როგორც** იქნა — საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა. გუშინ კვიპროსზე, ლარნაკას „პაპადოპულოსის“ სტადიონზე ჩვენებურებმა 441 (1998 წლის 18 ნოემბერს. 3:1 ესტონეთთან) დღის შემდეგ გაიხარეს, სლოვაკეთის ახალგაზრდული გუნდი დაამარცხეს. მწვრთნელთა ტანდემმა დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა.

„პაპადოპულოსზე“ შეკრებილი 400 მაყურებლის თვალწინ სლოვაკებს მატჩის მიწურულს ჯერ თემურ ქეცბაიამ გაუტანა, სამი წუთის შემდეგ კი მისივე ხელშეწყობით მიხეილ ყაველაშვილმა შეაგდო. სხვათა შორის, ამ სტადიონზე ქეცბაიას ფამაგუსტას „ანორთოსისში“ თამაშისას ადრეც არაერთხელ უსახელებია თავი.

თამაშის პირველი მესამედი ორმხრივ შეტევებში გაილია. ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხან გვარამაძე და ჩონტოფალსკი ყოჩაღობდნენ. შესვენებამდე სლოვაკები ჩვენებურებზე ხშირადაც აწუხებდნენ მეკარეს.

პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს. დაახლოებით ოცი მეტრიდან ნემეტმა დაურტყა გვარამაძეს, ბურთი კარს ასცდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ბარჩიკს აჯობა ქართველმა მეკარემ. მასთან თითქმის პირისპირ გასულ თავდამსხმელს არ გაატანინა. მერე თამაში გათანაბრდა. ჩვენებურებიც უფრო თავდაჯერებით ათამაშდნენ, თუმცა ისეთი არაფერი შეუქმნიათ, ნემეტსა და ბარჩიკის მომენტებს გასტოლებოდა.

შესვენების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა ტემპს უმატეს, მეტოქესაც უფრო მწვავედ უტევდნენ. საქართველოს ნაკრებს გოლის გატანა უფრო ადრეც შეეძლო, მაგრამ ქეცბაიასთან ერთად ყველაზე აქტიურ არჩილ არველაძეს დარტყმა გაუცუდდა. ეს 75-ე წუთზე მოხდა. რვა წუთში კი სლოვაკთა შეტევა ხიზანიშვილმა ჩაშალა, ბურთი ყაველაშვილს გადააწოდა, მან ჯამარაულს, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე ორი მეტოქე გააპამპულა და პენალტის ნიშნულთან ქეცბაიას დაუგორა, მისი დარტყმაც უნაკლო იყო.

ცენტრიდან განაახლეს თუ არა სლოვაკებმა თამაში, შეცვლაზე შესულ ბაბნიჩს მიეცა გოლის გატანის ჩინებული შანსი. ჩვენები გადარჩნენ და ორიოდ წუთში არველაძის წამოწყებული კომბინაცია ქეცბაია-ყაველაშვილმა გააგრძელეს, ჩონტოფალსკის წინ ორნი დარჩნენ და ანგარიშიც გაორდა.

ქართველებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში და ხვალ ისევ ლარნაკაში რუმინელებს ეთამაშებიან.

ეს ტურნირი ორი წლის წინანდელი მალტის ტურნირის მერე, საქართველომ რომ მოიგო, პირველია და ღმერთმა ქნას, ჩვენებს აქაც გაემარჯვოთ.



THE PEOPLE

მალტის ტურნირიც ასე იწყებოდა: ჯამარაულს, ქეცბაიას და ყაველაშვილს უხარიათ

## მატჩის შემდეგ

*დუშან რადოლსკი, სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი:*

— აშკარა იყო, პირველ ტაიმში ვაჯობეთ ქართველებს. ჩვენ საკმარისად გვქონდა საგოლე მომენტები და ერთი მაინც რომ გამოგვეყენებინა, ვინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა. სამწუხაროდ, ვერ გავიტანეთ და აქეთ გავუშვით. ვეცდებით მომავალ შებში ის შეცდომები აღარ გავიმეოროთ, დღეს რომ წაგვაგებინა.

*დავით ყიფიანი, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი:*

— შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშით — არა. თუმცა მეტსაც არ ველოდით, ბიჭებს დიდი ხანია, ერთად არ უთამაშიათ, თანაც დღეს რამდენიმე ახალგაზრდა პირველად ვათამაშეთ ეროვნულ გუნდში. კვიპროსის ტურნირი ჩვენთვის პირველი მოსამზადებელი ეტაპია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე. ფეხბურთელებიდან ვერავის გამოვყოფ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ჯანაშიას სასურველ კონდიციამდე ცოტა კიდევ უკლია.

## კვიპროსის ტურნირი

**რუმინეთი 2:0 ლატვია**

1:0 როსუ (18), 2:0 ნიკულაე (69)
**რუმინეთი**: პრუნეა, ფ. დუმიტრუ, ლუპესკუ, ბატრანუ, კრივაცი, ფ. პეტრე (მუტიცა 76), პალდანი, მალდარაშანუ, როსუ (პ. სტოიცა 89), მიპალჩეა, მ. ნიკულაე (მარა 88)

**კვიპროსი 2:1 ლიტვა**

1:0 კოსტანდინუ (60), 1:1 ფომენკა (86), 2:1 კოსტანდინუ (88)
**ლიტვა**: პუშკუსი, შემბერასი (დაიდურასი 78), გლევეცკასი, ჟვირგჟდაუსკასი, სკინდერისი, დანილიჩევასი (გრაჟიუნასი 59), შკარბალიუსი, ჟუტაუტასი (ტერეშკინასი 43), ვენცევიჩიუსი (კშანავიჩიუსი 20), ბუიტკუსი (ჯიაუტსკასი 70), ფომენკა

**სომხეთი 2:1 დ.დ. (1:1) მოლდოვა**

1:0 ნაზარიანი (45), 1:1 პოპოვიჩი (77), 2:1 ტოვმასიანი (95)

*4 თებერვალს ითამაშებენ საქართველო — რუმინეთი, კვიპროსი — სომხეთი, ლატვია — სლოვაკეთი, ლიტვა — მოლდოვა*

# ისევ სიცივე და სიცარიელე

## მესხის ტურნირზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

**ხობი 2:3 დინამო**

0:1 დათუაძე (2), 0:2 სახვაძე (11), 1:2 ვ. ჩიტაია (25), 1:3 გ. შენგელია (38), 2:3 ვ. ჩიტაია (40)

**სიონი 1:2 თბილისი**

1:0 გოგოლაძე (7), 1:1 ბურდული (17), 1:2 გონჩაროვი (32)

*მაჭავარიანმა (თბილისი) ვერ გაიტანა პენალტი (37)*

გაძევება: სიდამონიძე (სიონი, 28), დალაქიშვილი (სიონი, 40)

**დილა 2:1 მერანი**

1:0 გოჩაშვილი (2), 2:0 ლომიძე, 2:1 ხაჭაპურიძე (34 ავ.)

**მოყვარულები 8:1 იბერია**

1:0 ტულუში (3), 2:0 ოდიშარია (17), 3:0 მუკაკიძე (19), 4:0, 5:0 კაკაბაძე (23, 26), 6:0 ოდიშარია (32), 6:1 ივერიანი (33), 7:1 კაკაბაძე (34), 8:1 ოდიშარია (36)

**საქართველო U16 0:5 სიონი**

0:1 თ. სამხარაძე (1), 0:2 მაზანაშვილი (5), 0:3 სვანიძე (30), 0:4, 0:5 მ. სამხარაძე (31, 36)

**სამგურალი 0:0 დილა**

მინი-ფეხბურთში მიხეილ მესხის სახელობის ტურნირის მეორე დღემ ნახევარფინალისტთა ვინაობა გამოარკვია. პირველი გუნდი, ვინც გარდამავალი თასისთვის ბრძოლას გააგრძელებდა, მოგეხსენებათ, 1 თებერვალსვე გახდა ცნობილი. რუსთავის „გორდამ“ ჯგუფში ორივე მატჩი მოიგო და ნახევარფინალის საგზურიც დაიბევა.

„გორდას“ მეტოქე გუშინ „ხობი“ — „დინამოს“ შეხვედრამ გაარკვია. ხობელებს ჯგუფიდან გასასვლელად ქვეყნის ათგზის ჩემპიონებთან ფრეც ჰყოფნიდათ. მართალია, ამ შემთხვევაში ორივე კლუბი თანაბარ ქულებს აგროვებდა, მაგრამ დინამოელებს მეტოქეზე ნაკლები გოლი ჰქონდათ გატანილი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თბილისელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს მატჩი და მეორე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. დათუაძემ მოულოდნელი დარტყმით ანგარიში გახსნა. „დინამომ“ თავისი უპირატესობა პირველ ტაიმში კიდევ უფრო განამტკიცა — სახვაძემ მე-11 წუთზე თავისიანების ლამაზი კომბინაცია მოხდენილი გოლით დააგვირგვინა. მიუხედავად ორბურთიანი ჩამორჩენისა, ხობელები მარცხს არ შეეგუვნენ და მეორე ტაიმში თბილისელებს არცთუ სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს. 25-ე წუთზე მათ „დინამოს“ ახალგაზრდა მეკარის, ალექსანდრე ჩიხრაძის მედგარი წინააღმდეგობა დასძლიეს და ჩიტაიამ ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ამან გაყინულ სპორტის სასახლეში შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი ოდნავ გამოაცოცხლა, თუმცა ხობელებმა წონასწორობის აღდგენა (ერთიორი მომენტი კი ჰქონდათ) ვერ მოახერხეს. პირიქით, მატჩის მიწურულს ისე „დინამომ“ იძალა და შენგელიამ სხვაობა გაზარდა. ბოლო წუთზე ჩიტაიამ ტურნირზე მეხუთე გოლი ჩაიწერა აქტივში. ამის შემდეგ მსაჯს თამაში აღარ გაუგრძელებია. ნახევარფინალშიც „დინამო“ გავიდა.



ჰჰჰჰჰჰჰჰ

ძალიან საინტერესო გამოდგა „სიონი“ — „თბილისის“ შეხვედრა. ამ მატჩში ყველაფერი იყო — ლამაზი გოლები, უამრავი სახიფათო მომენტი, გაფრთხილებები, გაძევებები, გამოუყენებელი პენალტიც კი. „თბილისმა“ 2:1 მოიგო და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა.

პირველი ტაიმი ფრედ 1:1 დასრულდა. გოლები გოგოლაძემ და ბურდულმა გაცვალეს. 28-ე წუთზე „სიონს“ სიდამონიძე გაუძევეს. მსაჯმა ანიაშვილმა იგი სიტყვიერი შეპასუხებისთვის მეორედ გააფრთხილა. მალე კი „თბილისიც“ დაწინაურდა. გონჩაროვმა დალაქიშვილის უხეში შეცდომა გამოიყენა და პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა. ცოტა ხანში თბილისელები გოგოლაძეს ეუხეშნენ საჯარიმოში, თუმცა ანიაშვილმა თამაშის გაგრძელება ბრძანა. პენალტი რამდენიმე წუთში მაინც დაინიშნა, ოღონდ „სიონის“ კარში, თანაც საეჭვო. მაჭავარიანის დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. 39-ე წუთზე ბოლნისელებს საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მეკარე დალაქიშვილი გაუძევეს. კარში მინდვრის მოთამაშე დიმიტრიშვილი ჩადგა, რომელიც თბილისელებს არ შეუწუხებიათ. ბოლო წამებზე კინაღამ სასწაული მოხდა. რიცხობრივ უმცირესობაში მყოფმა „სიონმა“ მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვა და ორჯერ რეალურადაც დაემუქრა. მოსეშვილმა ვერც ერთხელ ვერ ივარგა და „სიონი“ — 16-წლამდელთა ნაკრების მოგვიანებით გასამართმა მატჩმაც აზრი დაკარგა.

ბოლო წუთებზე შეეძლო წაგებისგან თავის დაღწევა თბილისის „მერანსაც“. ავჭალელები გორის „დილას“ ხვდებოდნენ და მოგების შემთხვევაში ნახევარფინალშიც გადიოდნენ. „დილამ“ მეტოქეს ამის საშუალება არ მისცა. შეხვედრაში სამი გოლი გავიდა, სამივე გორელებმა ჩაიწერეს აქტივში. მათგან ერთმა, ხაჭაპურიძემ, ავტოგოლით გამოიჩინა თავი. ეს 34-ე წუთზე მოხდა, როცა ივანიშვილის კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი ხაჭაპურიძეს მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა. ამ დროს „დილა“ 2:0-ს იგებდა. ბოლო ათი წუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „მერანი“ მარცხს არ იმსახურებდა, თუმცა იღბალმა ზურგი აქცია და III ჯგუფის გამარჯვებულიც მოგვიანებით „დილა“ — „სამგურალის“ შეხვედრამ გამოარკვია.

მანამდე კი უხვგოლიანი მატჩი გაიმართა, თუმც ამ შეხვედრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან ოთხივე გუნდს ნახევარფინალში გასვლის არანაირი შანსი არ დარჩენოდა.

მოყვარულებთან შეხვედრაში სამტრედიელებმა დიდი სიურპრიზი მოუმზადეს სპორტის სასახლის მცირერიცხოვან სტუმარს. სოსო ფრუიძის გაწვრთნილები 8:1-ით დამარცხდნენ წინა დღით, „გორდასთან“ განადგურებულ ჯონი ჯანელიძის შეგირდებთან. „იბერია“ პრაქტიკულად მოშლილი იყო და მოყვარულებს უფრო რომ გამოედოთ თავი, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა.

სატურნირო თვალსაზრისით ფორმალურ ხასიათს ატარებდა 16-წლამდელთა ნაკრებ — „სიონის“ მატჩიც. ყმაწვილებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, მაგრამ აბა, რას გახდებოდნენ ასაკით თითქმის ორჯერ დიდ კოლეგებთან. „სიონი“ დასაწყისშივე დააწინაურა თემურ სამხარაძემ, რომლის დაწყებული საქმეც მისმა ძმამ, მირზამ დაასრულა დუბლით და ორივე გუნდმა მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა.

დღის ბოლო მატჩი კი დაძაბულად წარიმართა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ორივე გუნდი ინარჩუნებდა ნახევარფინალში გასვლის შანსს. გორელებს მიზნის მისაღწევად ფრეც ჰყოფნიდათ, „სამგურალს“ კი მხოლოდ ხუთბურთიანი სხვაობით მოგება აძლევდა ხელს. წყალტუბოელებიც თავიდანვე გაფთრებით ეკვეთნენ მეტოქეს და იღბალს ზურგი რომ არ ექცია, საჭირო შედეგითაც დაასრულებდნენ მატჩს. მათ უამრავი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს და უგოლო მატჩიც „დილამ“ დატოვა თავაწეულმა. ასე რომ, ოთხივე ნახევარფინალისტი ცნობილია. დღეს, 13 საათზე, „გორდა“, „დინამოს“ შეხვდება. ერთი საათის შემდეგ „დილა“ და „თბილისი“ გაარკვევენ მეორე ფინალისტის ვინაობას. 16 საათზე მესამე ადგილისთვის მატჩია დანიშნული, რომლის დასრულების შემდეგ ფინალური შეხვედრაც დაიწყება.

დაბოლოს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ტურნირის ორგანიზატორს (სფფ-ს) საუკეთესო სამეულისთვის გარკვეული საპრიზო ფონდი აქვს დაწესებული, ოღონდ ეგ არის, ამ თანხის რაოდენობა ვერაფრით დავადგინეთ. გვითხრეს, უფროსებს მოველაპარაკებით, გავარკვევთ და შემდეგ გეტყვითო. იმედია, დღეს საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაუჯილდოებელნი არ დარჩებიან, თორემ გაყინულ, თითქმის ცარიელ დარბაზში თამაში უთუოდ მწარე მოგონებად გაჰყვებათ.

**ვანო ოქროპირიძე**
**ბაატა ქვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | | | |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ხობი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| არსენალი | 2 | 0 | 0 | 0 | 2:6 | 0 |
| **II ჯგუფი** | | | | | | |
| თბილისი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| საქართველო U16 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |
| **III ჯგუფი** | | | | | | |
| დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| სამგურალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| **IV ჯგუფი** | | | | | | |
| გორდა | 2 | 2 | 0 | 0 | 12:2 | 6 |
| მოყვარულები | 2 | 1 | 0 | 1 | 9:8 | 3 |
| იბერია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:13 | 0 |

# ჯანი კარნევალე

## კვირას სტადიო ოლიმპიკოზე მაცონე ვნახეთ, ახლა კაპელოს ჯერია

## ბათუმი — რეშიცა 1:2

იტალიურ ნორჩაში მყოფი „ბათუმი“ საერთაშორისო ტურნირში ჩაება. ბათუმელებმა გუშინწინ ქვეჯგუფში პირველი მატჩი ჩაატარეს რუმინულ „რეშიცასთან“ და 1:2 დამარცხდნენ.

ზღვისპირელები, როგორც იცით, 26 იანვარს გაფრინდნენ პერუჯაში, ქალაქში, სადაც 4 წლის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრები იტალიისას გაეჯიბრა. აქედან კი დაბა ნორჩაში, ოცდაათი კილომეტრის მოშორებით, ბათუმელები კომფორტული ავტობუსით გაემგზავრნენ და ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „შალიკონეში“ დაბინავდნენ.

გუშინწინ კი, როგორც გაცნობეთ, პირველი ამხანაგური მატჩიც გამართეს. წუხელ საღამოს „სარბიელი“ ბათუმელთა იტალიელ მწვრთნელ ჯანი კარნევალეს ნორჩაში ტელეფონით დაუკავშირდა:

— რუმინულ „რეშიცას“ ვეთამაშეთ და 1:2 დავმარცხდით. პირველი ნახევარი 0:1 წავაგეთ, მეორეში პაატა მაჭუტაძემ გაათანაბრა, თუმცა შეხვედრის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე რუმინელებმა მეორეც გაგვიტანეს. ჩემთვის მთავარი შედეგი არ გახლდათ. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ბიჭების თამაშით ნაწილობრივ მაინც კმაყოფილი ვარ. ფიზიკურად უნდა მოვძლიერდეთ, ჯერჯერობით სუსტად ვართ.

**— „რეშიცას“ გუნდი როგორი შემადგენლობით შეხვდა?**

— პირველ ტაიმში ძირითადი შემადგენლობა ვათამაშე: ტოგონიძე, არჩვაძე, მინდაძე, ხუჯაძე, რომანაძე, კობიძე, ტულუში, ქორიძე, ხომერიკი, აფხაზავა, სიხარულიძე. მეორეში თერთმეტივე შევცვალე. მოედანზე შევიდნენ: ჩლაიძე, ბარნოვი, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, თარგამაძე, მაჭუტაძე, ღლონტი, თედორაძე, პეტრიაშვილი. ამათ გარდა ორნიც ვათამაშე. ერთი ეროვნებით ხორვატია, რომელსაც ადრე ბუქარესტის „ნაციონალში“ უთამაშია, მეორე კი ქართველი. სამწუხაროდ, თამაშის ოქმი ხელთ არ მაქვს, ამიტომ მათ გვარებს ვერ ვიხსენებ (ლაპარაკში მოგვიანებით გაირკვა, რომ ქართველში კარნევალე ბეჟანიძეს გულისხმობდა)

**— ხორვატი ახსენეთ, ვინ არის, რას წარმოადგენს?**

— მარცხენა ნახევარმცველია. „რეშიცასთან“ ცოტა ხანს ითამაშა. ალბათ, კიდევ ერთხელ გამოვცდით და ვნახოთ, შევხედავთ. არაა გამორიცხული, ბათუმშიც წამოვიყვანოთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ნორმალური ბიჭია.

**— „ბათუმს“ შემდეგი თამაში როდის აქვს?**

— ხუთშაბათს ვეთამაშებით იტალიის სერია C1b-ს გუნდ „არეცოს“, შაბათს კი ჯგუფში დასკვნითი მატჩი გველის ბუქარესტის „სტიაუასთან“. ჩემთვის მთავარი ახალწვეულებზე დაკვირვება და კარგი გუნდის ჩამოყალიბებაა. შედეგი შესაძლოა მეორეხარისხოვანი იყოს, მაგრამ მაინც ვიბრძოლებთ ჯგუფიდან გასასვლელად. უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. „რეშიცასთან“ რომ მოგებაზე გვეთამაშა, თერთმეტივეს არ შევცვლიდი.



**— ვიცოდით, რომ ჯგუფში მაკედონიური „სკოპიე“ იყო, ახლა კი „არეცო“...**

— მაკედონიელებს ფაქსი გამოუგზავნიათ, ვერ ჩამოვდივართო. თანხმობაც „არეცომ“ განაცხადა. აქაც საშინელი სურდოებია. ახლაც 4-5 ფეხბურთელი — მალხაზ მახარაძე, ღლონტი, სიხარულიძე, ტულუში და ხუჯაძე ავად იყვნენ, ნელ-ნელა გამოჯანმრთელდნენ.

**— სინიორ ჯანი, ფეხბურთის სპეციალისტებმა როგორი შეფასება მისცეს „ბათუმის“ თამაშს?**

— ალალად გეტყვით, გულწრფელად მოგვილოცეს. მართალია, წააგეთ, მაგრამ გუნდმა ჩინებულად ითამაშაო, ის კი არა, რამდენიმე იტალიელ ფეხბურთის სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა.

**— კონკრეტულად ვინ?**

— უპირველესად ტოგონიძემ, აგრეთვე ტულუშით, ბეჟანიძით, მუჯირით და აფხაზავათი დარჩნენ აღფრთოვანებულნი. ძირითადად მაინც ახალგაზრდებზე გაამახვილეს ყურადღება. ის კი არა, როცა დრო გვქონდა, ბიჭები პერუჯაში წავიყვანე და კარლო მაცონეს ვარჯიშს დავასწარი.

**— „პერუჯას“ მწვრთნელს გულისხმობთ?**

— დიახ, თავად მაცონე შეხვდა გუნდს, ყველაფერი ჩინებულად იყო. ამ დღეებში „რომას“ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსაც შევხვდებით და მისი გუნდის ვარჯიშს დავესწრებით, კვირას კი რომში, „რომა“ — „ვენეციას“ მატჩზე ვართ დაპატიჟებული. ამ მატჩზე პირადად ბრუნო კონტიმ და „რომას“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო კენტესტილიმ მიგვიწვია. ასე რომ... ჩემს თანამემამულეებს ნელ-ნელა გუნდსაც ვაცნობ.

**გიორგი ვაშაძიძე**

# (სე)ლექცია

## საფეხბურთო კვანძი დიდუბის სადგურში გაიხსნა

**ახლა**, როცა ქართული კლუბები უკვე ამთავრებენ მზადებას და უმეტესობამ თითქმის გაიარა აუცილებელი ორი (სასელექციო და ფიზმომზადების) ეტაპი, ძნელი არ უნდა იყოს კონკრეტული დასკვნების გაკეთება. თუმცა ამომწურავად ლაპარაკი მხოლოდ გუნდების მიერ წარმოებულ სასელექციო საქმიანობაზე შეიძლება, მათ ფიზიკურ მზადყოფნაზე კი განახლებული სეზონი გაგვცემს პასუხს.

„სარბიელის" მორიგი პირმშო, „საშუასეზონო მიდი-მოდი" ქართული კლუბების სამზადისზე უამრავ ინფორმაციას იძლევა. თუ ყურადღებით აკვირდებით ყოველ ნომერში გამოქვეყნებულ ამ ოთხსვეტიან მასალას, ადვილად შეამჩნევდით, რომ ბოლო კვირის განმავლობაში ცვლილებებს მხოლოდ მეოთხე — „მატჩების" ვერტიკალური სვეტი განიცდის, „ახალწვეულების" ჩამონათვალი კი ერთი და იგივე რჩება. ეს იმის მაუწყებელია, რომ სერიოზულმა (ზოგიერთებს კვლავ სძინავთ) გუნდებმა სასელექციო მუშაობა დაამთავრეს და ახლა ფეხბურთელების უკეთესად შეთამაშება-მომზადებაზეღა ზრუნავენ.

დღეისთვის „საშუასეზონო მიდი-მოდის" მესამე სვეტში ახალწვეულთა 78 გვარია. ეს ციფრი (მართალია, არათანაბრად) 13 კლუბზე ნაწილდება და თითოეულზე ექვსი ახალი შეძენილი ფეხბურთელი მოდის. ერთი შეხედვით, ნორმალური მაჩვენებელია, მაგრამ იმის კითხვა — დგას თუ არა ამ სტატისტიკის უკან მიზანმიმართულად წარმოებული სასელექციო პოლიტიკა? სამწუხაროდ, არა!

განხორციელებულ ტრანსფერთა უმრავლესობა გუნდების მიერ საკუთარი ფარმ-კლუბებიდან და ფინანსურად შეჭირვებული პირველი ლიგის მობინადრეებიდან გადაბირებული მოთამაშეებით განისაზღვრება. ახალწვეულთა ნუსხაში მხოლოდ რამდენიმე ახალ გვარს თუ ამოიკითხავთ. იმას, ვინც რეგიონალურ ლიგაში თამაშობდა გასულ წელს და მისი ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენია კლუბის საფეხბურთო აგენტს (თუ ჰყავს საერთოდ)...

### ადამიანი-ბინოკლი

რაზან საფეხბურთო აგენტი ვახსენე, ვშიშობ, ზოგიერთმა უცხო ხილის კონტრაბანდურად შემოტანაში არ დამადანაშაულოს და მოკლედ შევეხები ამ თემას. ...კეყანას, რომელსაც ერთადერთი ფიფას ლიცენზირებული აგენტი ჰყავს, ბევრი რამ აქვს სასწავლი და გადმოსაღები უცხოური საფეხბურთო სამყაროს გამოცდილებიდან.

ადამიანი-ბინოკლი — ასე უწოდებენ ამ ხალხს. ისინი ძალიან შორს იხედებიან. მათი საფეხბურთო თვალთახედვა სცილდება საკუთარი ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის საზღვრებს. ფლობენ უამრავ ინფორმაციას ასეულობით ნორჩი ფეხბურთელის შესახებ, აბამენ ქსელებს, ამყარებენ ფარულ კავშირებს. აგენტის საქმიანობა სამხედრო მზვერავის შრომის ტოლფასია. მზვერავებივით შენიღბულები და სიტყვაძუნწები არიან. კარგად უწყიან, რომ მათ მიერ ამა თუ იმ ახალბედა ფეხბურთელზე ნათქვამი თითოეული სიტყვა ერთიორად ზრდის ნორჩი მოთამაშის საბაზრო ფასს. ზუსტად აქვთ გათვლილი ყველა მოქმედება და ზედმიწევნით გრძნობენ დროის ფაქტორს. აგენტს ძალუძს, ერთნაირი წარმატებით გაჩარხოს ახალგაზრდა თუ ხნიერი (კიეველი ლუჟნის გადასვლა ლონდონის „არსენალში") ფეხბურთელის ტრანსფერი.

ტალანტების აღმოსაჩენად ადამიანი-ბინოკლი ბევრს მოგზაურობს. იგი არ თაკილობს ქუჩასა თუ ეზოში მობურთალი ბიჭუნების ცქერას. როცა სასურველ „საქონელს" მოიძიებს, მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცევს და ხელსაყრელ მომენტს ელოდება. მომენტს, რომლის დადგომისთანავეც თვითონ მართავს სიტუაციას და მინიმუმამდე ამცირებს რისკის ფაქტორს. თითქმის გამორიცხულია, ვინმემ დაასწროს და ხელი შეუშალოს საქმის ბოლომდე მიყვანაში... ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმა ხდება...

### როგორ გაიტაცეს ჩოქსა

„ჩოქსა" — ასე იცნობენ მას ქუთაისში. სულ ერთი წელია, რაც მერაბ ძოძუაშვილი ეროვნულ ჩემპიონატში გამოჩნდა — „ლოკომოტივი", „გურია", „სამგურალი". „კოლხიდას" საფეხბურთო სკოლაში დაფრთიანებული საღორიაზე მდებარე სკოლაში გადავიდა. იქ ვარჯიშობდა, საიდანაც 200 მეტრში „ტორპედო" ბინადრობს... ყურადღებას არავინ იჩენდა მის მიმართ. სკოლის გუნდის შემადგენლობაში გივი ჩოხელის თასის გათამაშებაში გამოიჩინა თავი და მალე „ლოკომოტივში" უკონტრაქტოდ აღმოჩნდა. მის რიგებში მხოლოდ ერთხელ (შეცვლაზე შევიდა და ერთ წუთში გოლი გაიტანა) ითამაშა, მერე კი „გურიაში" გაანათხოვრეს.

ერთ წელიწადში საგრძნობლად გაიზარდა. ლანჩხუთიდან წყალტუბოს „სამგურალის" თავკაცმა რევაზ ბურკაძემ უხმო გასასინჯად და გუნდში ჩარიცხა. ვინც მისი თამაში ნახა, ყველამ აღიარა, ამ ბიჭს „სამგურალში" რა უნდა, უკეთესი ეკუთვნისო. ძოძუაშვილის შესახებ პრესაც ალაპარაკდა. ასეთი ტიპის თავდამსხმელი კარგა ხანია, არ მინახავსო — რამდენჯერმე გვითხრა „სარბიელის" ქუთაისელმა კორესპონდენტმა.

უაგენტო ქართული კლუბები ფაქტის წინაშე დადგნენ. მათ შეუმჩნევლად არენაზე გამოჩნდა ტალანტი, რომლის გარშემო, ლიტერატურულ ენაზე რომ ვთქვათ, სიუჟეტი თანდათან ვითარდებოდა. ცხადი იყო, ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მოვლენების განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და აუცილებელი იყო კვანძის გახსნა.

კვანძი თითქოს გაიხსნა კიდეც მაშინ, როცა „დინამოში" გადასაბარგებლად გამზადებულმა ძოძუაშვილმა „ვიტ ჯორჯიაში" ამოყო თავი, მაგრამ...

ამბავი, რომელზეც ახლა გიამბობთ, საფეხბურთო კი არა, უფრო დეტექტიური ჟანრისაა. 19 წლის მერაბ ძოძუაშვილი პირდაპირ რკინიგზიდან გაიტაცეს და ძნელი მისახვედრი არაა, რომ „ლოკომოტივი" სატრანსპორტო გზის ამ მონაკვეთზე არავის დაუთმობდა პირველობას. როგორც გითხარით, მერაბ ძოძუაშვილი სამგურალელ თანაგუნდელ ირაკლი ხაჭაპურიძესთან ერთად „ვიტ ჯორჯიამ" გადაიბირა და ორივე ახალ კლუბში ვარჯიშობდა, არაერთ საკონტროლო შეხვედრაშიც მონაწილეობდნენ ვეტერინარებთან ერთად და მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე მათი თამაშით კმაყოფილი იყო.

ყველაფერი კი მას მერე დაიწყო, რაც რევაზ ძოძუაშვილი „ლოკომოტივის" თავკაცად დაინიშნა. მიხიჩამ თავისი მოგვარის შემოწმება ისურვა და...

13 იანვარს, ძველით ახალი წლის წინადღეს, დიღმის ბაზაზე „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" ამხანაგურად გაეჯიბრა. რევაზ ძოძუაშვილი სანაკრებო კანდიდატების საქმეში უშუალოდ ნახვის მიზნით ბაზას ესტუმრა. კოტრიკაძის შეგირდებიდან „სამგურალის" ქუთაისური დუეტი, ხაჭაპურიძე — ძოძუაშვილი, მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

შესვენებაზე მიხიჩა კოტრიკაძესთან მივიდა და უთხრა: „ის მარცხენა ჰავბეკი (ხაჭაპურიძე) კარგი გყავს..." მერაბზე სიტყვაც არ დასცდენია.

მატჩის დროს „ლოკომოტივის" ერთმა წარმომადგენელმა გამანდო, ორ დღეში ძოძუაშვილი „ლოკომოტივში" იქნებაო. არ დავუჯერე, რადგან შეხვედრის დაწყებამდე სერგო კოტრიკაძეს ვესაუბრე და ყველანი, ვინც აქ არიან, „ვიტ ჯორჯიაში" იქნებიანო, მითხრა.

ისე ყველაფერი აგისრულდეთ, როგორც იმ ლოკომოტიველის ნათქვამი ახდა.

ძველით საახალწლოდ ვეტერინარებმა ბიჭები 2 დღით შინ გაუშვეს. ხაჭაპურიძემ და ძოძუაშვილმა ქუთაისს მიაშურეს და დათქმულ დღეს მატარებლით თბილისს გამოემგზავრნენ. დუეტს ერთი ფეხბურთის სპეციალისტიც ახლდა...

ეტყობა, „ლოკომოტივის" ფარული ჩანაფიქრის შესახებ „ვიტ ჯორჯიამაც" შეიტყო და ვეტერინართა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მატარებელს ბოლო გაჩერებაზე — ვაგზლის სადგურში დახვედროდა. რკინიგზელებმა კი ერთი გაჩერებით დაასწრეს ვიტელებს. ლოკომოტიველთა კომპანია დიდუბის სადგურში დაელოდა ქუთაისი — თბილისის მატარებელს და ფეხბურთელებიც მოიხელთა. მოლაპარაკება ხაჭაპურიძესთანაც უწარმოებიათ, მაგრამ უშედეგოდ. ირაკლის უთქვამს, „ვიტ ჯორჯიასთვის" სიტყვა მაქვს მიცემულიო. აი, ჩოქსამ კი ვეღარ გაუძლო მიხიჩასგან შემოთვლილი წინადადებების მოსმენას და დიდუბიდან რკინიგზელებთან ერთად გაუჩინარდა.

ჩავიდა მატარებელი ვაგზლის სადგურში. შეეგება მგზავრებს ვეტერინართა ხელმძღვანელობა და მხოლოდ ხაჭაპურიძე შერჩა ხელთ.

ასე აღმოჩნდა მერაბი „ლოკომოტივში" და ახლა კვიპროსზე იმყოფება ეროვნულ ნაკრებთან ერთად...

ამ ისტორიის მოსმენისას მართლაც აღფრთოვანდებით მისი მძაფრი სიუჟეტით, მაგრამ სად არის საქვეყნოდ ცნობილი სასელექციო პოლიტიკა? სად და, მაგალითად, კიევის „დინამოში".

### კიეველთა (სე)ლექცია

მოდით, რამდენიმე წუთით ლობანოვსკის კიევის „დინამოს" სასელექციო სამზარეულოში შევიხედოთ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხომ უკრაინის სუპერკლუბს ამ საქმეში ბადალი არ მოეძებნება. „დინამოს" აგენტის, წ[illegible]ში ცნობილი ფეხბურთელის, ანდრეი ბიბას მიერ ესენგეს ტურნირის დროს „იზვესტიასთვის" მიცემულ ინტერვიუში იმდენ საინტერესოს ამოიკითხავენ ჩვენი კლუბების მესვეურები, რომ ეგებ მადლობაც შეუთვალონ უფასო ლექციისთვის.

მაშ ასე — ანდრეი ბიბას თეზისები:

...კიევის „დინამო" ყოფილ საბჭოთა კავშირში პროფესიული ფეხბურთელების მწარმოებელი ერთადერთი ქარხანაა. კონვეიერი რამდენიმე საფეხურისგან შედგება: მთავარი გუნდი, რომელიც მონაწილეობს ევროსარბიელზე და უკრაინის უმაღლეს ლიგაში, პირველლიგელი ფარმ-კლუბი და მესამე ლიგაში მოასპარეზე ახალგაზრდული გუნდი — სულ 60-მდე ფეხბურთელი. კიდევ რამდენიმე ათეული მოთამაშე განათხოვრებული გვყავს რუსეთის და უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდებში. მათ გადააბიჯეს ფარმ-კლუბის ზღვარს, მაგრამ ჯერჯერობით არ არიან მზად მთავარ გუნდში მოსახვედრად.

...ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კლუბი და „დინამოს" ბავშვთა სპორტსკოლა თამაშობს და ვარჯიშობს მთავარი გუნდის სისტემით.

...კიევში ტრადიციად იქცა მზადების დაწყება მინი-ტურნირის მოწყობით, რომელშიც „დინამოს" ყველა გუნდი მონაწილეობს. ყოველ ზამთარში კიეველთა ხელმძღვანელობა და სელექციონერები დამატებით 15-20 ახალწვეულს ამოწმებენ. შემოწმების გარეშე „დინამოს" შტატში მოხვედრა წარმოუდგენელია. უპირველეს ყოვლისა, მოწმდება, როგორ უძლებენ ფეხბურთელები ფიზიკურ დატვირთვებს, რაც ლობანოვსკის კლუბში საშუალოზე მაღალია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამასთან უდიდესი ყურადღება ეთმობა სამედიცინო კომისიის დასკვნას. ახალწვეულს რამდენიმე ექიმი სინჯავს, კარდიოლოგიდან დაწყებული სტომატოლოგით დამთავრებული...

...ესენგეს ტურნირს ტალანტების ბაზარს უწოდებენ, თუმცა არც მთლად ასეა. მე რომ 1996 წელს გამართული თანამეგობრობის თასის გათამაშებამდე არ მქონოდა წარმოდგენა ისეთ ფეხბურთელებზე, როგორებიც არიან ხაცკევიჩი, ბელკევიჩი ან კალაძე, უბრალოდ, სამსახურს დავკარგავდი.

...მე მევალება, ვფლობდე ინფორმაციებს თითქმის ყველა ნიჭიერ ნორჩ ფეხბურთელზე, რომლებიც იზრდებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ მომენტისთვის რამდენიმე ასეულ ასეთ მოთამაშეზე შევადგინე კართოტეკა და ისინი მეთვალყურეობის ქვეშ მყავს.

...ვალდებული ვარ, ჭაბუკების არა მარტო სპორტული მონაცემები შევისწავლო. უნდა ვიცოდე თითოეულის პიროვნული ხასიათი, რამდენად კომუნიკაბელურია იგი, ბოლოს და ბოლოს, ეტანება თუ არა ალკოჰოლს და ასე შემდეგ.

...როცა შეხედავ, როგორ თამაშობს, მაგალითად, ურიუპინსკის „ტურბინიკის" ფორვარდი, უნდა განჭვრიტო, გაუმკლავდება თუ არა იგი ტიურამს, საწყის ეტაპზე ხლესტოვს მაინც.

...ჩვენ არ ვაკვირდებით აფრიკელ ფეხბურთელებს, რადგან ეს ტერიტორია კარგა ხანია, რაც ევროპულმა გრანდებმა აითვისეს. როცა ჩვენთან მოდის შავი კონტინენტის მოთამაშე, ვიცით, რომ იგი უკვე დაიწუნეს ან იტალიურმა „ფიორენტინამ", ანაც ინგლისურმა „არსენალმა". აფრიკიდან კიევში მოსულებს ნაკლებპერსპექტიულებს ვუწოდებთ.

...ამას წინათ „ოსერის" სელექციონერმა გი რუმ განაცხადა, რომ კლუბის რამდენიმე ფეხბურთელს 2 წლის განმავლობაში აკვირდებოდა. ჩვენ ამდენი ფიქრის დრო არ გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „დინამოსთვის" სასურველი ფეხბურთელის ფასი იმ თანხას გადააჭარბებს, რამდენის გადახდაც დაგეგმილი გვქონდა.

...მოთამაშეები, რომელთა პოტენციალიც უკრაინის ჩემპიონატს ვერ სცილდება, არ გვაინტერესებს.

...ჩვენ ძალიან შორს უნდა ვიყურებოდეთ. რატომ არ უნდა ნახო ნორჩი, რომელიც შორს, ნოვოსიბირსკში თამაშობს, მით უმეტეს, მაშინ, როცა მასზე მხოლოდ და მხოლოდ კარგი გესმის. კიევის „დინამოს" სელექციონერები ხაბაროვსკშიც არაერთხელ ჩასულან...

დიახ, ეს სიტყვები ლობანოვსკის კიევის „დინამოს" სელექციონერს ეკუთვნის. იმ კლუბის აგენტს, რომელიც თითქმის ერთადერთი იყო ჩემპიონთა ლიგაში, შინ გამოზრდილი ფეხბურთელების სიმრავლით (შევჩენკო, შოვკოვსკი, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ფიოდოროვი) რომ გამოირჩეოდა.

**ხვიჩა სანიკიძე**




[illegible] ფოტო

რევაზ და მერაბ ძოძუაშვილები: მათი გზები უცნაურად გადაიკვეთა

# სიონმა გეგმა შეცვალა



სპარტაკ არჩვაძე

**თითქმის** ერთი კვირაა, ბოლნისის „სიონი“ თბილისში იმყოფება და დიდუბეში მდებარე სასტუმრო მანეჟში გადის შეკრებას. ბოლნისელები პარალელურად მინი-ფეხბურთში მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზეც გამოვიდნენ.

სამეორეეტაპო სამზადისს კი გუნდი 15 იანვარს შეუდგა, თუმცა არასრული შემადგენლობით. „სიონში“ გაურკვეველი სიტუაცია სუფევდა, რის გამოც ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ბოლნისში ჩასვლას თავს არიდებდა. 18 იანვარს გამართულმა საერთო კრებამ, რომელსაც ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძეც ესწრებოდა, თითქოს ყველაფერს ნათელი მოჰფინა. „დინამოში“ გადასული დავით დათუაძის გარდა, თითქმის ყველა ფეხბურთელი შევინარჩუნეთო, გვითხრა მაშინ წინ კლუბის წარმომადგენელმა, თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა საქმე.

როგორც გუშინ „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ განგვიცხადა, ამჟამად გუნდში არც დავით გოდერძიშვილი და ნუკრი და მახარე მინდიაშვილები ვარჯიშობენ. მართალია, ისინი ოფიციალურად კვლავაც „სიონში“ირიცხებიან, მაგრამ მეორე ეტაპისთვის თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთად ემზადებიან.

„ეს ფეხბურთელები აგვისტოს ბოლომდე ვითხოვეთ. თუ „ლოკომოტივმა“ მათი უფრო ადრე დაბრუნება მოიწადინა, მაშინ რკინიგზელებს გარკვეული კომპენსაციის გადახდა მოუწევთ“ — აღნიშნა არჩვაძემ. ბოლნისელებს თურმე ჯერჯერობით არც დათუაძის საკომპენსაციო თანხა მიუღიათ „დინამოსგან“. მინდიაშვილებისა და გოდერძიშვილის საკითხი სავარაუდოდ „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

„სიონმა“ მეორე ეტაპისთვის მომზადების გეგმა დიდი ხნის წინ შეადგინა. „მანეჟში“ შეკრება, მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე გამოსვლა და რამდენიმე საწვრთნელ-საკონტროლო მატჩის ჩატარება სპარტაკ არჩვაძეს წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. მწვრთნელი მოგვიანებით კიდევ აპირებდა შეკრების გავლას, ამჯერად დასავლეთ საქართველოში, თუმცა გადაწყვეტილება შეუცვლია. მისი თქმით, მეორე შეკრებასაც თბილისში გაივლიან, რადგან აქ უკეთესი პირობებია. კლუბების უმეტესობაც თბილისშია და საკონტროლო მატჩების ჩატარებაც არ გაუჭირდებათ.

„სიონს“ ამჟამად ფინანსური პრობლემები არ აწუხებს. ამ მხრივ გუნდში სტაბილური მდგომარეობაა. მართალია, ფუფუნებით არ ვცხოვრობთ, მაგრამ რასაც გვპირდებიან, დროულად გვაძლევენ, ზურაბ ჯაფარიძეს ამ მხრივ ვერავინ შეედრება, აღნიშნა მწვრთნელმა „სარბიელთან“ საუბრის დასასრულს.

**ვანო ოქროპირიძე**

# მეგრელაძე: 5 გოლი

**გუშინ** თურქეთში მყოფმა „ტორპედომ“ მეხუთე საკონტროლო მატჩი გამართა „ანთალიასფორის“ მეორე შემადგენლობასთან და 3:1 იმარჯვა. როგორც ქუთაისელებმა გვითხრეს, თურქული კლუბის ძირითადის სამ მოთამაშესაც უთამაშია მათ წინააღმდეგ. „ანთალიასფორის“ ახალგაზრდულ გუნდში ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებების რამდენიმე წევრიც ირიცხებოდა. ასე რომ, არც ისე ხელწამოსაკრავი მეტოქე გვყავდაო — განგვიმარტეს ტორპედოელებმა.

ჩვენებურებს მთელი თამაში ხელთ ეპყრათ უპირატესობა. შეცვლებიც მრავლად გამოუყენებიათ ქუთაისური კლუბის მწვრთნელებს. ბოლო წუთებამდე „ტორპედო“ 3:0 იგებდა. გოლები მეგრელაძემ (2) და ბობოხიძემ ჩაიწერეს ანგარიშზე. მერე თურქი მსაჯი თავისიანებს გამოსარჩლებია და 2 ტორპედოელისთვის წითელი ბარათი აუფრიალებია. ანთალიელებსაც ამის შემდეგ მოუხერხებიათ პრესტიჟის გოლის გატანა.

ანთალიაში „ტორპედომ“ ერთი კვირის განმავლობაში უკვე 5 მატჩის გამართვა მოასწრო. ქუთაისელებმა 3 შეხვედრა მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და ერთიც დათმეს იაროსლავლის „შინიკთან“. ტორპედოელთაგან ხუთი გოლის გამტანი გია მეგრელაძე გამოირჩევა.

დღეს ჩვენებურები ყაზახეთის ერთ-ერთ გუნდს შეხვდებიან.

**ხვიჩა სანიკიძე**



გიორგი მეგრელაძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (ნოვოტროიცკი, რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პავლოდარი (ყაზახეთი) 5:2 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ქოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა) | |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეველი* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:3 |
| **დილა** *მერაბ კოქლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1 |
| **იბერია** *ხოხო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლის, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მაშული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2 |
| **თსუ** *თენგიზ კაკაია* | მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი, გ. ილურიძე (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ქოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გოჩჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2) | |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

# სერია A-ს შეწყვეტა ემუქრება

იტალიურ ფეხბურთში უდიდესი სკანდალი მწიფდება. ქვეყანაში საფეხბურთო მატჩების ჩატარებას დღეიდან სერიოზული საფრთხე ემუქრება. ყველაფრის მიზეზი კი რომაელ ფანატთა დაჯგუფებაა, რომელთა უმსგავსო საქციელი უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

„სარბიელის" წინა ნომრებში გაუწყეთ, რომ „ლაციოსა" და „ბარის" შორის გამართული უკანასკნელი მატჩის დროს „ლაციოს" ფაშისტური ორიენტაციის ფანებმა „სტადიო ოლიმპიკოს" ტრიბუნებიდან გადმოფენილი პლაკატით სერბი დიქტატორის, არკანის ხსოვნას მიაგეს პატივი. ყოველგვარი რასისტული ქმედება იტალიაში კანონით იკრძალება, ამიტომ ფანების ამგვარ გამოხტომას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, უფრო მეტიც, ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეთა განსჯის საგანი გახდა.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ენცო ბიანკომ საგანგებო სხდომაზე ქვეყნის სპორტის მინისტრი ჯოვანა მელანდრი და რამდენიმე ოფიციალური პირი მიიწვია. ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად დაადგინეს, რომ თუ აგრესორი რასისტები მსგავს ფაშისტურ ქმედებებს თავს არ დაანებებენ, იტალიის ჩემპიონატს შეწყვეტა ემუქრება.

„თუ მეამბოხე ფანები რასისტულ გამოხტომებსა და დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობას კვლავ გააგრძელებენ, სიტუაციის გამოსწორებამდე მატჩები აუცილებლად შეწყდება" — ნათქვამია მინისტრთა მიერ მიღწეულ შეთანხმებაში.

# ვიალი კვლავ ფეხბურთელია


ჯანლუკა ვიალი

ლონდონის „ჩელსის" თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ, რომელმაც გასული წლის მაისში სპორტულ სამყაროს თავისი საფეხბურთო კარიერის დასრულება აუწყა, როგორც ჩანს, 2000 წლის დადგომასთან ერთად აზრი შეიცვალა...

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ცნობით, 35 წლის ვიალიმ იანვრის თვეში „ჩელსის" გუნდის ოფიციალურ ოქმში თავისი გვარი შეიტანა.

ვეტერანმა იტალიელმა ორშაბათს გამართულ „ჩელსისა" და „ლესტერის" სარეზერვო გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში მინდორზე მთელი 90 წუთი დაჰყო, რაც გასული წლის მაისის შემდეგ პირველად მოხდა. მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. ინგლისური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ვიალიმ ცენტრფორვარდის პოზიციაზე ითამაშა.

თავად ვიალი აცხადებს, რომ „ჩელსის" ახლა ფორვარდზე მეტად კარგი მწვრთნელი სჭირდება და ამიტომ მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში ითამაშებს.

მოგეხსენებათ, ლონდონური კლუბი ჩემპიონთა ლიგაშიც ასპარეზობს. იქნებ ვიალი უახლოეს მომავალში ლიგის ეგიდით გამართულ შეხვედრაშიც ვიხილოთ.

**ვაჟა ლომიძე**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

### VII ჯგუფი: ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, ბოსნია, ლიხტენშტაინი

| | |
|---|---|
| ***2000 წელი*** | |
| 2 სექტემბერი | ბოსნია — ესპანეთი |
| 3 სექტემბერი | ისრაელი — ლიხტენშტაინი |
| 7 ოქტომბერი | ლიხტენშტაინი — ავსტრია; ესპანეთი — ისრაელი |
| 11 ოქტომბერი | ისრაელი — ბოსნია; ავსტრია — ესპანეთი |
| ***2001 წელი*** | |
| 24 მარტი | ბოსნია — ავსტრია; ესპანეთი — ლიხტენშტაინი |
| 28 მარტი | ავსტრია — ისრაელი; ლიხტენშტაინი — ბოსნია |
| 2 ივნისი | ლიხტენშტაინი — ისრაელი; ესპანეთი — ბოსნია |
| 6 ივნისი | ავსტრია — ლიხტენშტაინი; ისრაელი — ესპანეთი |
| 1 სექტემბერი | ბოსნია — ისრაელი; ესპანეთი — ავსტრია |
| 5 სექტემბერი | ავსტრია — ბოსნია; ლიხტენშტაინი — ესპანეთი |
| 7 ოქტომბერი | ისრაელი — ავსტრია; ბოსნია — ლიხტენშტაინი |


ხრისტო სტოიჩკოვი

# სტოიჩკოვი უნივერსიტატიას გაწვრთნის

ბულგარული ფეხბურთის ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი, რომელმაც ფეხბურთის თამაშს შარშან დაანება თავი, რუმინეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე კრაიოვას „უნივერსიტატიას" ჩაუდგა სათავეში.

„ხრისტო ახალ კლუბთან ოფიციალურ შეთანხმებას მომავალ კვირას გააფორმებს, მთავარი მწვრთნელის პოსტზე იგი ემილ სანდოის შეცვლის" — განაცხადა სტოიჩკოვის პირადმა აგენტმა იოან ბეჩელიმ.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის სტოიჩკოვი ამჟამად ბულგარეთის ნაკრების აღმასრულებელი დირექტორია. თავისი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლებში იგი ესპანურ გრანდ „ბარსელონაში" თამაშობდა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბულგარეთის ნაკრების უდავო ლიდერმა გუნდის ნახევარფინალურ ეტაპზე მოხვედრაში ლომის წილი დადო. იმავე წელს იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ ხრისტო სტოიჩკოვის ახალი გუნდი, „უნივერსიტატია" 1994 წელს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს" მეტოქე გახლდათ. ქართველებმა რუმინელები ორი შეხვედრის ჯამში 4:1 დაამარცხეს და ასპარეზობას გამოთიშეს. „დინამომ" „უნივერსიტატია" თბილისში 2:0 დაამარცხა, ხოლო სტუმრად კრაიოვაში 2:1 სძლია.

# სამხრეთ აფრიკამ მაროკოს სთხოვა...

სამშაბათს სამხრეთ აფრიკის პარლამენტში ისეთ საკითხზე ისაუბრეს, ფეხბურთის გულშემატკივარს რომ დააინტერესებს. მოგეხსენებათ, 5 ან 6 ივლისს ფიფას აღმასკომი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის არჩევის საკითხს დააყენებს კენჭისყრაზე. სამხრეთაფრიკელ პარლამენტართა მსჯელობის საგანიც ეს ყოფილა. დეპუტატთა წინაშე ქვეყნის სპორტის მინისტრი ნგკონდე ბალფური წარსდგა და მოსამზადებელი სამუშაოების მსვლელობაზე ისაუბრა. მასპინძლობის ხუთი პრეტენდენტიდან ორი აფრიკის კონტინენტს წარმოადგენს, მინისტრმაც ყურადღება ამ საკითხზე გაამახვილა. სამხრეთაფრიკელთა ვარაუდით, თუ აფრიკა ერთიანი პოზიციით გამოვა (ანუ მხოლოდ ერთ კანდიდატს დატოვებს), კენჭისყრაზე გამარჯვების მეტი შანსი ექნება. ამიტომაც სამხრეთელებმა გადაწყვიტეს, მაროკოელებს კანდიდატურის მოხსნა სთხოვონ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დანი ჯორდანის განცხადებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები მათ აღნიშნული თხოვნით უახლოეს დღეებში მიმართავენ. რატომ უნდა წავიდეს მაროკო ასეთ დათმობაზე? ჯორდანი ამბობს, რომ მაროკოს გამარჯვების მეტად მცირე შანსი აქვს და ეს ქვეყნის სუსტად განვითარებული საფეხბურთო (და არა მარტო) ინფრასტრუქტურით არის განპირობებული. სამაგიეროდ, სამხრეთ აფრიკის მძლავრი ეკონომიკური ვითარება მსგავსი გრანდიოზული ტურნირების საუკეთესოდ გამართვის საშუალებას იძლევა. ამიტომ აფრიკის მხარდამჭერთა ხმები ორად რომ არ გაიყოს, უპრიანია ერთ-ერთმა (ესე იგი მაროკომ) ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვას.

რაც შეეხება ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის პოზიციას, ის გამუდმებით იცვლება. ბლატერი თავდაპირველად სამხრეთაფრიკელებს უჭერდა მხარს, აცხადებდა, ჩემპიონატმა შავი კონტინენტიც უნდა მოინახულოსო. შემდეგ უთქვამს, მიკერძოება არ მჩვევია და ყველაფერი ფიფას აღმასკომმა გადაწყვიტოს, მე ვერ ჩავერევიო. ახლა კი ბლატერის პოზიცია ასეთია — ყველაზე მეტად გერმანიის მზადყოფნა მომწონს და...

აქვე შეგახსენებთ, რომ სულ მალე ფიფას კომისია, რომელსაც ალან როზენბერგი ხელმძღვანელობს, აფრიკელ პრეტენდენტებსაც ეწვევა. იქამდე მან ბრაზილიის ვარიანტი დაიწუნა.

## ამხანაგური მატჩი

### სელტიკი (შოტლანდია) 1:2 ბაიერნი (გერმანია)

0:1 ელბერი (13), 0:2 ფინკი (44), 1:2 ბერჩილი (67)

სელტიკი: კერი (ხარინი 46), ბოიდი, მაე, მაკნამარა, ჰელი, სტაბსი (ლამბერტი 62), ორნალსი, პეტროვი, ვიდუკა (ჯონსონი 80), ბერჩილი, პეტა (ბლინკერი 72)

ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი (პ. ანდერსონი 46), ლინკე, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ფინკი (ვისინგერი 76), ტარნატი, ციკლერი (შოლი 46), ელბერი (სანტა კრუზი 46), პაულო სერჟიო (იანკერი 46)

მიუნხენის „ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონატის განახლებამდე მორიგი ამხანაგური შეხვედრა გამართა. იგი ამჯერად შოტლანდიურ გლაზგოს „სელტიკს" დაუპირისპირდა.

მატჩი „სელტიკის" მიერ ჩემპიონთა თასის მოგების 33 წლისთავს მიეძღვნა. 1967 წელს გლაზგოელებმა მილანის „ინტერი" დაამარცხეს 2:1 და პრესტიჟულ ჯილდოსაც დაეუფლნენ.

საიუბილეო ამხანაგურ შეხვედრაშიც ზუსტად იგივე ანგარიში დაფიქსირდა. მხოლოდ, ამჯერად „ბაიერნმა" იმარჯვა.

ბრაზილიელი ლეგიონერის, ჯოვანი ელბერისა და ტორსტენ ფინკის ორ გოლს „სელტიკმა" მხოლოდ ერთით უპასუხა.

აღსანიშნავია, რომ მიუნხენელთა მეკარე ოლივერ კანმა შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. მან რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება შეძლო.

მატჩის მიწურულს გლაზგოელმა მცველებმა საკუთარ საჯარიმოში მეჰმეტ შოლი წააქციეს, რისთვისაც მათ კარში პენალტი დაინიშნა. „ბაიერნის" ბოსნიელმა ლეგიონერმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა თერთმეტმეტრიანის გამოყენება ვერ შეძლო.

ორ წუთში მატჩიც დასრულდა. მოწინააღმდეგე გუნდის წევრებმა ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი და გასახდელს მიაშურეს.


REUTERS

გერმანელი ტორსტენ ფინკი სტილიან პეტროვს გაექცა

# რადებეს ორმაგი პასუხისმგებლობა


ლუკას რადებე

რაზე ფიქრობს განაში ჩასული ლუკას რადებე? ცხადია, აფრიკის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩზე და სულაც ჩემპიონობაზე. მას იქნებ სამშობლოც ახსენდება, თუმცა სამხრეთ აფრიკაზე მეტად ინგლისის ამბები აინტერესებს. კვირას რადებემ ტელევიზიით იხილა, ინგლისის ასოციაციის თასზე „ასტონ ვილამ" როგორ დაჩაგრა მისი მშობლიური „ლიდსი" და ძალიან დაღონდა: „ნუთუ, არ შეიძლება კალენდრების შეჯერება?" — ჩივის ფეხბურთელი, რომელსაც კლუბშიც და ნაკრებშიც კაპიტნის სამკლაური უკეთია. ახლახან ვწერდით, დუაიტ იორკს პატრიოტიზმის გრძნობა სუსტად აქვს განვითარებულიო — ტრინიდადელი ეროვნულ ნაკრებს „მანჩესტერს" ამჯობინებს. აი, რადებე კი სამშობლოს დიდი მოყვარული ყოფილა. „ნაკრებში თამაში უდიდესი პატივია, მით უმეტეს, კაპიტანიც ვარ. მაგრამ რა გასაკვირია, რომ პროფესიონალ ფეხბურთელს კლუბზე გული შემტკივა. „ლიდსმა" უჩემოდ რამდენიმე მატჩი გამართა და კიდევ ორ კვირას ასე გაგრძელდება (აქ რადებე გულისხმობს, სამხრეთ აფრიკა თასის ფინალში უეჭველად ითამაშებს, რის გამოც პრემიერლიგას ნაადრევად ვერ დავუბრუნდებიო). არადა, ვიცი, ლიდსში ჩემი ყოფნა აუცილებელია. გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის, ამიტომ ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. ევროპელ მოთამაშეებს კიდევ რა უჭირთ, იქაური სანაკრებო კალენდარი როგორც წესი, ჩემპიონატებისას ემთხვევა. საქმე ყველაზე ცუდად სხვა კონტინენტის კლუბებში მოთამაშეებს გვაქვს".

13 თებერვალს აფრიკის თასის მფლობელიც გაირკვევა და რადებე პრემიერლიგას დაუბრუნდება, თუმცა ზემოთ აღნიშნული პრობლემა გაზაფხულზე კვლავ იჩენს თავს. საქმე ისაა, რომ აპრილში აფრიკელები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმებიან. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპული ჩემპიონატები (არც ინგლისია გამონაკლისი) დაძაბულობის პიკს უახლოვდება.

თუმცა „ბაფანა ბაფანას" მწვრთნელმა ტროტ მოლოტომ რადებე იქნებ პირველ მატჩში სათამაშოდ არც გამოიძახოს. სამხრეთ აფრიკა ჯგუფურ ტურნირისწინა პლეი ოფში მეზობელ ლესოტოს ხვდება და მათი დამარცხება სამხრეთელთა შესუსტებულ ნაკრებსაც არ უნდა გაუჭირდეს.

REUTERS მონაკოდან



მონაკო — პსჟ 1:0. მონაკოელი ლუდოვიკ ჟიული (მარცხნივ) პარიზელმა ლორან რობერმა წააქცია

## საფრანგეთი

XXIV ტური

**მონაკო 1:0 პსჟ**

1:0 ტრეზეგე (86)

**ოსერი 1:0 ბორდო**

1:0 გივარში (86)

„მონაკომ" ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადადგა — შინ, „ლუი მესამეს" სახელობის სტადიონზე, უახლოესი მდევარი პსჟ 1:0 დაამარცხა და გათამაშების ცხრილში უკვე მთელი 10 ქულით დაწინაურდა. ახლა ერთობ საეჭვოა, რომელიმე გუნდმა დარჩენილ ტურებში ქულათა ამხელა სხვაობის გაბათილება მოახერხოს.

მატჩის ბედი კი 86-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონ დავიდ ტრეზეგეს ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ფორვარდმა თავის გუნდს მეტად პრინციპული სამი ქულა მოუპოვა, თვითონ კი ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ლიონელ სონი ანდერსონს წამოეწია და მეორე საფეხურზე დამკვიდრდა. ჯერჯერობით კი საუკეთესო მეგოლე მონაკოელი მარკო სიმონეა, რომელმაც, მართალია, შეხვედრაში თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ 16 გატანილი ბურთით ბომბარდირთა სიას ერთპიროვნულად ლიდერობს.

მიღწეული შედეგით აშკარად კმაყოფილი ჩანდა „მონაკოს" მთავარი მწვრთნელი კლოდ პიუელი, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ეს ჯერჯერობით დამშვიდების საბაბს არ გვაძლევს. მოგება აუცილებლად გვჭირდებოდა, რათა ლიგის თასზე განცდილი მარცხის შემდეგ გუნდს თავისი ძალები ერწმუნა. მართალია, პარიზელებთან ნამდვილი ბრძოლა გადაგვხდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებას მაინც მივაღწიეთ. თუმც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემპიონობამდე ჯერ კიდევ რთული გზაა გასავლელი".

წინა ტურის შეხვედრაში ოთხი გოლის ავტორმა, პარიზელმა კრისტიანმა ამჯერად თავი ვერაფრით ისახელა, გარდა იმისა, რომ პირველ ტაიმში ბურთი ძელს გაარტყა. შემდეგ კი იგი საერთოდ შეცვალეს.

პირველი ტაიმის მიწურულს გადამწყვეტი მომენტი დადგა. პარიზელთა თავდამსხმელმა ლორან რობერმა მეორე გაფრთხილება მიიღო, რაც ავტომატურად წითელ ბარათად იქცა და პსჟ-მ მთელი მეორე ნახევარი რიცხობრივ უმცირესობაში ჩაატარა.

ათი კაცით დარჩენილი სტუმრები „მონაკოს" მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ 86-ე წუთზე მაინც გატყდნენ. თამაშეუბილმა იტალიელმა მარკო სიმონემ მოედნის ცენტრში იაქტიურა და ზუსტი პასით მეტოქის საჯარიმოში დავიდ ტრეზეგე მოძებნა, რომელსაც ვეტერან ბერნარ ლამასთვის გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

„შედეგით აღშფოთებული ვარ" — განაცხადა პსჟ-ს თავკაცმა ფილიპ ბერჟეერომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე — „მონაკოსთან" ქულათა სხვაობა უკვე კატასტროფულად გაიზარდა. ახლა კი ნამდვილად გაგვიჭირდება".

განცდილი მარცხის შემდეგ პარიზულმა კლუბმა მეორედან მესამე პოზიციაზე ჩაინაცვლა და ლიდერს მთელი 11 ქულით ჩამორჩა.

მეორე ადგილზე „ოსერი" დამკვიდრდა, რომელმაც იმავე დღეს შინ „ბორდო" დაამარცხა 1:0. გადამწყვეტი გოლი იქაც შეხვედრის მიწურულს, 86-ე წუთზე გავიდა — სტეფან გივარშმა იყოჩაღა. მერე მატჩი ერთობ დრამატულად წარიმართა. ბოლო წუთზე „ოსერის" კარში პენალტი დაინიშნა. შელაპარაკების გამო კი მთავარმა არბიტრმა გოლის ავტორი გივარში გააძევა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან სილვენ ვილტორდი მივიდა, რომლის დარტყმულიც „ოსერის" მეკარემ მოიგერია და თავის გუნდს გამარჯვება შეუნარჩუნა.

„საკმაოდ ლამაზი და დრამატული მატჩი გამოდგა, გამარჯვება აუცილებლად გვჭირდებოდა და მივაღწიეთ კიდეც. მართალია, შეხვედრის ბედი უკანასკნელ ხუთ წუთში გადაწყდა, მაგრამ ვფიქრობ, სამი ქულა დავიმსახურეთ" — ამბობს ერთადერთი გოლის ავტორი სტეფან გივარში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 24 | 16 | 4 | 4 | 50:20 | 52 |
| ოსერი | 24 | 12 | 6 | 6 | 29:23 | 42 |
| პსჟ | 24 | 12 | 5 | 7 | 37:28 | 41 |
| ლიონი | 23 | 11 | 6 | 6 | 28:23 | 39 |
| ბორდო | 24 | 8 | 8 | 8 | 34:34 | 32 |
| სედანი | 23 | 9 | 5 | 9 | 30:32 | 32 |
| მარსელი | 23 | 7 | 10 | 6 | 29:26 | 31 |
| ბასტია | 23 | 7 | 9 | 7 | 26:24 | 30 |
| სენტ ეტიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:32 | 30 |
| რენი | 23 | 8 | 6 | 9 | 29:30 | 30 |
| ნანსი | 23 | 8 | 5 | 10 | 28:29 | 29 |
| მეცი | 23 | 5 | 13 | 5 | 26:24 | 28 |
| ნანტი | 23 | 8 | 4 | 11 | 25:27 | 28 |
| ლანსი | 23 | 7 | 6 | 10 | 22:27 | 27 |
| სტრასბური | 23 | 7 | 6 | 10 | 25:34 | 27 |
| ლე ავრი | 23 | 7 | 5 | 11 | 21:35 | 26 |
| ტრუა | 23 | 8 | 2 | 13 | 24:39 | 26 |
| მონპელიე | 23 | 5 | 6 | 12 | 24:32 | 21 |

### ზამთრის ტრანსფერები საფრანგეთში (20 დეკემბერი 31 იანვარი)

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| კრისტოფ დიუგარი | მარსელი | ბორდო | 6,5 მლნ დოლარი |
| სილვენ ლეგვინსკი | მონაკო | ბორდო | 3,2 |
| ბრუნო როდრიგესი | პსჟ | ლანსი | 2,5 |
| ფრანკ დიუმა | ნიუკასლი | მარსელი | 2,1 |
| კაბა დიავარა | მარსელი | პსჟ | 2 + ჟერომ ლე რუა |
| ჟოსელინ გურვენეკი | მონპელიე | რენი | 2 |
| ჟერალდ ბატიკლი | ოსერი | მეცი | 800 ათასი |
| ფაბრიციო რავანელი | მარსელი | ლაციო | 750 ათასი |
| ქსავიე გრაველენი | უოტფორდი | ლე ავრი | უცნობია |
| ჟან პიერ სიპრიენი | ლეჩე | მარსელი | გაანათხოვრეს |
| ჟერომ ლე რუა | პსჟ | მარსელი | გაცვალეს კაბა დიავარაში + 2 მლნ |
| ედუარდო ბერიზო | მარსელი | რივერ პლეიტი | უცნობია |
| ჟამელ ბელმადი | მარხელი | სელტა | გაანათხოვრეს |
| მარიანო ჰერონი | არგ. ხუნიორსი | მონპელიე | უცნობია |
| რუი პატაკა | ბელენენსეში | მონპელიე | გაანათხოვრეს |
| ანტონიო გუვეია | ბელენენსეში | მონპელიე | გაანათხოვრეს |
| ზე ალჩინო | პორტუ ალეგრი | ნანსი | უცნობია |
| ტალალ ელ კარკური | რაჯა კასაბლანკა | პსჟ | გაანათხოვრეს |
| ბრუნო კაროტი | პსჟ | სენტ ეტიენი | გაანათხოვრეს |



მარსელიდან წამოსული ფაბრიციო რავანელი (მარჯვნივ) სეზონს რომის „ლაციოში" ჩაამთავრებს

## GhanaNigeria2000 აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

### III ტური

#### C ჯგუფი

**ეგვიპტე 4:2 ბურკინა ფასო**

0:1 კუდუ (9), 0:2 სანუ (23), 1:2 ჰოსნი (29), 2:2 ჰ. ჰასანი (73 პ), 3:2 რამზი (84), 4:2 ალი (88)

ეგვიპტე: ნ. ელ საიედი, ომარა, ჰ. რამზი, ი. საიდი, ა. ჰასანი (ალ საიდი 79), ხაზაბა, საბრი, აბდელმონაიმი, ემამი, ჰ. ჰასანი, ჰოსნი (ალი 85)

ბურკინა ფასო: სულამა, სანოგო, დოსამა, კორბეოგო, უ. ტრაორე, კუდუ (ს. ტრაორე 73), კონე (ფალი 59), ბ. ტრაორე, კერე, ზონგო, სანუ

**ზამბია 2:2 სენეგალი.**

0:1 კამარა (47), 1:1 ჩილემბი (52), 1:2 მბაიე (82), 2:2 ბვალია (88)

*(სასტარტო შემადგენლობები)*

ზამბია: მსჩილი, ჩილემბი, სიჩონე, ტანა, მვანზა, ლოტა, ბვალია, ტემბო, სინკალა, მვევა, მაკუფი

სენეგალი: დიალო, უ. ტრაორე, მალიკ დიოპი, ა. კამარა, ნდიაე, ფადიგა, კეიტა, უსმან დიოპი, ფალი, სიდი ბა, სარი

აფრიკის თასის გათამაშებამ უკვე რამდენიმე მოულოდნელობა შემოგვთავაზა. C ჯგუფი ამ მხრივ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა მესამე ტურში ბურკინა ფასოს შეეძლო სენსაცია მოეხდინა.

შეხვედრის დაწყების წინ ათასგვარი პროგნოზი გაკეთდა. მეოთხედფინალში გასასვლელად ბურკინაფასოელ „ულაყებს" სამი ქულა სჭირდებოდათ, ამასთანავე სენეგალს ზამბიასთან უნდა წაეგო. ამ შემთხვევაში ბურკინა ფასო და ზამბია ერთნაირ ქულებს დააგროვებდნენ და მეორეადგილოსნის ვინაობას ბურთების უკეთესი შეფარდება გაარკვევდა. ბურკინელები იმედოვნებდნენ, რომ მიზანს მიაღწევდნენ. მათ ეგვიპტელთა „დახმარების" იმედი ჰქონდათ, რომლებსაც ჯგუფიდან გასვლა ადრევე გაენაღდებინათ. მატჩი სწორედ ამგვარი სცენარით დაიწყო. უკვე მე-9 წუთზე ისმაელ კუდუმ ანგარიში გახსნა, ხოლო 14 წუთის შემდეგ ტილბურგელმა უსმან სანუმ ეგვიპტელთა მეკარე ნადერ ელ საიედის კარი მეორედ დალაშქრა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეგვიპტელები ძალებს მეოთხედფინალისთვის დაზოგავდნენ და თამაშს უბრძოლველად დათმობდნენ. ბურკინაფასოელები უკვე იმასლა ნატრობდნენ, ლაგოსში იმავდროულად მიმდინარე მატჩი მათთვის სასურველი შედეგით დასრულებულიყო. ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, ეგვიპტე დანებებას არ აპირებდა. 29-ე წუთზე შტუტგარტელმა თავდამსხმელმა აჰმედ სალაჰ ჰოსნიმ ერთი ბურთი გაქვითა, რითაც მეტოქის იმედებს წყალი გადაასხა. შესვენებაზე გუნდები ამ ანგარიშით გაიყარნენ. მეორე ტაიმი მთლიანად ეგვიპტელების იყო. მოქმედ ჩემპიონთა გააქტიურებამ ბურკინაფასოელები გაანერვიულა. მათ იქნებ აფრიკის თასის წინა გათამაშების ნახევარფინალიც გაიხსენეს, სადაც ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდენ და ტურნირის მასპინძლებმა (თასის გათამაშება ბურკინა ფასოში გაიმართა) ფინალის საგზური ეგვიპტელებს უბრძოლველად ჩააბარეს. როგორც ვთქვით, „ულაყებს" ნერვიულობა დაეტყოთ. შედეგად საჯარიმოში შეჭრილი ჰოსამ ჰასანი მცველებმა აკრძალული ხერხით წააქციეს და პენალტიც დაინიშნა, რომელიც თავად დაზარალებულმა ზუსტად დაარტყა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ბურკინაფასოელები საბოლოოდ გატყდნენ. მათ მეტოქის დამარცხების იმედი დაკარგეს და გალაღებული ეგვიპტელებისგან კიდევ ორი გოლი მიიღეს. 84-ე წუთზე კიდევ ერთმა ბუნდესლიგელმა ჰანი რამზიმ მესამე შეაგდო. შემდეგ ალი აბდელჰალიმმაც იხეირა და მატჩი 4:2 დასრულდა. ამრიგად, ეგვიპტე პირველი გუნდი შეიქნა, ვინაც ჯგუფური ეტაპი ქულათა მაქსიმუმით დაასრულა. ამ შედეგის გამეორება მხოლოდ სამხრეთაფრიკელებს ძალუძთ. ისინი B ჯგუფს ორი ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობენ.

პარალელურად მიმდინარე მატჩში ზამბია სენეგალს დაუპირისპირდა. იქაც ორივე გუნდს თავიანთი მიზნები ამოძრავებდა. სენეგალელები ეგვიპტეს პირველ ადგილს ვერ ეცილებოდნენ, არც იმის შიში ჰქონდათ, რომ ბურკინაფასოელები დაეწეოდნენ. მათი ამოცანა ასეთი იყო — ზამბიასთან არ უნდა წაეგოთ. თავის მხრივ, ზამბიას მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს.

პირველი ტაიმი ზამბიელთა უპირატესობით წარიმართა და რამდენიმე მშვენიერი მომენტიც შეიქმნა. უკვე მე-5 წუთზე ბერნარდ მაკუფიმ მეტად სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა სენეგალელთა კარს. კიდევ რამდენიმე წუთიც და ამჯერად ანდრეუ ტემბომ გაარტყა ძელს. შემდეგ საჯარიმოში შეჭრილი დენის ლოტა მეკარე ომარ დიალომ წააქცია. სენეგალელთა საბედნიეროდ, მსაჯმა ეს მომენტი ვერ შეამჩნია და ზამბიელთა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო. ტაიმი უგოლოდ დასრულდა და ზამბიელმა „ჩიპოლოჩიპოლოებმა" გოლის გატანა მეორე ტაიმისთვის გადადეს. შესვენების შემდეგ კი სულ სხვა თამაში წავიდა. ზამბიელებმა დაცვაში ყურადღება მოადუნეს და დაისაჯნენ. ქსამაქსელმა ანრი კამარამ სენეგალელები დააწინაურა. ზამბიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და გაშვებული გოლიდან ხუთიოდე წუთში ლაუტერ ჩილემბიმ წონასწორობა აღადგინა. შემდეგ შეცვლაზე შესულმა აბდულა მბაიემ იყოჩაღა და სენეგალელები მეორედ დააწინაურა. მისი გოლი ლამაზი საცქერი იყო. მბაიემ ზედიზედ მოატყუა მეტოქის ორი მცველი და მათ მეკარეც მიაყოლა. ზამბიელებმა კიდევ ერთხელ გაათანაბრეს, თუმც მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. მეორე გოლი ნაკრების 37 წლის კაპიტანმა კალუშა ბვალიამ თერთმეტმეტრიანით შეაგდო, რომელიც სენეგალელი მცველის ხელით თამაშს მოჰყვა. ბვალიას, ვინც მექსიკურ „ვერა კრუზში" თამაშობს, პირველი დარტყმა არ გამოუვიდა. მეკარემ პენალტი მოიგერია, მაგრამ ვეტერანი ფეხბურთელი ბურთთან ყველაზე ადრე გაჩნდა და თავისივე შეცდომა გამოასწორა. მატჩი 2:2 დასრულდა, რაც სენეგალელთათვის მისაღები შედეგია.

მაშ ასე, ეგვიპტის და სენეგალის მეტოქეთა ვინაობას D-ჯგუფელთა ბოლო ორი შეხვედრა გაარკვევს. 3 თებერვალს დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ნიგერია მაროკოს ხვდება. ორივე გუნდი მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავა. მიზეზი ნათელია — მეორეადგილოსანი მეოთხედფინალში ეგვიპტეს გადაეყრება, ეს კი არავის სურს.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| სენეგალი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ზამბია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ბურკინა ფასო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

*მეოთხედფინალში გავიდნენ ეგვიპტე და სენეგალი*

## საფრანგეთი

### ლიგის თასი

**მეოთხედფინალის წილისყრა**

პსჟ — ნანსი ან სოშო; გენგონი — სტრასბური; ლიონი — ბასტია; სედანი — რედ სტარი

*მატჩები გაიმართება 19-20 თებერვალს*

## ისრაელი

### ლიგის (ტოტო) თასი.

ნახევარფინალი

**მაკაბი (ჰაიფა) 3:0 ირონი**

1:0 კლეშჩენკო (27), 2:0 ივანოვი (38), 3:0 ბენაიონი (44)

**აშდოდი 0:2 მაკაბი** *(ფეთაჰ თიკვა)*

0:1 ტუბი (6), 0:2 ბარანსი (10)

*ფინალი გაიმართება 15 თებერვალს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუჰამედი ერიკს იცნობს

ლონდონური „ფულემის" ერთ-ერთი ახალდანიშნული ხელისუფალი, მაქს კლიფორდი უარყოფს ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს, თითქოს ინგლისის პირველ დივიზიონში მოთამაშე ამ გუნდის მწვრთნელის თანამდებობაზე პოლ ბრეისუელი ახლო წარსულის ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა, ერიკ კანტონამ უნდა შეცვალოს.

როდესაც კლიფორდს ჰკითხეს უარყოფს თუ არა ის, რომ „ფულემის" ხელმძღვანელობამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდას მწვრთნელობა შესთავაზა, მან უპასუხა:

„ვერ დავიჩემებ, რომ ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან „ფულემის" თავმჯდომარე მუჰამედ ალ-ფაედი ერიკს იცნობს. ჩემთვის ცნობილია, რომ დღეს გუნდს პოლ ბრეისუელი უდგას სათავეში და თუ რაიმე ცვლილებაა მოსალოდნელი, იგი პირველი შეიტყობს ამის შესახებ. ერიკ კანტონა ერთ-ერთია იმ ხუთთაგან, რომელთა სახელებიც თავმჯდომარეს უხსენებია, თუმცა იმის მტკიცება, რომ იგი ერთი კვირის, თვის ან წლის შემდეგ „ფულემის" მწვრთნელი არ გახდება, არასწორი იქნებოდა. ფეხბურთში ასეთი რამ ხდება.

მუჰამედი პოლ ბრეისუელზე კარგი შეხედულებისაა. პოლი ალალი კაცია და საქმეს ერთგულად ემსახურება, ოღონდ ფეხბურთის ამბავი მოგეხსენებათ, ყველაფერი მოგება-წაგებაზეა დამოკიდებული. პოლს ეს კარგად ესმის. ის მუჰამედს უკვე ესაუბრა და მათ შორის გაუგებრობა არ არსებობს".

შეგახსენებთ, რომ მილიონერი ალ ფაედის გუნდს ერთი ხნის წინ სათავეში ინგლისის ნაკრების ახლანდელი თავკაცი კევინ კიგანი ედგა.

# ცოლი საშინელებაა

ინგლისურ გაზეთებსა და ინტერნეტის ვებსაიტებში გავრცელებული ცნობების თანახმად „არსენალი" „მანჩესტერ იუნაიტედს" დევიდ ბექემის სანაცვლოდ 25 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ამ ამბის ჭეშმარიტება, ალბათ, მომავალში შემოწმდება, ჯერჯერობით კი არსებობს ეს ცნობა და ჭორი იმის თაობაზე, რომ ფეხბურთელს კლუბის გამოცვლას პოპ ვარსკვლავი მეუღლე ვიქტორია ადამსი აიძულებს. ამბობენ, რომ ადამსს მეუღლის ჰერტფორდშირში მცხოვრები თავისი ოჯახის სიახლოვეს დასახლება სურს.

სამშაბათს 365 წერდა, რომ „არსენალის" დირექტორატის წევრები ბექემის გადაბირებაში დარწმუნებულნი არიან. იქვე ეწერა, რომ ფეხბურთელს მისმა სახალხო სამსჯავროზე გამოტანილმა პირადმა ცხოვრებამ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელთან, ალექს ფერგიუსონთან გაუფუჭა ურთიერთობა. თურმე ბექემის ვარსკვლავურმა ქცევამ „იუნაიტედის" სადისციპლინო შინაგანაწესს სერიოზული დარტყმა მიაყენა.

„დეილი მეილმა" ოთხშაბათს თემა კიდევ უფრო განავითარა და დასძინა, თითქოს, მეთოფეები „მანჩესტერს" 25 მილიონს სთავაზობენ, ნახევარმცველს კი დიდ გასამრჯელოს.

ამ საკითხების შესახებ თავად ბექემს არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რასაც ხშირად იმეორებს ხოლმე — „იუნაიტედში" თავს ბედნიერად ვგრძნობ და კონტრაქტით დარჩენილი ორი წლის აქ გატარება მსურსო.

შეგახსენებთ, რომ მოთამაშე, რომელზეც ბოლო დროს ამდენს ლაპარაკობენ „მანჩესტერ იუნაიტედში" მისვლამდე ჯერ მესამე დივიზიონის „ლეიტონ ორიენტში" ცდიდა ბედს, შემდეგ კი „ტოტენჰემის" ნიჭიერთა სკოლაში ვარჯიშობდა.

# საბრალო ბიჭის ფეხის და გულის ტკივილი





მაიკლ ოუენი

მაიკლ ოუენის ჯანმრთელობის შესახებ „ლივერპული" სპეციალისტების დასკვნას ელოდება და განწყობილია საიმისოდ, რომ დასკვნაში, შესაძლოა უსიამოვნო რამ ეწეროს.

აშკარაა, რომ ყმაწვილი ვარსკვლავი პრემიერლიგის უახლოეს მატჩებს გამოტოვებს. მას 22 იანვრის შემდეგ არ უვარჯიშია, გასულ კვირას კი ჰერლი სტრიტზე მდებარე კლინიკას ეწვია.

როგორც ამბობენ, ოუენის ახლანდელი ტრავმა განსხვავდება იმისგან, ფეხბურთელს გასული სეზონის მიწურულს რომ გააცდენინა თამაშები, თუმცა სტრუქტურულად მისი გაგრძელებაც შეიძლება იყოს. 20 წლის ფორვარდისთვის ეს გასული წლის აპრილის შემდეგ ორთავა კუნთის მეხუთე დაზიანებაა.

ზაფხულზე ოუენი გერმანიაში ეწვია სპეციალისტს, რომელმაც საგანგებო ვარჯიშები დაუნიშნა და მკურნალობის განსხვავებული მეთოდებიც შესთავაზა. მაშინ მოთამაშე იმ ტრავმას მკურნალობდა, ხსენებულ აპრილში „ლიდს იუნაიტედთან" შეხვედრაში რომ მიიღო. ოუენი გერმანელი ექიმის მეთოდს ასე აღწერდა:

„მასში ბევრი სარელაქსაციო ვარჯიშია, მრავლადაა მასაჟები, გაჭიმვები, ცხელი აბაზანები და ყველაფერი იმისთვის, რომ სისხლმა ჩემი ზურგიდან ორთავა კუნთამდე თავისუფლად იმოძრაოს. საქმე ის გახლავთ, რომ სწრაფ ადამიანთა უმრავლესობა ორთავა კუნთის დაზიანებისკენ გახლავთ მიდრეკილი. გარდა ამისა, ტრავმას სხვადასხვა გარემოებანი უწყობენ ხელს. დავიწყოთ იმით, რომ ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად შესვენების გარეშე ვთამაშობდი. სეზონის წინა პერიოდში, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ნორმალურად არ დამისვენია. ხან ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში მალაიზიაში გახლდათ და ხან სად. ერთადერთი, გასული სეზონის წინ მოვახერხე დასვენება. ახლა, განსხვავებული ვარჯიშების შემდეგ გამოვკეთდი და ვიმედოვნებ, რომ ტრავმა აღარ განმეორდება".

ოუენის და მისი გუნდების სამწუხაროდ ტრავმა განმეორდა და „ლივერპული", რომელსაც მის გარდა რობი ფაულერიც დაუშავდა, იტალიაში „ინტერს" დაუკავშირდა რობერტო ბაჯოს გადაბირების თაობაზე. ენფილდელთა სამწუხაროდ, ბაჯო მილანის გუნდში ბოლო დროს ბრწყინავს და მის პრემიერლიგაში გადასვლაზე ლაპარაკი, როგორც ჩანს, ლაპარაკადვე დარჩება.

ინგლისის ნაკრებს, მოგეხსენებათ, 23 თებერვალს „უემბლიზე" არგენტინის ნაკრებთან უწევს თამაში, თუმცა ოუენი მასში მონაწილეობას, ალბათ, ვერ მიიღებს. მეტიც, საეჭვოა იგი ევრო 2000-ზე წამსვლელთა სიაში მოხვდეს, მით უფრო, რომ ქვეყნის მთავარი ბომბარდირი, ალან შირერი დიდებულ ფორმაშია.

# რა კარგი თამაშია ეს ფეხბურთი!





ტედი შერინგემი

*სუპერსათადარიგო — ეს ირონიული და იმავდროულად ძლიერებაზე მეტყველი მეტსახელი სწორედ იმ ტედი შერინგემს შეარქვეს, ჩემპიონთა თასის ბოლო ფინალში მოედანზე შეხვედრის მიწურულს რომ შევიდა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში უბრწყინვალესი წამების ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. ეს სწორედ ის შერინგემია, 1997 წლის გაზაფხულზე, „უემბლიზე" საქართველოს ნაკრების კარში შემზარავი ძალის თავურით გოლი რომ შეაგდო, ბოლო ხანს კი „ოლდ ტრეფორდზე" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და ხმებიც კი დაირხა, შესაძლოა ახალი გუნდი მოძებნოსო. გამოჩნდა მისი შეძენით მეტად დაინტერესებული ადამიანიც — „ვესტ ჰემის" თავკაცი, ჰარი რედნაპი, თუმცა სუპერსათადარიგო ჯერჯერობით არ ჩქარობს.*

**— თუ ჩემპიონთა თასის ფინალში თქვენი გმირობის ამბავს გავიხსენებთ, ალბათ, ამ სეზონში ალექს ფერგიუსონის სასტარტო შემადგენლობაში უფრო ხშირად უნდა გრგებოდათ ადგილი.**

— გასული სეზონის ამბების მიუხედავად „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდასხმაში არაფერი შეცვლილა. ახლა მძიმე, გრძელი ჩემპიონატი მიმდინარეობს და, მართალი გითხრათ, ჩემს სასარგებლოდ რაიმე რადიკალურ ცვლილებებს არც ველოდი. ისინი ვინც სასტარტო შემადგენლობაში თამაშობენ იმდენად ძლიერები არიან, რომ მათთან ჭიდილი ძნელია. დუაიტ იორკისა და ენდი კოულის მიერ გატანილი გოლების რაოდენობას რომ ვუყურებთ, ვხვდებით, რომ რომელიმე მათგანის გუნდიდან ამოგდება შეუძლებელია.

**— მაგრამ, ალბათ, საწყენია.**

— ბუნებრივია. მე და ოლე (სოლსკიაერი) მოედანზე შევედით (ჩემპიონთა თასის ფინალში) და გავაკეთეთ ის, რაც თავდამსხმელებს მოეთხოვებათ, მაგრამ მათ, ვისაც მწვრთნელი რეგულარულად ათამაშებს, იგივე უამრავჯერ გაუკეთებიათ, ასე რომ, ვიმეორებ, საგანგებო ცვლილებები მოსალოდნელი არც იყო.

**— როგორ უმკლავდებით ამ მდგომარეობას? ხომ ფაქტია, რომ როდესაც იშვიათი შანსი გეძლევათ, ორმაგ ზეწოლას გრძნობთ, რადგან იცით, რომ რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, თავი უნდა გამოიჩინოთ.**

— ფეხბურთელები ასეთ მდგომარეობას კარგად ვიცნობთ, თუმცა არ მგონია ქვეყნად იყოს ვინმე ვინც მას შეეგუება. ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა ხომ მოქმედებაა. გულიდან სიმძიმის მოსახსნელად ვცდილობ ვიფიქრო იმაზე თუ რა ძლიერები არიან სხვა ფეხბურთელები და საერთოდ, რა კარგი თამაშია თავად ფეხბურთი. მახსოვს სხვადასხვა გუნდებში თამაშის დროს როგორ მალიზიანებდნენ მოთამაშეები, რომლებიც სუსტები. კაცს, რომელსაც ასეთი რამ მრავლად უნახავს განსაკუთრებულად თამაშის ფასიც მოეხსნება.

**— და კვლავ იმედოვნებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის დროს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში იქნებით?**

— ამჯერადაც სიამოვნებით ვიქნებოდი ნაკრების წევრი, მაგრამ ვნახოთ რა მოხდება. გასულ სეზონში მოვახერხე ეროვნულ გუნდში ადგილის მოპოვება, ახლა კი ვიცი რომ კევინ კიგანი არ წამიყვანს თუ „მანჩესტერ იუნაიტედში" რეგულარულად არ ვითამაშებ. ასე რომ ორ, ფრონტზე ვიმედოვნებ საქმეების გამოსწორებას. კიგანმა როცა მიმიწვია „იუნაიტედში" ხშირად გავყავდით მოედანზე. დიდ თამაშებში გოლების გატანამ კვლავ ყურადღების ცენტრში დამაბრუნა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ისე, როგორც ბულგარეთში, ველარ ვითამაშე. კაცმა არ იცის რა მოხდება მომავალში, ისე კი კევინმა მითხრა რაღაც-რაღაცეები კარგად მენიშნაო.

**— ბოლოხანს ბევრჯერ თქვეს, რომ თქვენ „მანჩესტერ იუნაიტედს" დატოვებთ. ამაზე რას გვეტყოდით?**

— სადღაც წავიკითხე, რომ ჩემით „ტორინო" ყოფილა დაინტერესებული, მინდა გითხრათ, რომ ამ წუთას „იუნაიტედში" თავს ბედნიერად ვგრძნობ. სულ ასე ვარ, საკუთარ თავს ვეუბნები, რომ თუ რაიმე გამოჩნდება, განვიხილავ, თუმცა გასული სეზონის ბოლოს მომხდარი ამბების შემდეგ უკმაყოფილების გრძნობა ვერ მერევა.

**— „იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებთ?**

— ჯერჯერობით დარჩიო ჩემთვის არავის უთქვამს. საწყენია სასტარტო შემადგენლობის მოთამაშე რომ არ ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ეს დიდი გუნდის ფეხბურთელის ხვედრია. თანაც მსოფლიოს ნებისმიერ სუპერკლუბს სიაში ოთხი თავდამსხმელი უკვე ჰყავს, ასე რომ, მომავალზე ფიქრი საფუძვლიანადაა საჭირო.

**— გავიხსენოთ გასული სეზონი. „მანჩესტერ იუნაიტედმა" სამი დიდი ჯილდო მოიგო, რაც, ალბათ, თქვენი კარიერის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი გახლდათ.**

— მართლაც. იცით, ხალხი დღემდე ცდილობს ამ ამბებზე მელაპარაკოს. განსაკუთრებით ჩემპიონთა თასის მოპოვების ამბავი აინტერესებთ და მეც, ერთი წუთით არ ვეწინააღმდეგები ამას. ვამაყობ, რომ დიდი გამარჯვებების მონაწილე გახლდით.

**— ძნელია გასული წლის დონის შენარჩუნება და ახალ გამარჯვებათა მოპოვება?**

— ტრიუმფის შემდგომი სეზონი ყოველთვის უძნელესია. ერთ ჯილდოს რომ მოიგებ — სამზე რომ აღარაფერი ვთქვათ — გამეორება ძნელია, მაგრამ ვცდით.

ესაუბრა ჯეიმი ძოული
თარგმნა მიხეილ სურგულაძემ

# სიდნეი 2000

## დარჩა 224 დღე

# გიორგი რევაზიშვილი: საქართველოდან აქამდე უნდა წავსულიყავი

**გიორგი რევაზიშვილი, როგორც ყველა ქართველი სპორტსმენი, გულნატკენია დღევანდელი ყოფით და ქართულ სპორტში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, მაგრამ ერთი გამონათქვამისა არ იყოს, ისიც უკეთესი მომავლის იმედით ცოცხლობს:**

— საერთოდ, ბავშვობაში თითქმის სპორტის ყველა სახეობა მიყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით ძიუდო მიზიდავდა — გვიამბობს გიორგი რევაზიშვილი. მე საგარეჯოელი ვარ და ამ პატარა ქალაქში ძიუდო ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა. გარკვეულწილად ამ გარემოებამ, აგრეთვე სპორტის ამ სახეობისადმი ჩემმა დიდმა ლტოლვამ გადამაწყვეტინა იქვე, ნინოწმინდაში, ძიუდოს სექციაში ჩავწერილიყავი. აი, ასე დავიწყე დიდი სპორტისკენ ნელ-ნელა სვლა.



გიორგი რევაზიშვილი

**— გიორგი, ბევრ საერთაშორისო ტურნირში გიასპარეზია და წარმატება-წარუმატებლობაც მრავლად გქონია. იქნებ გაიხსენო შენს კარიერაში ყველაზე გასახარი და გულდასაწყვეტი ეპიზოდები?**

— ამბობენ, მოგება-წაგება ძმები არიანო, მაგრამ მარცხთან შეგუებული სპორტსმენი ჯერ არ მინახავს. ჩემს კარიერაში ორი მეტად გულდასაწყვეტი ეპიზოდი მახსენდება. პირველი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე განცდილი ფიასკო იყო, მეორე კი შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ხელის მოცარვა, როცა უმედლოდ დავრჩი. რაც შეეხება წარმატებებს, ისინიც საკმაოდ მქონია, მაგრამ მთავარი გამარჯვებები ჯერ კიდევ წინ არის.

**— 1999 წელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. როგორი იყო იგი გიორგი რევაზიშვილისთვის, წარმატებული?**

— როგორ გითხრა, ძალიან ძნელია ასე უცბად მთელი წლის შეფასება. შარშან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების გარდა კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზე. კაცმა რომ თქვას, უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა მეტის მიღწევა შემეძლო. რაც მთავარია, ჩემი უპირველესი მიზანი განვახორციელე, პროგრამა მინიმუმი შევასრულე და ჩემთვის უჩვეულო წონით კატეგორიაში (73 კგ) მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალთან ერთად ოლიმპიურ ლიცენზიაც მოვიპოვე. ეს ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. ამიტომაც შარშანდელი შედეგებით კმაყოფილი ვარ.

**— ზემოთ ევროპის ჩემპიონატი ახსენე. რამ შეგიშალა ხელი წარმატების მიღწევაში?**

— ევროპის ჩემპიონატის გახსენებაც კი არ მინდა. მარტო გამართლებაზე არაა საუბარი. უბრალოდ, გულდასაწყვეტი ისაა, რომ ჩვენნაირ პატარა და უპატრონო ქვეყანას არაფრად აგდებენ და ნებისმიერ მომენტში შეიძლება ფეხი დაგიდონ. ნახევარფინალში გადასასვლელ ორთაბრძოლაში იტალიელ ძიუდოისტთან მსაჯებმა, როგორც იტყვიან, დამწვეს. ამან ჩემზე ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იმოქმედა და მომდევნო ბრძოლებისთვის ძალების სათანადო მობილიზება ველარ შევძელი.

**— სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონტაზე ბირმინგემში III ადგილი და ოლიმპიური ლიცენზია დაისაკუთრე. თვლი თუ არა, რომ ეს შედეგი შენთვის მაქსიმუმი იყო?**

— დიახ, ასე ვფიქრობ, რადგან 73 კილოში საქართველოს პირველობაზეც არ მიჭიდავია და პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაველი და წარმატების მისაღწევად, როგორც იტყვიან, საკუთარი ტყავიდან გავძვერი.

**— ისე, ბოლო პერიოდია 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში თქვენსა და ვაზაგაშვილს თუ მწვრთნელთა შორის დიდი დავა-კამათია.**

— მთავარი ისაა, რომ მე ჩემი საქმე ბოლომდე მივიყვანე და დავამტკიცე, რომ ჭიდაობა ორივე წონით კატეგორიაში შემიძლია. იყო დრო, როცა ვაზაგაშვილმა დამსახურებულად ამომაგდო ამ წონიდან, დღეს კი იმას შიშობენ, ვაითუ ლიცენზია ვერ მოიპოვოსო. მე მზად ვარ სადაც საჭიროა, იქ ვიჭიდავო.

**— მაგრამ შენ ხომ ხაზარელმა უკვე წონის არჩევის საშუალება მოგცა?**

— მართალია, მაგრამ 66 კილოში ხომ ლიცენზია ჯერ მოსაპოვებელია. თუ ძალიან გაჭირდა, ამ საქმესაც ვიკისრებ, რაც შეეხება ოლიმპიადას, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადავწყვეტ, თუ რომელ წონაში ვიჭიდავებ. ჯერჯერობით კი 60 პროცენტით 73 კილოგრამისკენ ვიხრები.

**— წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე რას გეგმავ?**

— უნდა ითქვას, რომ ეს ევროპის ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩემს კარიერაში, რადგან საბოლოოდ უნდა გავარკვიო, თუ სიდნეიში რომელ წონაში ვიასპარეზებ. პროგნოზისგან თავს შევიკავებ, რადგან წინასწარ ბაქი-ბუქი არ მჩვევია. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე რომ ვიბრძოლებ და მოსაგებს არ წავაგებ, ამაში დარწმუნებული იყავით.

**— დღეს ბევრი სპორტსმენი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო საზღვარგარეთ გარბის. შენც იქით ხომ არ გიჭირავს თვალი?**

— საქართველოდან აქამდე უნდა წავსულიყავი. რომ არ წაველი, ეს ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რასაც დღესაც ვნანობ. მე საკმაოდ კარგი შემოთავაზებები მქონდა ისრაელიდან, მაგრამ სეოკ-ის პრეზიდენტს ხათრი ველარ გავუტეხე და დარჩენა გადავწყვიტე. ძალიან მწყინს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ოლიმპიადის მერე აქ გამჩერებელი აღარ ვარ. მსოფლიოს ჩემპიონატზე III ადგილი მოვიპოვე და ლარი რომ ლარია, ისიც არავის მოუცია, მაშინ, როდესაც ისრაელი და საბერძნეთი VII-VIII ადგილებზე გასულ ძიუდოისტებს 40-50 ათასი დოლარით აჯილდოებს. მე ჩემი ქვეყნისთვის 8 კილოგრამი ხან უნდა მოვიმატო და ხან დავიკლო, რაც ჯანმრთელობისთვის მავნეა, სახელმწიფო კი ჩემზე ერთი წუთითაც არ ფიქრობს. ისე არ გამიგოთ რომ, მე ჩემს ქვეყანას რაიმეს ვაყვედრი, უბრალოდ, იქ, ზემოთ, ვილაცამ ხომ უნდა შეიგნოს, რომ სპორტსმენები ჰაერით არ იკვებებიან. ყოველივე ამის შემდეგ კაცს ვარჯიშზე მისვლის ხალისი და გუნებაგანწყობილებაც გიქრება.

**— გამოდის, რომ ვარჯიშებზე უხალისოდ დადიხარ?**

— ეს ბუნებრივიცაა. კაცს რომ შინ საჭმელ-სასმელი არ ექნება, ვარჯიშის რალანაირი სურვილი და განწყობა უნდა ჰქონდეს? ალალად გეტყვი, მე რომ ჩემი სიმამრი გოგი მელიქიშვილი არ მედგეს მხარში, ძალიან გამიჭირდებოდა. ბევრჯერ მივსულვარ და ფინანსურადაც ხელი გაუმართავს. არადა, პატარა სპორტსმენი არ ვარ და პირიქით უნდა ხდებოდეს.

**— სიმამრის გარდა კიდევ ვისგან გრძნობთ დახმარებას?**

— პირველ რიგში ოლიმპიური კომიტეტისგან. მათი ხელმძღვანელობა მაქსიმუმს აკეთებს და ყველა ოლიმპიელს შეძლებისდაგვარად ეხმარება, რისთვისაც მათი დიდი მადლობელი ვარ, მეხმარება ასევე TBC ბანკის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე და ქალაქის მერიაც. მათი წყალობით როგორღაც გაგვაქვს თავი. სპორტის დეპარტამენტში უკვე 8 თვეა, რაც ხელფასი არ აგვილია. ღმერთმა დაიფაროს და, მთავრობისგან თუ სპორტისადმი „მზრუნველობა“ კვლავ ასე გაგრძელდა, სასიდნეოდ ძალიან ცუდად წაგვივა საქმე.

**— და მაინც. რას უნდა ველოდოთ გიორგი რევაზიშვილისგან ოლიმპიურ თამაშებზე?**

— თუ სათანადო ხელშეწყობა იქნება, მაშინ, ალბათ, რომელიმე სინჯის მედალი უნდა მოვიპოვო, წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისში აღარ დავბრუნდები (იცინის).

**— ახლა, მოდი, ორიოდე სიტყვა შენი მეტსახელის შესახებაც გვითხარი.**

— ჯლანას მამაჩემს ეძახდნენ და მემკვიდრეობით მეც მერგო. ისე, არც მამაჩემი და არც მე, მგონი მახინჯები არა ვართ და საიდან გამოგვიჩხრიკეს ეს „კლიჩკა“, ვერ გეტყვი. ისე, ჩემს შვილსაც პატარა ჯლანას ეძახიან. ერთი სიტყვით, ეს მეტსახელი ჩვენს საგვარეულოში ხელიდან ხელში გადადის.

**კახა ბერიძე**

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

### ემზარ ბედინეიშვილი
(თავისუფალი ჭიდაობა)



*დაიბადა თბილისში 1976 წლის 16 აგვისტოს. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1988 წელს თენგიზ ღამბაშიძესთან. არის საქართველოს ჩემპიონი, 1995 წლის თანამეგობრობის ქვეყნების ახალგაზრდული ჩემპიონატის III პრიზიორი, 1996 წლის მინსკის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორი, 1996-98 წლებში ვახტანგ ბალავაძის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, 1997 წლის ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირის III პრიზიორი, 1999 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.*

**სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს**

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?
2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.
3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

*1. თავიდან ფეხბურთზე დავდიოდი და არცთუ ურიგოდ ვთამაშობდი, მაგრამ დროთა განმავლობაში საჭიდაო ხალიჩაზე ამოვყავი თავი. ამას გარკვეულწილად ხელი იმანაც შეუწყო, რომ იმ დროს, ბიძაჩემი პაატა კეკელიძე თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელად მუშაობდა. მეც ხათრი ველარ გავუტეხე და ჭიდაობა დავიწყე.*

*2. პატარ-პატარა კურიოზები მრავლად მქონია, მაგრამ ასე გამორჩეულად არცერთი არ მახსენდება.*

*3. ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო, მაგრამ მარტო იმედადაც ვერ იქნები. თუ პატარა ხელშეწყობა იქნება, სიდნეიში ალბათ მედალს მოვიპოვებ. ყოველ შემთხვევაში, წარმატების მისაღწევად ძალ-ღონეს არ დავიშურებ და მაქსიმუმს გავიღებ. ერთი სიტყვით, ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ მედლის მოპოვების მიზნით გავემგზავრები.*

## კონკურსი

## ოლიმპიური ვიქტორინა

### V ტური

*1. დაგვისახელეთ მოჭიდავე, რომელსაც კარიერის მანძილზე არც ერთი ოფიციალური შეხვედრა არ წაუგია.*

*2. სად ჩატარდა 1952 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა მასში?*

*3. დაგვისახელეთ ჩოგბურთის წინამორბედი თამაში. ვინ იყო ამ სახეობაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი.*

*4. რომელ წელს შეიქმნა ოლიმპიური ჰიმნი და სად დამტკიცდა იგი?*

*5. დაასახელეთ ქართველი სპორტსმენი, რომელმაც პირველმა მოიპოვა სიდნეი-2000-ის საგზური და სპორტის რომელ სახეობაში?*

*პასუხები 16 დეკემბრამდე გამოგზავნეთ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის 16. ტელ: 95-20-79.*

**IV ტურის სწორი პასუხები**

*1. ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის ფიბას სიმბოლური ნაკრები: გარი პეიტონი, პრედრაგ დანილოვიჩი, ჩარლზ ბარკლი, სკოტი პიპენი, არვიდას საბონისი.*

*2. გრეგ ლუგანისი (ამერიკა, წყალში ხტომა)*

*3. ნანა ნებიერიძემ სიდნეი-2000-ის ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა ელექტროსტალში გამართულ ტურნირზე „გაზაფხულის მერცხლები“ (225 ქულა)*

*4. ტოკიოს 1964 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 93 ქვეყნის დელეგაცია, იქ გათამაშდა მედლების 163 კომპლექტი.*

*5. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი გახდა 1993 წლის 23 სექტემბერს მონაკოში სოკ-ის 99-ე სესიაზე.*

*შენიშვნა: ოლიმპიური ვიქტორინა გრძელდება და ჩატარდება 10 ტურად.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით გობეჯიშვილი: მავანთა წლიური შემოსავალი ჩვენთვის გამოყოფილ თანხას აღემატება

*დავით გობეჯიშვილი — ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 1988 წლის სეულის ოლიმპიური ჩემპიონი, 1992 წელს ბარსელონას თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ხუთი წელია, რაც დავით გობეჯიშვილი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას თავკაცობს. მას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებისთვის ჩვენი მოჭიდავეების სამზადისზე და სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე გავესაუბრეთ.*

**— ჭიდაობა საქართველოში დიდი ტრადიციების სპორტის სახეობაა. რა მდგომარეობაა დღეს ჭიდაობაში?**

— მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. მოჭიდავეებს, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს, არა აქვთ სათანადო მოსამზადებელი პირობები, პრაქტიკულად შეწყვეტილია ჩვენი ფედერაციის დაფინანსება, მწვრთნელები და თავად სპორტსმენები ვერ იღებენ ხელფასებს. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში ქართველ მოჭიდავეებს არ მიუღწევიათ სერიოზული წარმატებისთვის საერთაშორისო სარბიელზე, არადა, ჩვენს მოჭიდავეებს ჯერ კიდევ ფავორიტთა შორის მოიხსენიებენ ნებისმიერ ტურნირზე. ფაქტობრივად, 1999 წელს ვერც ერთი ნორმალური შეკრება ვერ ჩავატარეთ. დღესდღეობით საქართველოში უამრავი ნიჭიერი მოჭიდავეა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ მათ შორის ოლიმპიურ ჩემპიონს. საამისოდ ისევ და ისევ პირობებია საჭირო. დღეს სპორტის ნებისმიერ სახეობაში აღარ არის უპირობო ფავორიტი. ყველამ ისწავლა ჭიდაობა. ძალზე ბევრს განსაზღვრავს სპორტსმენის ფსიქოლოგიური მზადყოფნაც. ჩვენთან კი... ერთ მაგალითს მოგიყვანთ. 1996 წელს ატლანტაში გამგზავრებამდე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და სეოკ-მა ყველანაირი პირობა შეგვიქმნა სრულფასოვანი მომზადებისთვის, მაგრამ როდესაც გავიგე, თუ სად გადიოდა მომზადებას ამერიკელ მოჭიდავეთა ნაკრები, გავოგნდი. ამერიკელებს მოსამზადებლად დაეთმოთ ბაზა, რომლითაც იქაური კოსმონავტები სარგებლობენ. დღეს მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭით ვერ გახდები მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი.

**— 11 იანვარს პარლამენტში გამართული სხდომის დასრულების შემდეგ თქვენ საკმაოდ იმედგაცრუებული ჩანდით. რა იყო ამის მიზეზი?**

— მიზეზებს რა გამოლევს. ჩემს გარდა იქ მრავალმა ფედერაციის პრეზიდენტმა მსგავს პრობლემებზე ისაუბრეს. პარლამენტი, დეპუტატები... ამ სიტყვების ხსენებაზე ადამიანს ხომ გარკვეული იმედი უნდა გაუჩნდეს, მაგრამ იქ ეს ვერ დავინახე. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ჩემი მეგობარი თედო ისაკაძე, მაგრამ ვერც მის და ვერც სხვების გამოსვლებში ვერ დავინახე გარდა ტრადიციადქცეული ოპტიმისტური გამონათქვამებისა და უსაფუძვლო დაპირებებისა. მთავრობა ცოტა სერიოზულად უნდა მიუდგეს საქართველოში სპორტის განვითარებას. უკანასკნელ დროს იმატა ჩვენი სპორტსმენების მიგრაციამ უცხოეთში. მე ამით იმის თქმა არ მინდა, რომ საქართველოში სპორტი მოკვდება. არა, ეს არ მოხდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ გამოილევიან ენთუზიასტები. მაგრამ ცარიელი ენთუზიაზმით შორს ვინ წასულა? განა ეყოფა საქართველოში სპორტის განვითარებას 3 მილიონი ლარი? რა თქმა უნდა, არა. მე არ მინდა ვილაცის პირად საქმეში ჩავერიო, მაგრამ საქართველოში დღეს არის უამრავი პიროვნება, ვისი წლიური შემოსავალიც ჩვენთვის გამოყოფილ თანხას აღემატება.

ერთი სიტყვით, თუ არ უნდათ სპორტი, ადგნენ და პირდაპირ გვითხრან, ჩვენც დავისვენებთ და ისინიც. მე ასევე არ მესმის იმ სპორტსმენებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ძალით წაართვეს ოქროს მედალი.

**— ამ კრიტიკული სიტუაციიდან გამომდინარე, როგორ აპირებთ სიდნეისთვის მომზადებას?**

— მე მაინც არ ვკარგავ იმედს იმისა, რომ სახელმწიფოში გამოინახება სპორტისთვის ესოდენ საჭირო თანხა. თუ არა და მაშინ მედლებზე საუბარიც კი ზედმეტია. წარმოიდგინეთ, რამდენიმე დღეში საფრანგეთში სალიცენზიო ტურნირი იწყება, მე კი დღემდე არ ვიცი, წავალთ თუ არა.

**— დღესდღეობით მოჭიდავეებს ხუთი ლიცენზია აქვთ. კმაყოფილი ხართ ამ შედეგით? და კიდევ რამდენი ლიცენზიის მოპოვებას გეგმავთ?**

— 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე სამი-ოთხი თვის უვარჯიშებლობის მიუხედავად ბრინჯაო მოვიპოვე, ხალხში გამოსვლა მრცხვენოდა, დღეს კი რატომღაც ყველა ლიცენზიებს ითვლის. კი ბატონო, მოიპოვა სპორტსმენმა ლიცენზია, ხოლო ოლიმპიადაზე კი მედალი ვერ აიღო. ვის სჭირდება ასეთი ლიცენზია? დღესდღეობით ჩვენ გვაქვს 5 ლიცენზია და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ საერთო ჯამში 10 მოვიპოვებთ. აი, აჩვენებენ თუ არა ისინი სიდნეიში კარგ შედეგს, მაგას ვერ გეტყვით. სპორტსმენი, რომელიც ლიცენზიას პირველივე ცდიდან ვერ მოიპოვებს, ის საერთოდ უნდა ამოვილოთ პრეტენდენტთა სიიდან. მე იმ სპორტსმენის ადგილზე საერთოდ არ შევიდოდი საჭიდაო ხალიჩაზე.

**— როგორ შეაფასებდით განვლილ 1999 წელს?**

— ადამიანს ყოველთვის აქვს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ შარშან ჩვენ უფრო მაღალი შედეგებისთვის უნდა მიგვეღწია. საერთო ჯამში ჩვენ მოვიპოვეთ 25 მედალი. აქ ნაგულისხმევია კადეტების, იუნიორებისა და უფროსთა მიერ ნაჩვენები შედეგი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არ ჩაგვიტარებია არც ერთი სრულფასოვანი შეკრება, ეს შედეგი ნორმალურად შეიძლება მივიჩნიოთ. 2000 წელს თუ გაუმჯობესდება პირობები, შედეგიც უკეთესი იქნება.

**— ვინ მიგაჩნიათ ჩვენი გუნდის ლიდერად ან ლიდერებად?**

— რაც შეეხება ლიდერობას, ბევრი სპორტსმენი ხშირად ნაწყენი დარჩენილა, რომ მე იგი არ მივიჩნიე ე.წ. „ლიდერად“. ჩვენს ნაკრებში დღეს არ არის მოჭიდავე, რომელიც ლიდერობას იტვირთებს, რაც საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ მაღალი შედეგების ჩვენებაში გამოიხატება. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, თორემ გულშემატკივრისა და ჟურნალისტის აზრით, ჩვენს ნაკრებს ჰყავს გამორჩეული ლიდერები. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ელდარ კურტანიძე და ტარიელ მელელაშვილი. კურტანიძეს ყველაფერი გააჩნია იმისთვის, რომ სიდნეიში ოქროს მედალი მოიპოვოს. ყველაფერი მის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მელელაშვილს, მე ამ ბიჭის ძალიან დიდი იმედი მაქვს. ბევრი თვლის, რომ ტარიელი ჯერ ბოლომდე არ გახსნილა, მაგრამ ჩემი აზრით, იგი სიდნეიში გამოაჩენს თავის უდიდეს პოტენციალს. სხვათა შორის, არც მე და არც ლერი ხაბელოვს თავის დროზე საბჭოთა ნაკრებში ლიდერებად არ გვთვლიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტიტული მოპოვებული გვქონდა. ერთადერთი კაცი, ვისაც მე შემიძლია ვუწოდო ლიდერი, ეს არის განუმეორებელი რუსი მოჭიდავე ალექსანდრ კარელინი, რომელთანაც მე საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— კარელინს საჭიდაო ხალიჩაზე თუ შეხვედრიხართ?**

— ოფიციალურ შეხვედრებში არასოდეს, ერთხელ კი შეკრებაზე ვეჭიდავე და ვაჯობე. კარელინი ჩემთვის ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფალავნად რჩება.

**— როგორ გესახებათ ქართული ჭიდაობის და საერთოდ სპორტის განვითარების პერსპექტივა?**

— ამ ეტაპზე საქართველოში სპორტის განვითარება სახელმწიფოს ხარჯზე უნდა მოხდეს. ქვეყანაში უნდა შეიქმნას სპორტის განვითარების სპეციალური სახელმწიფო პროგრამა. ერთადერთ გამოსავლად ეს მიმაჩნია.

**ზურაბ თალაკვაძე**

---

Sydney 2000

## პირველიდან ოცდამეშვიდემდე

ათენი: 06.04-15.04. 1896 წ.




თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა პიერ დე კუბერტენის ინიციატივით. საბერძნეთის დედაქალაქში თავი მოიყარა 14 ქვეყნის სპორტსმენმა და ისინი სპორტის 11 სახეობაში მონაწილეობდნენ. თამაშებში 245 სპორტსმენმა იასპარეზა. ეს 42-ჯერ ნაკლები ვიდრე სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე იქნება. ათენში მედლების 43 კომპლექტი გათამაშდა.

---

# ცნობილი ლესბოსელი და გამორჩენილი ჩოგბურთელი სასიდნეოდ ემზადება

თუ შეხვალთ „ინტერნეტის“ საიტში „LESBIANS“ (ლესბოსელები), იქ ერთ-ერთ ყველაზე „საპატიო“ ადგილზე აღმოაჩენთ ფრანგ ჩოგბურთელ ამელი მორესმოს, რომელიც საქვეყნოდაა ცნობილი თავისი სექსუალური გადახრებით. მაგრამ მორესმო ასევე ბრწყინვალე ჩოგბურთელია. თავისი სამწლიანი კარიერის მანძილზე მას მოუგია სამი ტურნირი, იყო 1999 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი, 2000 წლის პირველივე შეჯიბრებაზე (სიდნეი) კი დაამარცხა მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგბურთელები მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი. თავისი ამჟამინდელი ფორმის შენარჩუნების შემთხვევაში კი მორესმო სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ხდება. ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს ამელი მორესმოსთან, რომელიც გამოქვეყნდა ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე ჟურნალ „TENNIS+“-ში.





ამელი მორესმოს ჯანი კორტზეც სჭირდება, ლოგინშიც და საერთოდ ცხოვრებაშიც

**— ამელი, შარშანდელი სეზონში პირველ ათეულში დამკვიდრების შემდეგ ბევრმა თქვენ ჰინგისისა და დევენპორტის უმთავრეს კონკურენტად მიგიჩნიათ. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს პროგნოზები, მაგრამ ყოველმხრივ შევეცდები, რომ 2000 წლის სეზონი მინიმუმ პირველ ათეულში დავასრულო. ისე, მართლაც დიდებული სეზონი მქონდა: მოვიგე ერთი ტურნირი, ვიყავი ორი შეჯიბრების ფინალში, დავამარცხე პირველი ათეულის ხუთი წევრი (მათ შორის ჰინგისი და დევენპორტი). მეტი რა უნდა ინატროს ჩოგბურთელმა?

**— სიდნეიში ჩატარებულ ტურნირზე თქვენ ზედიზედ სძლიეთ ჰინგისსა და დევენპორტს. ხომ არ არის დრო, რომ „დიდი სლემის“ ტურნირზე შარშან მიღწეული შედეგის გაუმჯობესებაზე იფიქროთ?**

— ავსტრალიაში შარშან მართლაც რომ დიდებულ ფორმაში ვიყავი. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნახევარფინალური მატჩი დევენპორტის წინააღმდეგ. თითქოსდა გამარჯვების არანაირი შანსი არ უნდა მქონოდა, მაგრამ საბოლოოდ შევძელი ძალების მობილიზება და დავამარცხე ორივე ფავორიტი.

სამწუხაროდ, ფინალში ჰინგისის წინააღმდეგ ძალიან ბევრჯერ შევცდი, რასაც თან დაერთო ჩემი მოწინააღმდეგის მართლაც რომ ბრწყინვალე თამაში. სამწუხაროდ, ავსტრალიაში ნაჩვენები შედეგი ვერ გავიმეორე სხვა „მეიჯორებზე“, წლეულს კი, მათალი გითხრათ, განსაკუთრებით კარგად მინდა გამოვიდე „როლან გაროსზე“, სადაც ფრანგ ქალებს, თუ არ ჩავთვლით მარი პირსის მიერ 1994 წელს ნაჩვენებ შედეგს (პირსი ფინალში 4:6, 4:6 დამარცხდა იმ დროისთვის მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელთან არანჩა სანჩეს ვიკარიოსთან), ბოლო წლებში არ მიუღწევიათ სერიოზული წარმატებისთვის.

**— თამაშის რომელ კომპონენტში მოიკოჭლებს ამელი მორესმო?**

— არ მიყვარს საკუთარი თავის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბარი. ამას ჩემზე უკეთ ჩემი მოწინააღმდეგეები და ჩოგბურთის სპეციალისტები ხედავენ. თუმცა, არ მაწყენდა პირველი მოწოდების პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა. ასევე დასახვეწი მაქვს ბადესთან თამაში. ისე, რომ შემეძლოს, დევენპორტისგან ავიღებდი ძალას, სელეშისგან ბექჰენდს, გრაფისგან კი ქალთა ჩოგბურთისთვის არნახულად ძლიერ ფორჰენდს. მთლიანობაში არცთუ ურიგო მოთამაშე გამოვიდოდი (იცინის).

**— აპირებთ თუ არ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობას?**

— სიდნეიმდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ თუ არ მოხდა რაიმე გაუთვალისწინებელი, აუცილებლად ვითამაშებ. ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა ხომ ნებისმიერი სპორტსმენისთვის უდიდესი პრესტიჟის საქმეა. ასე რომ, სიდნეიში მაყურებელი ამელი მორესმოს იხილავს.

**— თქვენს გარდა ვის ექნება ოლიმპიადაზე გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი?**

— ალბათ არასწორია, რომ პრეტენდენტთა სიის სათავეში მე მაყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დამარცხებული მყავს მარტინაც და ლინდსიც, ალბათ, უპირველესი ფავორიტები მაინც ისინი არიან. ისე, გააჩნია, თუ რა საფარს აირჩევენ ორგანიზატორები.

დევენპორტისა და ჰინგისის გარდა გამარჯვების საკმაოდ კარგი შანსები აქვთ დებ უილიამსებს, სელეშს, პირსსა და კურნიკოვას. ამ უკანასკნელმა შესაძლებელია, რომ თავისი პირველი ტიტული სწორედ სიდნეიში მოიპოვოს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა სეოკ-ის პრესსამსახურმა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს**

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 28 | 18 | 5 | 5 | 52:28 | 59 | 10 | 2 | 2 | 25:11 | 8 | 3 | 3 | 27:17 |
| სიტი | 28 | 17 | 4 | 7 | 44:22 | 55 | 11 | 0 | 3 | 31:10 | 6 | 4 | 4 | 13:12 |
| ბარნსლი | 29 | 17 | 4 | 8 | 59:42 | 55 | 11 | 1 | 2 | 36:14 | 6 | 3 | 6 | 23:28 |
| იფსვიჩი | 29 | 15 | 9 | 5 | 48:29 | 54 | 11 | 2 | 2 | 30:13 | 4 | 7 | 3 | 18:16 |
| ჰადერსფილდი | 29 | 15 | 6 | 8 | 47:31 | 51 | 11 | 2 | 1 | 34:12 | 4 | 4 | 7 | 13:19 |
| ვულვსი | 29 | 11 | 10 | 8 | 38:33 | 43 | 7 | 4 | 3 | 23:15 | 4 | 6 | 5 | 15:18 |
| სტოკპორტი | 29 | 11 | 9 | 9 | 34:38 | 42 | 7 | 6 | 1 | 24:17 | 4 | 3 | 8 | 10:21 |
| ბირმინგემი | 28 | 11 | 8 | 9 | 39:32 | 41 | 9 | 3 | 2 | 26:12 | 2 | 5 | 7 | 13:20 |
| ბლეკბერნი | 27 | 10 | 10 | 7 | 35:30 | 40 | 7 | 5 | 2 | 21:11 | 3 | 5 | 5 | 14:19 |
| ქუინზ პარკი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:35 | 40 | 6 | 8 | 1 | 21:14 | 4 | 2 | 8 | 17:21 |
| ფულემი | 28 | 9 | 12 | 7 | 25:25 | 39 | 6 | 5 | 3 | 12:8 | 3 | 7 | 4 | 13:17 |
| ნორვიჩი | 28 | 10 | 8 | 10 | 27:30 | 38 | 8 | 2 | 4 | 17:15 | 2 | 6 | 6 | 10:15 |
| ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 35:31 | 36 | 6 | 5 | 3 | 23:17 | 3 | 4 | 6 | 12:14 |
| ტრანმერი | 28 | 10 | 6 | 12 | 37:38 | 36 | 7 | 4 | 3 | 23:15 | 3 | 2 | 9 | 14:23 |
| კრ. პალასი | 29 | 9 | 9 | 11 | 42:47 | 36 | 6 | 6 | 3 | 25:16 | 3 | 3 | 8 | 17:31 |
| შეფილდ იუნ. | 29 | 9 | 8 | 12 | 36:44 | 35 | 7 | 3 | 4 | 20:14 | 2 | 5 | 8 | 16:30 |
| გრიმსბი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:49 | 34 | 7 | 5 | 3 | 21:21 | 2 | 2 | 10 | 12:28 |
| ნოტინგემი | 29 | 7 | 9 | 13 | 30:37 | 30 | 6 | 6 | 2 | 18:10 | 1 | 3 | 11 | 12:27 |
| ვესტ ბრომი | 29 | 5 | 15 | 9 | 25:33 | 30 | 3 | 9 | 4 | 15:17 | 2 | 6 | 5 | 10:16 |
| კრიუ | 29 | 7 | 8 | 14 | 31:39 | 29 | 5 | 5 | 4 | 14:13 | 2 | 3 | 10 | 14:25 |
| უოლსოლი | 29 | 7 | 8 | 14 | 32:46 | 29 | 4 | 5 | 6 | 15:18 | 3 | 3 | 8 | 17:28 |
| პორტვეილი | 27 | 6 | 9 | 12 | 31:37 | 27 | 5 | 2 | 6 | 15:15 | 1 | 7 | 6 | 16:22 |
| პორტსმუთი | 29 | 6 | 9 | 14 | 34:45 | 27 | 5 | 5 | 5 | 22:16 | 1 | 4 | 9 | 12:29 |
| სუინდონი | 29 | 3 | 10 | 16 | 21:50 | 19 | 2 | 6 | 6 | 14:24 | 1 | 4 | 10 | 7:26 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 27 | 15 | 11 | 1 | 48:22 | 56 | 10 | 3 | 1 | 25:8 | 5 | 8 | 0 | 23:14 |
| როვერსი | 27 | 17 | 5 | 5 | 44:21 | 56 | 9 | 3 | 1 | 19:7 | 8 | 2 | 4 | 25:14 |
| პრესტონი | 26 | 16 | 7 | 3 | 46:23 | 55 | 10 | 1 | 2 | 23:12 | 6 | 6 | 1 | 23:11 |
| მილუოლი | 29 | 14 | 9 | 6 | 43:31 | 51 | 8 | 5 | 1 | 22:11 | 6 | 4 | 5 | 21:20 |
| ბარნლი | 27 | 13 | 9 | 5 | 39:24 | 48 | 11 | 1 | 1 | 28:9 | 2 | 8 | 4 | 11:15 |
| სტოკი | 28 | 13 | 9 | 6 | 40:26 | 48 | 6 | 6 | 3 | 20:15 | 7 | 3 | 3 | 20:11 |
| ნოტსი | 28 | 12 | 7 | 9 | 39:30 | 43 | 6 | 3 | 5 | 21:16 | 6 | 4 | 4 | 18:14 |
| ბრენტფორდი | 29 | 12 | 7 | 10 | 39:38 | 43 | 8 | 3 | 3 | 23:16 | 4 | 4 | 7 | 16:22 |
| ჯილინგემი | 25 | 12 | 6 | 7 | 44:33 | 42 | 8 | 2 | 3 | 26:15 | 4 | 4 | 4 | 18:18 |
| ბრისტოლი | 29 | 8 | 14 | 7 | 33:32 | 38 | 4 | 11 | 0 | 17:9 | 4 | 3 | 7 | 16:23 |
| ლუთონი | 27 | 10 | 7 | 10 | 37:38 | 37 | 8 | 4 | 1 | 28:16 | 2 | 3 | 9 | 9:22 |
| ოლდემი | 28 | 10 | 7 | 11 | 31:32 | 37 | 6 | 3 | 5 | 18:13 | 4 | 4 | 6 | 13:19 |
| უიკომბი | 28 | 9 | 9 | 10 | 35:36 | 36 | 7 | 3 | 4 | 22:18 | 2 | 6 | 6 | 13:18 |
| ბორნმუთი | 29 | 10 | 6 | 13 | 40:44 | 36 | 8 | 4 | 3 | 27:13 | 2 | 2 | 10 | 13:31 |
| კოლჩესტერი | 29 | 9 | 7 | 13 | 38:55 | 34 | 7 | 3 | 4 | 23:25 | 3 | 4 | 8 | 15:30 |
| ბერი | 26 | 7 | 11 | 8 | 38:35 | 32 | 5 | 6 | 3 | 26:23 | 2 | 5 | 5 | 12:12 |
| რექსემი | 27 | 6 | 10 | 11 | 25:40 | 28 | 4 | 5 | 4 | 14:14 | 2 | 5 | 7 | 12:26 |
| სქანთორპი | 27 | 7 | 7 | 13 | 27:43 | 28 | 4 | 2 | 7 | 11:19 | 3 | 5 | 6 | 16:24 |
| კარდიფი | 27 | 5 | 10 | 12 | 26:37 | 25 | 3 | 7 | 3 | 13:16 | 2 | 3 | 9 | 13:21 |
| რედინგი | 27 | 5 | 10 | 12 | 29:46 | 25 | 4 | 8 | 3 | 16:14 | 1 | 2 | 9 | 15:32 |
| ოქსფორდი | 27 | 6 | 7 | 14 | 24:41 | 25 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 3 | 3 | 8 | 11:22 |
| ბლეკპული | 28 | 4 | 10 | 14 | 30:48 | 22 | 2 | 6 | 6 | 16:24 | 2 | 4 | 8 | 14:24 |
| ჩესტერფილდი | 27 | 4 | 9 | 14 | 17:31 | 21 | 3 | 4 | 6 | 9:12 | 1 | 5 | 8 | 8:19 |
| კემბრიჯი | 26 | 4 | 8 | 14 | 32:41 | 20 | 4 | 4 | 5 | 22:21 | 0 | 4 | 9 | 10:20 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როტერჰემი | 29 | 16 | 6 | 7 | 46:19 | 54 | 9 | 1 | 4 | 27:8 | 7 | 5 | 3 | 19:11 |
| სუონსი | 28 | 16 | 5 | 7 | 31:19 | 53 | 10 | 2 | 2 | 18:6 | 6 | 3 | 5 | 13:13 |
| ბარნეტი | 29 | 15 | 8 | 6 | 42:30 | 53 | 9 | 3 | 2 | 27:14 | 6 | 5 | 4 | 15:16 |
| ჰარტლპული | 29 | 15 | 4 | 10 | 40:30 | 46 | 10 | 0 | 4 | 20:9 | 4 | 4 | 7 | 19:22 |
| ნორთჰემპტონი | 29 | 13 | 7 | 9 | 36:28 | 46 | 8 | 2 | 4 | 20:12 | 5 | 5 | 5 | 16:16 |
| როჩდეილი | 28 | 12 | 7 | 9 | 30:25 | 43 | 5 | 4 | 4 | 9:9 | 7 | 3 | 5 | 21:16 |
| ჰალიფაქსი | 29 | 12 | 7 | 10 | 32:31 | 43 | 6 | 4 | 5 | 19:15 | 6 | 3 | 5 | 13:16 |
| დარლინგტონი | 27 | 13 | 9 | 6 | 38:22 | 48 | 8 | 5 | 0 | 24:7 | 5 | 4 | 6 | 14:15 |
| მაკლსფილდი | 29 | 12 | 6 | 11 | 40:39 | 42 | 6 | 3 | 6 | 21:21 | 6 | 3 | 5 | 19:18 |
| ტორკი | 28 | 11 | 8 | 9 | 38:33 | 41 | 6 | 4 | 3 | 18:10 | 5 | 4 | 6 | 20:23 |
| ჩელტენემი | 28 | 12 | 6 | 10 | 29:26 | 42 | 8 | 2 | 5 | 18:14 | 4 | 4 | 5 | 11:12 |
| პეტერბორო | 27 | 13 | 6 | 8 | 39:35 | 45 | 9 | 2 | 3 | 24:18 | 4 | 4 | 5 | 15:17 |
| პლიმუთი | 27 | 10 | 10 | 7 | 34:30 | 40 | 7 | 6 | 0 | 27:13 | 3 | 4 | 7 | 7:17 |
| მენსფილდი | 27 | 11 | 5 | 11 | 37:37 | 38 | 6 | 3 | 3 | 26:16 | 5 | 2 | 8 | 11:21 |
| ბრაიტონი | 28 | 9 | 9 | 10 | 39:33 | 36 | 6 | 3 | 6 | 26:19 | 3 | 6 | 4 | 13:14 |
| საუთენდი | 29 | 10 | 7 | 12 | 40:45 | 37 | 6 | 4 | 5 | 26:24 | 4 | 3 | 7 | 14:21 |
| ლინკოლნი | 27 | 9 | 8 | 10 | 42:45 | 35 | 6 | 4 | 4 | 21:16 | 3 | 4 | 6 | 21:29 |
| ჰალი | 28 | 9 | 8 | 11 | 28:28 | 35 | 5 | 4 | 5 | 19:14 | 4 | 4 | 6 | 9:14 |
| იორკი | 28 | 7 | 9 | 12 | 28:38 | 30 | 4 | 6 | 5 | 13:17 | 3 | 3 | 7 | 15:21 |
| ექსეტერი | 28 | 8 | 6 | 14 | 31:44 | 30 | 6 | 4 | 5 | 19:19 | 2 | 2 | 9 | 12:25 |
| ლეიტონი | 28 | 7 | 7 | 14 | 24:35 | 28 | 2 | 5 | 6 | 8:13 | 5 | 2 | 8 | 18:22 |
| შრიუსბერი | 28 | 6 | 7 | 15 | 23:41 | 25 | 3 | 6 | 6 | 13:14 | 3 | 1 | 9 | 10:27 |
| კარლაილი | 28 | 5 | 7 | 16 | 26:47 | 22 | 4 | 4 | 6 | 15:17 | 1 | 3 | 10 | 11:30 |
| ჩესტერი | 29 | 5 | 4 | 20 | 26:59 | 19 | 3 | 2 | 10 | 11:26 | 2 | 2 | 10 | 15:33 |

### საბერძნეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 15 | 0 | 2 | 48:14 | 45 | 8 | 0 | 0 | 28:6 | 7 | 0 | 2 | 20:8 |
| პანათინაიკოსი | 17 | 14 | 2 | 1 | 45:12 | 44 | 8 | 1 | 0 | 28:3 | 6 | 1 | 1 | 17:9 |
| ოფი | 17 | 12 | 3 | 2 | 31:18 | 39 | 7 | 1 | 1 | 19:11 | 5 | 2 | 1 | 12:7 |
| ირაკლისი | 17 | 9 | 2 | 6 | 31:25 | 29 | 7 | 0 | 2 | 21:10 | 2 | 2 | 4 | 10:15 |
| აეკ | 17 | 8 | 4 | 5 | 32:22 | 28 | 4 | 0 | 4 | 13:9 | 4 | 4 | 1 | 19:13 |
| პანიონიოსი | 17 | 9 | 1 | 7 | 30:33 | 28 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 4 | 0 | 5 | 15:23 |
| პაოკ | 17 | 7 | 6 | 4 | 29:21 | 27 | 6 | 2 | 1 | 22:8 | 1 | 4 | 3 | 7:13 |
| არისი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:19 | 26 | 5 | 3 | 0 | 18:5 | 2 | 2 | 5 | 6:14 |
| პანილიაკოსი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:19 | 22 | 4 | 1 | 3 | 13:8 | 2 | 3 | 4 | 8:11 |
| ქსანთი | 17 | 5 | 6 | 6 | 18:21 | 21 | 5 | 3 | 1 | 13:6 | 0 | 3 | 5 | 5:15 |
| ეთნიკოსი | 17 | 6 | 2 | 9 | 16:24 | 20 | 5 | 0 | 4 | 13:10 | 1 | 2 | 5 | 3:14 |
| იონიკოსი | 17 | 3 | 8 | 6 | 16:23 | 17 | 2 | 4 | 2 | 9:8 | 1 | 4 | 4 | 7:15 |
| პანაჰაიკი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:25 | 16 | 4 | 1 | 4 | 13:9 | 0 | 3 | 5 | 3:16 |
| კალამატა | 17 | 3 | 5 | 9 | 16:35 | 14 | 2 | 5 | 2 | 9:9 | 1 | 0 | 7 | 7:26 |
| პროდეფტიკი | 17 | 3 | 4 | 10 | 10:23 | 13 | 2 | 3 | 4 | 5:11 | 1 | 1 | 6 | 5:12 |
| კავალა | 17 | 3 | 4 | 10 | 16:31 | 13 | 2 | 3 | 3 | 11:16 | 1 | 1 | 7 | 5:15 |
| ტროიკალა | 17 | 3 | 3 | 11 | 12:32 | 12 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 1 | 0 | 8 | 5:24 |
| აპოლონი | 17 | 2 | 5 | 10 | 12:26 | 11 | 1 | 3 | 4 | 6:13 | 1 | 2 | 6 | 6:13 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 21 | 11 | 5 | 5 | 39:24 | 38 | 8 | 1 | 1 | 26:10 | 3 | 4 | 4 | 13:14 |
| ბრეშა | 21 | 9 | 8 | 4 | 28:17 | 35 | 5 | 3 | 3 | 17:8 | 4 | 5 | 1 | 11:9 |
| ატალანტა | 21 | 10 | 5 | 6 | 29:20 | 35 | 8 | 1 | 1 | 19:7 | 2 | 4 | 5 | 10:13 |
| სამპდორია | 21 | 9 | 8 | 4 | 21:15 | 35 | 5 | 5 | 0 | 12:6 | 4 | 3 | 4 | 9:9 |
| ნაპოლი | 21 | 8 | 9 | 4 | 27:21 | 33 | 5 | 5 | 0 | 16:8 | 3 | 4 | 4 | 11:13 |
| რავენა | 21 | 7 | 9 | 5 | 23:20 | 30 | 5 | 4 | 1 | 11:4 | 2 | 5 | 4 | 12:16 |
| ალძანო | 21 | 8 | 6 | 7 | 21:24 | 30 | 7 | 1 | 3 | 15:13 | 1 | 5 | 4 | 6:11 |
| სალერნიტანა | 21 | 7 | 8 | 6 | 30:29 | 29 | 6 | 4 | 0 | 20:7 | 1 | 4 | 6 | 10:22 |
| ტრევიზო | 21 | 8 | 4 | 9 | 26:25 | 28 | 8 | 1 | 1 | 21:8 | 0 | 3 | 8 | 5:17 |
| კოზენცა | 21 | 6 | 10 | 5 | 19:18 | 28 | 5 | 3 | 3 | 11:8 | 1 | 7 | 2 | 8:10 |
| ჯენოა | 21 | 7 | 6 | 8 | 25:27 | 27 | 5 | 5 | 1 | 16:10 | 2 | 1 | 7 | 9:17 |
| ჩეზენა | 21 | 7 | 5 | 9 | 27:24 | 26 | 4 | 7 | 0 | 17:8 | 1 | 4 | 5 | 10:16 |
| მონცა | 21 | 4 | 13 | 4 | 22:23 | 25 | 3 | 8 | 0 | 10:7 | 1 | 5 | 4 | 12:16 |
| ტერნანა | 21 | 5 | 10 | 6 | 22:27 | 25 | 3 | 7 | 0 | 13:10 | 2 | 3 | 6 | 9:17 |
| პესკარა | 21 | 4 | 12 | 5 | 27:25 | 24 | 3 | 4 | 3 | 17:13 | 1 | 8 | 2 | 10:12 |
| ჯენოა | 21 | 6 | 6 | 9 | 23:23 | 24 | 5 | 4 | 2 | 17:9 | 1 | 2 | 7 | 6:14 |
| ემპოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 15:27 | 24 | 6 | 3 | 1 | 10:6 | 0 | 3 | 8 | 5:21 |
| პისტოიეზე | 21 | 6 | 6 | 9 | 16:23 | 20 | 6 | 3 | 2 | 13:8 | 0 | 3 | 7 | 3:15 |
| ფერმანა | 21 | 3 | 7 | 11 | 17:30 | 16 | 3 | 5 | 4 | 10:11 | 0 | 3 | 7 | 7:19 |
| სავოია | 21 | 3 | 7 | 11 | 17:32 | 16 | 3 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 2 | 8 | 6:21 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 21 | 13 | 5 | 3 | 30:13 | 44 | 9 | 0 | 2 | 19:6 | 4 | 5 | 1 | 11:7 |
| პიზა | 21 | 9 | 8 | 4 | 23:15 | 35 | 5 | 3 | 2 | 14:9 | 4 | 5 | 2 | 9:6 |
| ლეჩე | 21 | 9 | 7 | 5 | 28:23 | 34 | 7 | 3 | 1 | 16:8 | 2 | 4 | 4 | 12:15 |
| სპალი | 21 | 9 | 6 | 6 | 24:19 | 33 | 6 | 3 | 2 | 10:5 | 3 | 4 | 3 | 14:14 |
| ვარეზე | 21 | 7 | 10 | 4 | 25:18 | 31 | 4 | 5 | 2 | 13:8 | 3 | 5 | 2 | 12:10 |
| ჩიტადელა | 19 | 7 | 9 | 3 | 19:14 | 30 | 5 | 4 | 2 | 12:7 | 2 | 5 | 1 | 7:7 |
| ალბინოლეფე | 21 | 7 | 8 | 6 | 21:21 | 29 | 5 | 3 | 2 | 13:8 | 2 | 5 | 4 | 8:13 |
| კარარეზე | 21 | 7 | 7 | 7 | 21:20 | 28 | 4 | 5 | 1 | 14:9 | 3 | 2 | 6 | 7:11 |
| ლივორნო | 21 | 5 | 10 | 6 | 23:24 | 25 | 3 | 5 | 3 | 14:13 | 2 | 5 | 3 | 9:11 |
| კომო | 21 | 4 | 12 | 5 | 14:17 | 24 | 1 | 8 | 2 | 5:9 | 3 | 4 | 3 | 9:8 |
| მოდენა | 20 | 6 | 6 | 8 | 15:22 | 24 | 3 | 4 | 3 | 7:9 | 3 | 2 | 5 | 8:13 |
| რეჯანა | 21 | 5 | 9 | 7 | 21:23 | 24 | 3 | 5 | 2 | 14:13 | 2 | 4 | 5 | 7:10 |
| ლეკო | 21 | 4 | 10 | 7 | 15:22 | 22 | 1 | 6 | 3 | 3:6 | 3 | 4 | 4 | 12:16 |
| კრემონეზე | 21 | 3 | 12 | 6 | 19:23 | 21 | 1 | 8 | 1 | 11:11 | 2 | 4 | 5 | 8:12 |
| ლუმეცანე | 21 | 4 | 9 | 8 | 15:20 | 21 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 2 | 5 | 3 | 7:9 |
| ბრეშელო | 19 | 5 | 6 | 8 | 18:24 | 21 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 3 | 3 | 5 | 10:14 |
| სანდონა | 21 | 2 | 13 | 6 | 15:21 | 19 | 2 | 5 | 3 | 9:10 | 0 | 8 | 3 | 6:11 |
| მონტევარკი | 20 | 3 | 9 | 8 | 15:21 | 18 | 2 | 5 | 3 | 9:11 | 1 | 4 | 5 | 6:10 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 21 | 12 | 8 | 1 | 40:14 | 44 | 8 | 2 | 0 | 26:5 | 5 | 5 | 1 | 14:8 |
| ანკონა | 21 | 11 | 6 | 4 | 30:14 | 39 | 7 | 4 | 0 | 22:8 | 4 | 2 | 4 | 8:6 |
| არეცო | 21 | 11 | 6 | 4 | 37:26 | 39 | 7 | 3 | 0 | 24:12 | 5 | 2 | 4 | 13:13 |
| ვიტერბეზე | 21 | 10 | 6 | 5 | 33:26 | 36 | 5 | 5 | 1 | 20:11 | 5 | 1 | 4 | 13:15 |
| ასკოლი | 20 | 8 | 9 | 3 | 32:16 | 33 | 4 | 4 | 2 | 19:8 | 4 | 5 | 1 | 13:8 |
| კატანია | 21 | 8 | 8 | 5 | 26:17 | 32 | 5 | 4 | 1 | 14:5 | 3 | 3 | 5 | 11:12 |
| პალერმო | 21 | 8 | 8 | 5 | 17:16 | 32 | 4 | 5 | 2 | 10:6 | 4 | 3 | 3 | 7:10 |
| სტაბია | 21 | 6 | 9 | 6 | 24:21 | 27 | 5 | 3 | 3 | 16:10 | 1 | 6 | 3 | 8:11 |
| ჯულიანოვა | 21 | 7 | 6 | 8 | 25:29 | 27 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 2 | 4 | 5 | 12:20 |
| ნოჩერინა | 21 | 5 | 10 | 6 | 17:16 | 25 | 4 | 5 | 1 | 10:4 | 1 | 5 | 5 | 7:12 |
| აველინო | 21 | 7 | 4 | 10 | 21:25 | 25 | 6 | 1 | 4 | 15:10 | 1 | 2 | 7 | 5:15 |
| გუალდო | 21 | 5 | 8 | 8 | 22:27 | 23 | 4 | 5 | 2 | 13:11 | 1 | 3 | 6 | 9:16 |
| დი სანგრო | 21 | 6 | 5 | 10 | 18:27 | 23 | 4 | 2 | 5 | 11:13 | 2 | 3 | 5 | 7:14 |
| ბენევენტო | 21 | 5 | 7 | 9 | 13:23 | 22 | 5 | 2 | 3 | 9:6 | 0 | 5 | 6 | 4:17 |
| ლოდიჯანი | 21 | 4 | 9 | 8 | 17:30 | 21 | 4 | 3 | 3 | 9:11 | 0 | 6 | 5 | 8:19 |
| ატლეტიკო | 20 | 3 | 8 | 9 | 13:23 | 17 | 2 | 4 | 4 | 7:10 | 1 | 4 | 5 | 6:13 |
| მარსალა | 21 | 4 | 5 | 12 | 16:40 | 17 | 2 | 3 | 5 | 8:12 | 2 | 2 | 7 | 8:28 |
| ფ. ანდრია | 21 | 2 | 10 | 9 | 13:24 | 16 | 2 | 7 | 2 | 7:8 | 0 | 3 | 7 | 6:16 |

### თურქეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 18 | 14 | 3 | 1 | 37:14 | 45 | 7 | 0 | 1 | 20:5 | 7 | 3 | 0 | 17:9 |
| ბეშიქთაში | 18 | 10 | 4 | 4 | 35:12 | 34 | 7 | 2 | 1 | 22:4 | 3 | 2 | 3 | 13:8 |
| ფენერბაჰჩე | 18 | 8 | 8 | 2 | 31:21 | 32 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 4 | 5 | 1 | 17:12 |
| გაზიანთეფი | 18 | 8 | 6 | 4 | 24:14 | 30 | 5 | 2 | 3 | 18:10 | 3 | 4 | 1 | 6:4 |
| დენიზლი | 18 | 8 | 6 | 4 | 31:26 | 30 | 6 | 2 | 3 | 19:16 | 2 | 4 | 1 | 12:10 |
| ანთალია | 18 | 8 | 4 | 6 | 25:28 | 28 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 5 | 1 | 4 | 12:17 |
| ტრაბზონი | 18 | 6 | 7 | 5 | 22:18 | 25 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 2 | 4 | 2 | 10:10 |
| ალთაი | 18 | 7 | 4 | 7 | 24:21 | 25 | 6 | 3 | 2 | 17:8 | 1 | 1 | 5 | 7:13 |
| ადანა | 18 | 7 | 4 | 7 | 26:26 | 25 | 3 | 1 | 4 | 15:15 | 4 | 3 | 3 | 11:11 |
| სამსუნი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:23 | 24 | 5 | 2 | 2 | 15:5 | 2 | 1 | 6 | 7:18 |
| გენჩლერბირ. | 18 | 6 | 5 | 7 | 20:27 | 23 | 3 | 4 | 3 | 8:11 | 3 | 1 | 4 | 12:16 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 6 | 4 | 8 | 26:31 | 22 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 2 | 2 | 4 | 12:18 |
| ბურსა | 18 | 5 | 4 | 9 | 23:27 | 19 | 3 | 1 | 4 | 12:13 | 2 | 3 | 5 | 11:14 |
| ერზურუმი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:31 | 19 | 4 | 4 | 1 | 15:7 | 1 | 0 | 8 | 6:24 |
| ისთანბული | 18 | 3 | 8 | 7 | 16:25 | 17 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 0 | 4 | 4 | 3:10 |
| გიოზთეფე | 17 | 4 | 5 | 8 | 15:24 | 17 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 2 | 2 | 5 | 6:14 |
| ქოჯაელი | 18 | 4 | 3 | 11 | 20:37 | 15 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 2 | 10 | 13:32 |
| ვანი | 17 | 2 | 4 | 11 | 20:33 | 10 | 1 | 3 | 5 | 11:19 | 1 | 1 | 6 | 9:14 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 24 | 13 | 7 | 4 | 39:24 | 46 | 7 | 2 | 2 | 20:10 | 6 | 5 | 2 | 19:14 |
| ლას პალმასი | 24 | 12 | 6 | 6 | 38:24 | 42 | 6 | 3 | 2 | 19:9 | 6 | 3 | 4 | 19:15 |
| ლევანტე | 24 | 11 | 7 | 6 | 39:33 | 40 | 9 | 3 | 1 | 26:10 | 2 | 4 | 5 | 13:23 |
| ესტრემადურა | 24 | 11 | 6 | 7 | 25:23 | 39 | 9 | 3 | 0 | 18:4 | 2 | 3 | 7 | 7:19 |
| ბადახოსი | 24 | 8 | 13 | 3 | 24:17 | 37 | 4 | 6 | 2 | 14:11 | 4 | 7 | 1 | 10:6 |
| სპორტინგი | 24 | 11 | 4 | 9 | 33:28 | 37 | 7 | 1 | 5 | 20:15 | 4 | 3 | 4 | 13:13 |
| ვილიარეალი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:26 | 36 | 6 | 3 | 4 | 19:15 | 4 | 3 | 4 | 16:11 |
| ტენერიფე | 24 | 10 | 6 | 8 | 35:27 | 36 | 7 | 4 | 2 | 22:12 | 3 | 2 | 6 | 13:15 |
| ეიბარი | 24 | 9 | 8 | 7 | 34:32 | 35 | 6 | 4 | 3 | 19:14 | 3 | 4 | 4 | 15:18 |
| ოსასუნა | 24 | 10 | 4 | 10 | 22:22 | 34 | 6 | 2 | 3 | 13:6 | 4 | 2 | 7 | 9:16 |
| ლეიდა | 24 | 9 | 6 | 9 | 40:33 | 33 | 4 | 4 | 3 | 18:12 | 5 | 2 | 6 | 22:21 |
| კომპოსტელა | 24 | 7 | 10 | 7 | 30:30 | 31 | 4 | 4 | 3 | 15:11 | 3 | 6 | 4 | 15:19 |
| ატლეტიკო ი | 24 | 9 | 4 | 11 | 30:34 | 31 | 4 | 2 | 6 | 19:20 | 5 | 2 | 5 | 11:14 |
| ხეტაფე | 24 | 8 | 6 | 10 | 22:25 | 30 | 5 | 3 | 4 | 15:14 | 3 | 3 | 6 | 7:11 |
| ლოგრონიესი | 24 | 7 | 8 | 9 | 36:33 | 29 | 5 | 5 | 1 | 21:13 | 2 | 3 | 8 | 15:20 |
| კორდობა | 24 | 7 | 8 | 9 | 27:29 | 29 | 5 | 1 | 5 | 15:16 | 2 | 7 | 4 | 12:13 |
| მერიდა | 24 | 7 | 8 | 9 | 22:26 | 29 | 4 | 4 | 4 | 13:12 | 3 | 4 | 5 | 9:14 |
| ალბასეტე | 24 | 7 | 8 | 9 | 23:32 | 29 | 2 | 6 | 3 | 11:13 | 5 | 2 | 6 | 12:19 |
| ელჩე | 24 | 5 | 11 | 8 | 26:34 | 26 | 3 | 7 | 3 | 15:18 | 2 | 4 | 5 | 11:16 |
| ლეგანესი | 24 | 6 | 8 | 10 | 23:36 | 26 | 4 | 4 | 4 | 10:11 | 2 | 4 | 6 | 13:25 |
| უელვა | 24 | 6 | 4 | 14 | 18:34 | 22 | 4 | 3 | 6 | 11:14 | 2 | 1 | 8 | 7:20 |
| ტოლედო | 24 | 4 | 6 | 14 | 16:35 | 18 | 3 | 3 | 7 | 9:15 | 1 | 3 | 7 | 7:20 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 19 | 13 | 5 | 1 | 39:9 | 44 | 9 | 1 | 0 | 24:3 | 4 | 4 | 1 | 15:6 |
| სპორტინგი | 19 | 13 | 4 | 2 | 34:16 | 43 | 9 | 1 | 0 | 22:6 | 4 | 3 | 2 | 12:10 |
| ბენფიკა | 19 | 11 | 5 | 3 | 26:13 | 38 | 7 | 2 | 0 | 15:4 | 4 | 3 | 3 | 11:9 |
| გიმარაეში | 19 | 10 | 4 | 5 | 32:21 | 34 | 8 | 1 | 1 | 21:8 | 2 | 3 | 4 | 11:13 |
| ბოავიშტა | 19 | 10 | 3 | 6 | 21:15 | 33 | 6 | 1 | 2 | 12:7 | 4 | 2 | 4 | 9:8 |
| მარიტიმუ | 19 | 8 | 6 | 5 | 22:15 | 30 | 4 | 4 | 1 | 10:3 | 4 | 2 | 4 | 12:12 |
| ბელენენსეში | 19 | 6 | 9 | 4 | 22:16 | 27 | 4 | 5 | 1 | 13:8 | 2 | 4 | 3 | 9:8 |
| ჟილ ვისენტე | 19 | 7 | 5 | 7 | 23:21 | 26 | 4 | 3 | 2 | 15:8 | 3 | 2 | 5 | 8:13 |
| ამადორა | 19 | 6 | 8 | 5 | 21:20 | 26 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 3 | 5 | 2 | 10:10 |
| ალვერკა | 19 | 7 | 3 | 9 | 22:27 | 24 | 6 | 2 | 2 | 17:10 | 1 | 1 | 7 | 5:17 |
| ბრაგა | 19 | 6 | 3 | 10 | 22:26 | 21 | 4 | 1 | 5 | 12:10 | 2 | 2 | 5 | 10:16 |
| რიუ ავე | 19 | 5 | 5 | 9 | 21:29 | 20 | 4 | 3 | 3 | 14:14 | 1 | 2 | 6 | 7:15 |
| კამპომაიორ. | 19 | 5 | 5 | 9 | 17:26 | 20 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 1 | 2 | 6 | 7:16 |
| სალგეირუში | 19 | 6 | 2 | 11 | 15:25 | 20 | 2 | 2 | 5 | 5:11 | 4 | 0 | 6 | 10:14 |
| ფარენსე | 19 | 3 | 8 | 8 | 14:34 | 17 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 1 | 4 | 5 | 4:20 |
| ლეირია | 19 | 3 | 7 | 9 | 16:24 | 16 | 3 | 4 | 3 | 9:8 | 0 | 3 | 6 | 7:16 |
| სანტა კლარა | 19 | 3 | 7 | 9 | 21:30 | 16 | 1 | 5 | 3 | 9:13 | 2 | 2 | 6 | 12:17 |
| სეტუბალი | 19 | 2 | 5 | 12 | 13:34 | 11 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 0 | 3 | 7 | 3:19 |

### ბელგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 20 | 14 | 5 | 1 | 52:22 | 47 | 8 | 2 | 1 | 30:13 | 6 | 3 | 0 | 22:9 |
| ბრიუგე | 20 | 13 | 2 | 5 | 50:20 | 41 | 8 | 0 | 2 | 33:8 | 5 | 2 | 3 | 17:12 |
| გენკი | 21 | 11 | 6 | 4 | 46:29 | 39 | 6 | 4 | 1 | 22:11 | 5 | 2 | 3 | 24:18 |
| ლიერსი | 21 | 11 | 5 | 5 | 38:25 | 38 | 8 | 1 | 1 | 23:8 | 3 | 4 | 4 | 15:17 |
| სტანდარდი | 21 | 12 | 2 | 7 | 46:35 | 38 | 7 | 1 | 2 | 22:10 | 5 | 1 | 5 | 24:25 |
| გენტი | 21 | 12 | 1 | 8 | 53:41 | 37 | 5 | 1 | 4 | 26:22 | 7 | 0 | 4 | 27:19 |
| ბეერსხოტი | 21 | 10 | 5 | 6 | 38:32 | 35 | 9 | 1 | 0 | 28:11 | 1 | 4 | 6 | 10:21 |
| მუსკრონი | 21 | 10 | 4 | 7 | 43:32 | 34 | 6 | 2 | 2 | 21:12 | 4 | 2 | 5 | 22:20 |
| ვესტერლო | 21 | 8 | 6 | 7 | 41:44 | 30 | 6 | 3 | 1 | 27:18 | 2 | 3 | 6 | 14:26 |
| აალსტი | 21 | 8 | 2 | 11 | 39:43 | 26 | 5 | 0 | 6 | 20:22 | 3 | 2 | 5 | 19:21 |
| ლოკერენი | 21 | 7 | 5 | 9 | 37:44 | 26 | 5 | 2 | 4 | 23:22 | 2 | 3 | 5 | 14:22 |
| მეხელენი | 21 | 8 | 2 | 11 | 33:50 | 26 | 6 | 2 | 3 | 21:19 | 2 | 0 | 8 | 12:31 |
| ბევერენი | 21 | 5 | 6 | 10 | 30:44 | 21 | 3 | 4 | 3 | 15:15 | 2 | 2 | 7 | 15:29 |
| ჰარელბეკე | 21 | 5 | 4 | 12 | 38:44 | 19 | 4 | 3 | 4 | 27:21 | 1 | 1 | 8 | 11:23 |
| სტ. ტრუიდენი | 21 | 5 | 4 | 12 | 22:43 | 19 | 4 | 3 | 4 | 13:18 | 1 | 1 | 8 | 9:25 |
| შარლერუა | 21 | 4 | 6 | 11 | 24:40 | 18 | 3 | 1 | 6 | 12:19 | 1 | 5 | 5 | 12:21 |
| გეელი | 21 | 2 | 9 | 10 | 16:37 | 15 | 2 | 5 | 4 | 12:17 | 0 | 4 | 6 | 4:20 |
| ლომელი | 21 | 1 | 10 | 10 | 21:42 | 13 | 1 | 7 | 2 | 12:14 | 0 | 3 | 8 | 9:28 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 18 | 13 | 2 | 3 | 55:14 | 41 | 6 | 1 | 1 | 30:6 | 7 | 1 | 2 | 25:8 |
| ჰერენვენი | 18 | 12 | 1 | 5 | 35:19 | 37 | 5 | 1 | 2 | 17:10 | 7 | 0 | 3 | 18:9 |
| აიაქსი | 17 | 11 | 3 | 3 | 47:24 | 36 | 5 | 1 | 3 | 23:14 | 6 | 2 | 0 | 24:10 |
| ფეიენოორდი | 17 | 9 | 6 | 2 | 33:18 | 33 | 6 | 2 | 1 | 13:4 | 3 | 4 | 1 | 20:14 |
| ალკმარი | 18 | 10 | 2 | 6 | 36:28 | 32 | 2 | 2 | 5 | 7:11 | 8 | 0 | 1 | 29:17 |
| ვიტესი | 18 | 9 | 5 | 4 | 35:27 | 32 | 7 | 0 | 2 | 23:15 | 2 | 5 | 2 | 12:12 |
| ტვენტე | 17 | 8 | 7 | 2 | 29:17 | 31 | 4 | 4 | 0 | 18:10 | 3 | 4 | 2 | 10:7 |
| როდა | 17 | 9 | 3 | 5 | 29:22 | 30 | 5 | 0 | 4 | 18:13 | 4 | 3 | 1 | 11:9 |
| ტილბურგი | 17 | 9 | 3 | 5 | 30:32 | 30 | 5 | 3 | 1 | 19:16 | 4 | 0 | 4 | 11:16 |
| ვალვაიკი | 18 | 9 | 2 | 7 | 30:35 | 29 | 4 | 2 | 3 | 15:20 | 5 | 0 | 4 | 15:15 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 1 | 10 | 28:35 | 22 | 6 | 1 | 2 | 17:11 | 1 | 0 | 8 | 11:24 |
| სპარტა | 18 | 6 | 1 | 11 | 27:39 | 19 | 5 | 0 | 5 | 19:19 | 1 | 1 | 6 | 8:20 |
| გრააფსხაპი | 19 | 3 | 8 | 8 | 21:29 | 17 | 2 | 5 | 3 | 13:16 | 1 | 3 | 5 | 8:13 |
| ნაიმეგენი | 17 | 4 | 3 | 10 | 21:35 | 15 | 4 | 0 | 4 | 7:10 | 0 | 3 | 6 | 14:25 |
| მაასტრიხტი | 18 | 3 | 3 | 12 | 25:43 | 12 | 2 | 2 | 5 | 15:22 | 1 | 1 | 7 | 10:21 |
| სიტარდი | 18 | 2 | 5 | 11 | 20:33 | 11 | 2 | 4 | 3 | 15:15 | 0 | 1 | 8 | 5:18 |
| დენ ბოსხი | 18 | 2 | 4 | 12 | 18:47 | 10 | 2 | 3 | 4 | 10:18 | 0 | 2 | 7 | 8:28 |
| კამბური | 17 | 2 | 3 | 12 | 16:38 | 9 | 2 | 1 | 5 | 9:16 | 0 | 2 | 7 | 7:22 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 24 | 18 | 3 | 3 | 35:13 | 57 | 10 | 0 | 1 | 16:3 | 8 | 3 | 2 | 19:10 |
| ტულუზი | 24 | 13 | 6 | 5 | 39:15 | 45 | 7 | 2 | 4 | 23:10 | 6 | 4 | 1 | 16:5 |
| გენგამი | 24 | 11 | 7 | 6 | 42:30 | 40 | 6 | 3 | 3 | 25:15 | 5 | 4 | 3 | 17:15 |
| კაენი | 24 | 9 | 12 | 3 | 31:17 | 39 | 5 | 6 | 1 | 20:11 | 4 | 6 | 2 | 11:6 |
| ლე მანი | 24 | 10 | 9 | 5 | 32:25 | 39 | 6 | 6 | 0 | 18:8 | 4 | 3 | 5 | 14:17 |
| ნიმი | 24 | 9 | 7 | 8 | 30:27 | 34 | 5 | 4 | 3 | 18:15 | 4 | 3 | 5 | 12:12 |
| ლავალი | 24 | 8 | 10 | 6 | 27:24 | 34 | 6 | 3 | 3 | 17:13 | 2 | 7 | 3 | 10:11 |
| აიაჩო | 24 | 10 | 4 | 10 | 24:26 | 34 | 7 | 1 | 5 | 12:9 | 3 | 3 | 5 | 12:17 |
| გენიონი | 24 | 7 | 11 | 6 | 27:22 | 32 | 3 | 6 | 2 | 14:10 | 4 | 5 | 4 | 13:12 |
| კრეტეი | 24 | 8 | 7 | 9 | 24:28 | 31 | 6 | 5 | 3 | 20:18 | 2 | 3 | 6 | 7:13 |
| სოშო | 24 | 8 | 6 | 10 | 26:29 | 30 | 4 | 1 | 6 | 12:15 | 4 | 5 | 4 | 14:14 |
| კანი | 24 | 7 | 8 | 9 | 19:23 | 29 | 5 | 2 | 4 | 8:9 | 2 | 6 | 5 | 11:14 |
| ნიცა | 24 | 5 | 14 | 5 | 17:21 | 29 | 3 | 10 | 0 | 10:5 | 2 | 4 | 5 | 7:16 |
| ლორიანი | 24 | 8 | 5 | 11 | 21:26 | 29 | 4 | 5 | 2 | 15:7 | 4 | 0 | 9 | 6:19 |
| შატორუ | 24 | 6 | 9 | 9 | 20:28 | 27 | 3 | 4 | 5 | 8:13 | 3 | 4 | 4 | 9:12 |
| ნიორი | 24 | 5 | 11 | 8 | 20:27 | 26 | 5 | 5 | 2 | 13:12 | 0 | 6 | 6 | 7:15 |
| ამიენი | 24 | 4 | 12 | 8 | 19:25 | 24 | 2 | 6 | 3 | 8:10 | 2 | 6 | 5 | 11:15 |
| ვასკეალი | 24 | 4 | 11 | 9 | 16:24 | 23 | 3 | 6 | 4 | 10:13 | 1 | 5 | 5 | 6:11 |
| ლუანი | 24 | 4 | 6 | 14 | 20:42 | 18 | 3 | 4 | 6 | 13:16 | 1 | 2 | 8 | 7:26 |
| ვალანსი | 24 | 2 | 10 | 12 | 21:38 | 16 | 2 | 5 | 4 | 8:10 | 0 | 5 | 8 | 13:28 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 18 | 15 | 2 | 1 | 50:14 | 47 | 10 | 0 | 1 | 30:8 | 5 | 2 | 0 | 20:6 |
| სელტიკი | 19 | 13 | 2 | 4 | 54:17 | 41 | 6 | 1 | 1 | 28:4 | 7 | 1 | 3 | 26:13 |
| დანდი იუნ. | 20 | 9 | 4 | 7 | 25:29 | 31 | 6 | 2 | 2 | 12:8 | 3 | 2 | 5 | 13:21 |
| მოზერუელი | 19 | 7 | 8 | 4 | 30:32 | 29 | 3 | 2 | 3 | 16:20 | 4 | 6 | 1 | 14:12 |
| ჰიბერნიანი | 21 | 6 | 8 | 7 | 32:35 | 26 | 3 | 4 | 4 | 17:18 | 3 | 4 | 3 | 15:17 |
| ჰართსი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:28 | 23 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 2 | 2 | 5 | 11:15 |
| სტ. ჯონსტონი | 19 | 5 | 6 | 8 | 19:24 | 21 | 1 | 4 | 4 | 8:12 | 4 | 2 | 4 | 11:12 |
| დანდი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:30 | 20 | 1 | 2 | 6 | 9:15 | 5 | 0 | 5 | 12:15 |
| კილმარნოკი | 20 | 2 | 9 | 9 | 19:29 | 15 | 1 | 4 | 5 | 8:13 | 1 | 5 | 4 | 11:16 |
| აბერდინი | 20 | 3 | 4 | 13 | 21:61 | 13 | 2 | 3 | 6 | 13:30 | 1 | 1 | 7 | 8:31 |



ექვსი ერის პირველობის პირველ მატჩში იტალია შოტლანდიას რომის „ფლამინიოზე“ უმასპინძლებს

# ახალი ერა: ექვსი ერი

ხუთი ერის პირველობა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი სარაგბო ტურნირი იყო. მასში წლეულს მეექვსე ქვეყანა, იტალიაც მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, მსოფლიოს თასის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ ჩრდილოური რაგბისთვის ფაქტობრივად ახალი ერა, ექვსი ერის პირველობა იწყება.

ოთხი ბრიტანული ქვეყანა — ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ირლანდია, საფრანგეთთან ერთად 1910 წლიდან მოყოლებული ებრძოდნენ ერთმანეთს ხუთი ერის პირველობის მოსაპოვებლად. ეს ტურნირი, შეიძლება ითქვას, არაოფიციალური ევროპის ჩემპიონატი იყო. ახლა მათ კომპანიაში იტალიაც იქნება, რომელმაც საკმაოდ კარგი შედეგების გამო შარშან მოიპოვა ეს უფლება. ერთი წელიწადიც არაა გასული ამ გადაწყვეტილების მიღებიდან და უკვე ბევრი შიშობს, რომ აპენინელები უბრალო სტატისტების როლში აღმოჩნდებიან. მსოფლიოს თასზე ხომ ისინი ინგლისთან (7:67) და ახალ ზელანდიასთან (3:101) განადგურდნენ. თუმცა იტალიელები უქმად ყოფნას არ აპირებენ. მათ ახლახან ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეცვალეს. ამიერიდან „სკუადრა აძურას“ ახალზელანდიელი ბრედ ჯონსტონი გაწვრთნის, რომელმაც მსოფლიოს თასზე ფიჯის ეროვნული ნაკრები გაიყვანა ჯგუფიდან.

მსოფლიოს თასის შემდეგ იტალიის გარდა კიდევ ორ ნაკრებს გამოეცვალა მთავარი მწვრთნელი. საფრანგეთს ჟანკლოდ სკრელას ნაცვლად ბერნარ ლაპორტი უთავკაცებს, შოტლანდიელთა გაწვრთნა კი ჯიმ ტეფლერმა იენ მაკგიქანს გადააბარა. ბოლო დროს ნაჩვენები უხეირო შედეგების შემდეგ თითქოს ირლანდიელ უორენ გეტლანდსაც შეუდგა წყალი, მაგრამ ირლანდიის რაგბის კავშირმა მაინც შეიკავა თავი მისი განთავისუფლებისგან.

თუ ახალი მწვრთნელი მხოლოდ სამ ნაკრებს ჰყავს, სამაგიეროდ ხუთ გუნდს პირველ ტურში ახალი კაპიტანი გაუძღვება მინდორზე. ინგლისის კაპიტნის სამკლავურს მეტ დეისონი მოირგებს დაშავებული მარტინ ჯონსონის ნაცვლად. საფრანგეთს ფაბიენ პელუ უკაპიტნებს რაფაელ იბანესის არყოფნაში, ირლანდიაში კეიტ ვუდი შეცვლის დიონ ოკუინეგენს, უელსში დევიდ იანგია რობერტ ჰოულის მაგივრად, შოტლანდიის ნაკრებში კი ჯონ ლესლიმ დაიკავა კარიერდამთავრებული გარი არმსტრონგის ადგილი.

ტურნირის ფავორიტებად სპეციალისტები ინგლისსა და საფრანგეთს მიიჩნევენ. პირველს შარშანაც უნდა ეჩემპიონა და დიდი სლემიც შეესრულებინა, მაგრამ ბოლო ტურში უელსმა გამოჰგლიჯა გამარჯვება ხელიდან და უკანასკნელი ხუთი ერის პირველობა შოტლანდიამ მოიგო. მაშინ სკოტებსა და ინგლისელებს ქულების თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ, მაგრამ შოტლანდიელებს ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ. საფრანგეთმა კი მსოფლიოს თასზე ახალი ზელანდიის დამარცხებით და ვერცხლის მედლების დაუფლებით დაამტკიცა, რომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია.

ეს ორი ფავორიტი ერთმანეთს 19 თებერვალს შეხვდება „სენ დენის“ სტადიონზე და, ალბათ, მაშინ გაირკვევა ტურნირის გამარჯვებულის ბედი, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

ერთიც, ექვსი ერის პირველობის მოგება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად და სწრაფად აუღებენ მორაგბეები ალღოს ახალ წესებს. ირბ-მა მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ შეიტანა თამაშის წესებში სამი შესწორება (რაზეც უკვე ვწერდით) და მათ ექვსი ერის პირველობაზე გაითვალისწინებენ.

ისე, ევროპელები ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, რადგან ახალ წესებს ჩვენ უფრო ადრე შევეგუებით, ვიდრე სამხრეთ ნახევარსფეროს გუნდები და იქნებ მომავალ ტესტებში ტრადიციულზე უკეთ ვეთამაშოთ ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიასო.

ერთი სიტყვით, სარაგბო სამყაროში საკმაოდ დიდი ცვლილებებია და ეგებ ევროპელებმა მართლაც იხეირონ და სამხრეთელ ბობოლებს ტოლ-სწორადაც ეპაექრონ.

აქვე გთავაზობთ ექვსი ერის პირველობის თამაშების განრიგს, გუნდების საპირველტურო შემადგენლობებს შაბათის „სარბიელში“ შემოგთავაზებთ. დღეს, ხვალ და ზეგ კი ორ-ორ გუნდს, რომელთაც ჩვენც ისევე დავაწყვილებთ, როგორც პირველ ტურში არიან დაწყვილებულნი, ორიოდ სიტყვით წარმოგიდგენთ.

## თამაშების განრიგი

I ტური
შაბათი, 5.02
**იტალია — შოტლანდია (18.00)**
**ინგლისი — ირლანდია (18.30)**
**უელსი — საფრანგეთი (20.00)**

II ტური
შაბათი, 19.02
**საფრანგეთი — ინგლისი (18.00)**
**უელსი — იტალია (18.30)**
**ირლანდია — შოტლანდია (20.00)**

III ტური
შაბათი, 04.03
**შოტლანდია — საფრანგეთი (18.00)**
**ინგლისი — უელსი (18.30)**
**ირლანდია — იტალია (20.00)**

IV ტური
შაბათი, 18.03
**იტალია — ინგლისი (18.00)**
**უელსი — შოტლანდია (20.00)**
კვირა, 19.03
**საფრანგეთი — ირლანდია (18.00)**

V ტური
შაბათი, 01.04
**საფრანგეთი — იტალია (18.00)**
**ირლანდია — უელსი (20.00)**
კვირა, 02.04
**შოტლანდია — ინგლისი (18.00)**

# ახალი შოტლანდია

ხუთი ერის უკანასკნელი ტურნირის გამარჯვებულსა და მსოფლიოს თასის მეოთხედფინალისტ (დამარცხდა ახალ ზელანდიასთან 18:30) შოტლანდიას ახლახან მთავარი მწვრთნელი შეეცვალა და რამდენიმე ვეტერანმაც დაასრულა სანაკრებო კარიერა. შოტლანდიელთა ახალი თავკაცი იენ მაკგიქანია, რომელმაც სახელი ბრიტანელი ლომების წვრთნისას დაიგდო. მან ჯიმ ტეფლერი შეცვალა, რომელიც ამიერიდან შოტლანდიური რაგბის დირექტორი იქნება.



შოტლანდიელთა ახალი კაპიტანი ჯონ ლესლი

რაც შეეხება შემადგენლობას — ძველმა კაპიტანმა, შერკინების ნახევარმცველმა გარი არმსტრონგმა ჩათვალა, რომ მისი ნაკრებიდან წასვლის დრო მოვიდა და მორკინლების ალან ტეიტისა და პოლ ბარნელის მსგავსად უარი თქვა თავისი ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაშზე. ახალი თაობა კი ძირითადად უცხოეთთანაა დაკავშირებული. ოთხი მორაგბე ფრანგულ კლუბებში თამაშობს — გრეგორ ტაუნსენდი (ბრივი), ჯეიმს მაკლარენი (ბურგუენი), ბრაიან რედპეთი და სტიუარტ რიდი (ორივე „ნარბონი“) მაკგიქანის გუნდის ბირთვი უნდა გახდნენ, ისევე როგორც ტომით ახალზელანდიელები გლენ მეტკელფი და ჯონ ლესლი. ამ მორაგბეებს უკვე აქვთ რამდენიმე კეპი მოხვეჭილი, მაგრამ ახლა მათი როლი გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება.

შოტლანდიას ხუთი ერის პირველობა 17-ჯერ მოუგია, აქედან 3-ჯერ დიდი სლემიც შეუსრულებია. საფრანგეთის მსგავსად შოტლანდია ლაღი ბურთაობის მიმდევარია და მისი მატჩების ცქერაც ნამდვილად სასიამოვნოა. ამას ისიც ადასტურებს, რომ შარშანდელ ტურნირში სკოტებმა ოთხ თამაშში 16 ლელო გაიტანეს, ჯამში კი 120 ქულა მოაგროვეს. სწორედ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით აჯობეს მათ ინგლისელებს.

გუნდის კაპიტნად ჯონ ლესლის არჩევა კი ბევრისთვის ნამდვილად დიდი სიურპრიზი იყო. იგი ახლა ზელანდიაშია დაბადებული და შოტლანდიის ღირსება მხოლოდ 7-ჯერ დაუცავს. ყოფილი „კივისთვის“, ვინც 29 წლისაა, ამხელა ნდობის გამოცხადება მაკგიქანის მხრიდან მოულოდნელი კი იყო, მაგრამ ნამდვილად კანონზომიერი. შეიძლება ბევრს ახსოვდეს ლესლის როლი შარშან გაზაფხულზე ჩატარებულ მატჩებში. გრეგ ტაუნსენდთან ერთად მან მართლაც რომ ცეცხლი დაანთო მოწინააღმდეგეებში და 16 ლელოდან უმეტესშიც ლომის წილი დაიდო. თუმცა, ლესლი შოტლანდიას მსოფლიოს თასზე დიდად ვერ მიეხმარა, რადგან პირველივე ტურში სამხრეთ აფრიკასთან მარცხენა ქუსლის ტრავმა მიიღო და მაყურებლებში გადაინაცვლა. იმის მერე კი ერთხელაც აღარ მოურგია შოტლანდიის ნაკრების კვართი.

ზე 12-ში „ოთაგოს“ შემადგენლობაში გამოცდილებამიღებულ ლესლიზე მისი წინამორბედი გარი არმსტრონგი ძალიან კარგი აზრისაა: „მას ლიდერის ყველა თვისება აქვს. ყოველთვის დიდებულად თამაშობს და ბოლომდე იხარჯება. იმ შემთხვევაში კი, როცა გუნდი აგებს, ჯონი ყოველთვის პოულობს საჭირო სიტყვებს, რათა თანაგუნდელებს ბრძოლის ჟინი დაუბრუნოს.“

ერთი სიტყვით, შაბათს იტალიასთან მატჩში შოტლანდიას ახალი მწვრთნელი და ახალი კაპიტანი ეყოლება. ხოლო სკოტები, იმედია, უწინდებურად ლამაზად ითამაშებენ.

# იტალიას ხის კოვზის ეშინია

ხუთმა ერმა იტალია თავის ვიწრო წრეში მიიღო. ჯერ კიდევ საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში ამას ვერავინ იფიქრებდა. თუმცა ოცნება რეალობად გადაიქცა, ხუთი ერის პირველობა კი ექვს ერად. ამას, ალბათ, ორი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, რომ 1995 წელს რაგბი გაპროფესიონალდა. მეორე მიზეზი კი პირველიდან გამომდინარეობს — იტალიელი მორაგბეები ევროპის ძლიერ კლუბებში გაიფანტნენ და მათი კლასი ძალიან ამაღლდა. ამის შედეგად „სკუადრა აძურა“ ძლიერად ათამაშდა და ტესტ-მატჩებში ირლანდიის, შოტლანდიის და საფრანგეთის ძლევაც მოახერხა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი იტალიელთა ხუთი ერის პირველობაში ჩართვაზე.

ამ წარმატებას აპენინელებმა ფრანგი მწვრთნელის ჟორჟ კოსტის თავკაცობით მიაღწიეს, რომელიც იტალიელებს 1993 წლის სექტემბრიდან წვრთნიდა. ფრანგი შარშან ივნისში გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მას შემდეგ, რაც იტალია სამხრეთ აფრიკაში „ქურციკებთან“ 0:101 განადგურდა. კოსტის ადგილი მისმა თანაშემწე მასიმო მაშოლეტიმ დაიკავა და მსოფლიოს თასზე არანაკლებ მძიმე მარცხები იწვნია ინგლისთან და ახალ ზელანდიასთან. არეული მონასტრის დასალაგებლად იტალიის რაგბის კავშირმა ახალზელანდიელ ბრედ ჯონსტონს უხმო. „უპირველესად მოთამაშეებმა საკუთარი ძალების რწმენა უნდა დაიბრუნონ. ვეცდები, მათ შევაგნებინო, რომ რაგბის თხუთმეტი კაცი თხუთმეტის წინააღმდეგ თამაშობს და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვის რა ფერის მაისურა აცვია. მთავარია, როგორი შემართებით იბრძოლებ და შედეგიც მოვა. მირჩევნია, საშუალო დონის მორაგბეები მყავდეს და მათ ყველა მატჩში თავი დადონ, ვიდრე თხუთმეტი ვარსკვლავი, რომლებიც ხასიათის მიხედვით ითამაშებენ“ — თქვა ჯონსტონმა. საკუთარი ძალების რომ ერწმუნათ, ამისთვის შედარებით სუსტ გუნდებთან ამხანაგურად გაჯიბრება იყო საჭირო. იტალიამაც სპარინგ-პარტნიორად საქართველო აირჩია და იოლადაც გაუსწორდა — 51:7.



დიეგო დომინგესი

„ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ტურნირი ხის კოვზით არ დავამთავროთ“ — განაცხადა იტალიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ჯანკარლო დონდიმ. შეგახსენებთ, რომ ექვსი ერის პირველობაზე ხის კოვზით ის გუნდი „დაჯილდოვდება“, რომელიც ყველა თამაშს წააგებს.

ირბ-ის უელსელი პრეზიდენტი ვერნონ პაგი ფიქრობს, რომ იტალიას ნამდვილად შესწევს ძალა, თანაბარ დონეზე ეთამაშოს დანარჩენ ხუთ ერს: „ბოლო წლებში იტალია ისე აბრახუნებდა ხუთი ერის კარზე, ძნელი იყო მისთვის არ გაეღოთ“.

თუმცა ეს მაინც უფრო შარშანდლამდე, როცა ყველაფერი კარგად იყო „სკუადრა აძურაში“. შარშანდელი უსუსური შედეგები კი ალბათ იმის ბრალია, რომ იტალიელთა მშვენიერი თაობა (დომინგესი, ძმები კუტიტაები, ჯიოვანელი, პროპერძი და სხვა) „მობერდნენ“ და უწინდელი შემართებით ველარ თამაშობენ. თანაც სხვებისგან განსხვავებით, იტალიას შედარებით მოკრძალებული ფინანსური საშუალება აქვს და შესაბამისად შეკრებები და ტურნეებიც უფრო ძნელი გასამართია. თუმცა აპენინელები არც მთლად ჩამოსაწერნი არიან და განსაკუთრებით მათი ერთ-ერთი ლიდერი დიეგო დომინგესი.

წარმოშობით არგენტინელ დომინგესს 57 კეპი აქვს მოხვეჭილი და 33 წლისაც საკმაოდ კარგად წარმართავს თანაგუნდელთა შეტევებს. ფეხითაც ხომ მშვენივრად თამაშობს. დომინგესი 1988-89 წლებში არგენტინელი „პუმების“ ღირსებას იცავდა, ახალი სამშობლოს სახელით კი პირველად 1991 წელს ითამაშა საფრანგეთის წინააღმდეგ. ის თითქოს რაგბისთვის შეუფერებელია (171სმ, 76კგ), მაგრამ მისი სისწრაფე, ტექნიკა, თამაშის სწორად წარმართვა და განსაკუთრებით დარტყმების სიზუსტე იტალიას დიდ სამსახურს უწევს. სანაკრებო მატჩებში იტალიის მაისურით მას 789 ქულა აქვს მოხვეჭილი, რაც მოქმედ მორაგბეებში უელსელი ნილ ჯენკინსის შემდეგ საუკეთესო შედეგია.

ერთი სიტყვით, იტალიას მცირედი, მაგრამ მაინც აქვს შანსი, ექვსი ერის პირველობის პირველ მატჩში არ დამარცხდეს, ისევე როგორც თავის პირველ საერთაშორისო შეხვედრაში. შორეული 1929 წლის 20 მაისს მან ბარსელონაში ესპანეთთან 0:9 წააგო.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ლიცენზიაც შარია

## არ მოიპოვებ, ინანებ, მოიპოვებ, ინანებ

გურამ [illegible] ფოტო



ალექსანდრე მოდებაძე

სიდნეის ოლიმპიადის საგზურების გარეშე დარჩენილი მოჭიდავეები ავსტრალიაში წასასვლელად სალიცენზიო ტურნირების რთულსა და მომქანცველ გზას დაადგნენ. მათ შორის ქართველი ფალავნებიც არიან. „ბერძენ-რომაელებზე" უკვე გესაუბრეთ, ახლა კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებზე ვთქვათ, გასულ უქმეებზე დასრულებულ მინსკის ტურნირზე უკვე გაცნობეთ, ახლა კი თბილისში დაბრუნებულ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძესთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

— ჩვენს სახეობაში ეს პირველი სალიცენზიო ტურნირი იყო, რომელშიც 40-ზე მეტი ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრები — ოთხი სპორტსმენი და მწვრთნელი — ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააფინანსა. გოჩა კირკიტაძემ (54) რვა ქულა მოიპოვა, ოთარ თუშიშვილმა (58) ნახევარფინალში გასასვლელი შეხვედრა მოიგო, თუმცა ფეხი იტკინა და ასპარეზობა ვეღარ გააგრძელა. ის საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. დავით პოლოსიანი (63) მეხუთე იყო, ხოლო ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე) ჩემპიონი გახდა.

ამ ოთხეულს დაემატნენ რევაზ მინდორაშვილი (76) და თამაზ გეგეშიძე (85), რომლებიც მინსკში საკუთარი ხარჯით გაემგზავრნენ. გეგეშიძე ახალგაზრდაა და გაუჭირდა კიდეც, მინდორაშვილისა კი კმაყოფილი ვარ. ძლიერ ჯგუფში მოხვდა, თუმცა ერთი შეხვედრა მაინც მოიგო. მეორე დამატებით დროში წააგო და თანაც, მომავალ ჩემპიონთან. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მინდა ვთხოვო, სალიცენზიო ტურნირებისთვის მოსამზადებელ გუნდში ისიც ჩართოს.

სალიცენზიო ტურნირი სულ ხუთია. რეიტინგში კი მათგან სამი საუკეთესო შედეგი შედის. შეჯიბრების დამთავრების მერე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებს ვესაუბრე. მათ მითხრეს, თუ მოჭიდავე სამ ტურნირში მაინც შევა ხუთეულში, თითქმის გაინაღდებს ლიცენზიასო. აქედან გამომდინარე, ეს შედეგი ნორმალურია. უნდა მოუმატოს პოლოსიანმა. თუშიშვილი რომ არ დაშავებულიყო... მოსამზადებელი პირობებიც გავითვალისწინოთ. მინსკში ვინც კი გამოვიდა, ყველამ ორკვირიანი შეკრება გაიარა იქვე მდებარე ოლიმპიურ ბაზაზე, ჩვენ კი პირდაპირ ამ გაყინული დარბაზიდან წავედით. მიუხედავად ამისა, სპორტსმენებისგან უფრო მეტს ვითხოვ.

**— მომავალი სალიცენზიო ტურნირებისთვის გუნდის შემადგენლობა ხომ არ შეიცვლება?**

— ძირითადად ამ გუნდით ვიბრძოლებთ ლიცენზიების მოსაპოვებლად. 12-13 თებერვალს ლაიპციგში ვიჭიდავებთ, 26-27-ში — ტოკიოში.

**— ბედინეიშვილმა და კურტანიძემ უკვე აიღეს ლიცენზიები, ამიტომ ამ ტურნირებში ვერ გამოვლენ. როგორ მოემზადებიან ისინი ევროპის პირველობისა და ოლიმპიური თამაშებისთვის?**

— ეს ჯერაც გაურკვეველია. მინსკში შეკრებაზე ყველას ჰყავდა ლიცენზირებული სპორტსმენები, რომლებიც უკვე ემზადებიან ოლიმპიადისთვის. ჩვენები კი აქ არიან და არც არანაირი პერსპექტივა ჩანს.

**— მზადების გეგმას მაინც შეიმუშავებდით.**

— დიახ, ასეა. შეკრებებიც დავგეგმეთ და ტურნირებიც, მაგრამ ვერ დაგვაფინანსეს და ჩაგვეშალა. თუმც ევროპის ჩემპიონატამდე, თებერვალ-მარტში, კიევისა და ვენის საერთაშორისო ტურნირებზე გვინდა გავუშვათ სპორტსმენები.

ირაკლი თავაძე



# აქ, ჩვენთან sosროლეთია!

ყოველწლიურად, იანვრის ბოლოს, მიუნხენში ტყვიის მსროლელთა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი — ბავარიის ღია პირველობა იმართება. ის იმდენად ძლიერ შემადგენლობას უყრის თავს, რომ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ. თუმცა ისიც სათქმელია, რომ შეჯიბრი მხოლოდ პნევმატური იარაღიდან სროლაში ტარდება და თანაც ორჯერ, ორი დღის განმავლობაში.

შარშან მიუნხენში ძალიან იყოჩაღა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც ორჯერვე ჩემპიონობა მოიპოვა. ის წლეულსაც ისროდა მიუნხენში, მაგრამ შეკრებაგაუვლელი, აქაურ გაყინულ ტირში გაციებული ამჯერად მოკრძალებულ შედეგს დასჯერდა — ორივე ასპარეზობაში მეოთხე იყო. იკლო მისმა შედეგმაც: შარშან 387 ქულა, წლეულს 385 და 382.

სალუქვაძე 12 თებერვალს, ისევ გერმანიას მიაშურებს მოსამზადებლად.

ირაკლი თავაძე



# დედოფალი ყველას უნდა

„სპორტის დედოფლის", მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი ამბავია, უეჭველად ადრევე რომ სჭირდება თადარიგის დაჭერა და საქმიანი ხალხიც აქედანვე ცდილობს, აწ განსვენებული პრიმო ნებიოლოს წყალობით ბოლო ხანებში მეტად მომგებიანად ქცეული ლუკმის დაბევებას. მაგალითად, კვირის დასაწყისში ბრიტანელები ამოქმედდნენ და ლეონარდ ჰატონის თამადობით მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (IAAF) საკუთარი განაცხადი აახლეს 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე. განაცხადში, უპირველესად ის არეაა გაცხადებული, რომელიც ალბიონელებს ჩემპიონატისთვის შეუგულებიათ — ესაა თვიქნემის უძველესი სტადიონი, ჩვენი მკითხველი უფრო სარაგბო ქრონიკებიდან რომ იცნობს, თუმცა ბრიტანელები IAAF-ს სხვა ვარიანტის გამოძებნასაც ჰპირდებიან და თანაც სულ ახლო მომავალში. „სამთავრობო დონეზე სრული მხარდაჭერა გვაქვს" — ნათქვამია განაცხადის დასასრულს. ხელისუფლების მხარდაჭერის ამბავში ბრიტანელები ორიგინალური როდი არიან. აქ არ დავასახელებთ და ზოგიერთი ქვეყნის მამათაგან განსხვავებით, საფრანგეთის და ავსტრალიის მთავრობებმაც დიდებულად უწყიან თავიანთი ქვეყნებისთვის მსოფლიოს პირველობების დარი შეჯიბრებების მნიშვნელობა. ფრანგებს 2003 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ და ჯერჯერობით კონკურენტიც არა ჰყავთ, ხოლო ავსტრალიელების ინტერესები კი ბრიტანელებისას დაეჯახა, რადგან მათაც ალბიონელებივით 2005 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა ამოუჭრიათ გულში. ვის მხარეს დაიჭერს IAAF, ფედერაციის საბჭოს სხდომაზე უნდა გადაწყდეს, რომელიც პარიზში 3 აპრილს გაიმართება.

დავით გულუა





REUTERS ფოტოდან

მარტინა ჰინგისი

# ლინდსი გამონაკლისია

ტოკიო. იაპონია. „პენ პესიფიკ ოუფენ". დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 1,08 მილიონი $

ავსტრალიის ღია პირველობა დასრულდა თუ არა, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ლეგიონმა ტოკიოს პრესტიჟულ ტურნირზე გადაინაცვლა.

ერთადერთი გამონაკლისი მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტია. ზორბა ამერიკელმა მელბურნში ბარძაყის ტრავმა მიიღო და ფინალში გამარჯვების მიუხედავად, იაპონიაში გამგზავრებას შინ დაბრუნება და დასვენება არჩია.

ყველაზე მეტად ლინდსის არყოფნა შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს გაახარებდა, რომელსაც ბოლო ხანებში ამერიკელთან თამაშზე ალერგია აქვს. მით უმეტეს, რომ ტოკიოში გამარჯვების შემთხვევაში დევენპორტს კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაბრუნება შეეძლო.

მარტინა პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი, ამერიკელ ლაიზა რეიმონდთან შეხვედრაში, უჩვეულოდ გაუჭირდა. რეიმონდმა 19 წლის შვეიცარიელს მეორე ხელში ორჯერ წაართვა მოწოდება და სეტ-პოინტსაც კი მიატანა, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდა 3:6, 5:7.

„მან იმხელა ზეწოლის ქვეშ მომაქცია, რომ ერთხანს ყურადღება გამეფანტა, რაც კინაღამ ძვირად დამიჯდა" — ახსნა ჰინგისმა, რომელმაც რეიმონდთან, მსგავს საფარზე, თავის დროზე შვეიცარიაში, თანამემამულეების თვალწინ წააგო.

იოლად გააღწია მომდევნო წრეში გასული წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტმა, მამით კალათბურთელმა და დედით ინტრიგანმა ალექსანდრა სტივენსონმა. მულატი ჩოგბურთელი 4:1 უგებდა ესპანელ მარია ანტონია სანჩეს ლორენსოს, როდესაც ამ უკანასკნელმა ზურგის ტრავმა მიიღო და მახლობელ საავადმყოფოშიც კი გახდა წასაყვანი.

„ასე მოგება არ მინდოდა, თუმცა ჩემი ბრალი ხომ არ არის. აქ საფარი ბალახს ძალიან წააგავს და ვფიქრობ, ჩემთვის ზედგამოჭრილია"— განაცხადა სტივენსონმა.

პირველი წრე: **ანა კურნიკოვა** (5, რუსეთი) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ჩანდა რუბინი** (7, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:0 — ტრავმა; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვაკეთი) — აი სუგიამა (8, იაპონია) 6:3, 6:3; **ნატაშა ზვერევა** (ბელარუსი) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 6:4, 6:4; **კარა ბლექი** (ზიმბაბვე) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 7:5, 2:6, 6:2; **ირინა სელიუტინა** (ყაზახეთი) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 6:2, 6:4

# შტეფი გრაფი ემოციურ ტალღებზე

ლეგენდარულმა შტეფი გრაფმა გუშინ სპორტის ახალი სახეობა, აფროსნობა დააჭაშნიკა — ახალ ზელანდიაში მყოფმა ჩოგბურთელმა „ამერიკის თასის" ერთ-ერთ ეტაპში იასპარეზა.

აქამდე ორი კვირის მანძილზე გრაფი მელბურნში იმყოფებოდა ბოიფრენდის, ანდრე აგასის საქომაგოდ, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ წყვილის გზები დროებით გაიყარა: ხოტორა ამერიკელი ზიმბაბვეში გაემგზავრა დევისის თასზე საასპარეზოდ, შტეფიმ კი მახლობელ კუნძულებს მიაშურა საჩვენებელი მატჩების გასამართად და ახალი ზელანდიის გარდა ტოკიოშიც უნდა შეიაროს.

სამშაბათს გერმანელი ოკლენდში „ლუი ვუიტონის" თასის ფინალში მოასპარეზე ერთ-ერთ იახტას, „ამერიკა უანს" ესტუმრა და მცირე ექსკურსიის შემდეგ მეორე დღეს რბოლაში მონაწილეობის მისაღებადაც მიიწვიეს.

„დიახ, ის იახტაზე იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ავდარი არ შეგვიშლის ხელს, რაც თითქმის გამორიცხულია" — განაცხადა სალამოს „ამერიკა უანის" წარმომადგენელმა ჯინა ფონ ესმარკმა.

„ჩემი მოვალეობა მხოლოდ იქ ჯდომა და არაფრის კეთებაა" — დაურთო ახალი ზელანდიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში შტეფიმ.

„ლუი ვუტონის თასზე" ასპარეზობა 5 მოგებამდე მიმდინარეობს, გამარჯვებული კი 19 თებერვლიდან „ამერიკის თასზე" წინა ჩემპიონს, ახალ ზელანდიას გაეჯიბრება. თითოეულ იახტას 16-კაციანი ეკიპაჟი ჰყავს, თუმცა ყოველ რბოლაზე „მე-17 პიროვნების" მიწვევა შეუძლია მაყურებლად. ოთხშაბათამდე 5 ეტაპი იყო გამართული და „ამერიკაუანი" იტალიურ „პრადა ჩელენჯთან" 2:3 აგებდა.

გრაფს იმედგაცრუება ნამდვილად არ ელოდა — გუშინდელი რბოლა ყველაზე დაძაბული გამოდგა ფინალურ სერიებში. თავიდან 18,5 საზღვაომილიან დისტანციაზე „პრადა" ლიდერობდა, მაგრამ მისი მცირე შეცდომის გამო წინ ამერიკელები გაიჭრნენ და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვიათ.

ყვითელ საწვიმარში გამოწყობილი, გემბანზე მჯდომი გრაფი ნერვიულად ადევნებდა თვალყურს, როგორ ცდილობდნენ იტალიელები ჩამორჩენის ანაზღაურებას. მათი თავკაცი ფრანჩესკო დე ანჯელისი დიდ რისკსაც არ ერიდებოდა და ზოგჯერ მეტად სახიფათოდ, სანტიმეტრებში უახლოვდებოდა მეტოქის ნავს.

საბოლოოდ „ამერიკაუანმა" მხოლოდ 9 წამით იმარჯვა და სერიებში ანგარიში გაათანაბრა — 3:3. „არაჩვეულებრივია, ამაზე ამაღელვებელი ცხოვრებაში არაფერი გამომიცდია. რბოლასა და ასეთ დაძაბულ ორთაბრძოლაში მონაწილეობა შესანიშნავი იყო" — აღნიშნა მოგვიანებით შტეფიმ.

„ის მებრძოლი ხასიათის პიროვნებაა და ჩვენი სპორტის საუკეთესო სანახაობა პირველი რიგის ადგილიდანაც შევთავაზეთ" — განაცხადა „ამერიკაუანის" თავკაცმა პოლ კეიარდმა.

რაც შეეხება „პრადას", ისინი დათარსვის შიშით ქალს გემბანზე არ აჭაჭანებენ და არც ამის შემდეგ აპირებენ რაიმეს შეცვლას — როგორც წესი, „მე-17 პიროვნებად" 73 წლის რენტო გვიდის დაპატიჟებენ.

„ჩვენ ჩვენი ჯენტლმენიც გვაკმაყოფილებს, რომელიც მუდმივად ნავზეა. გოგოებს კი მაშინ წავიყვანთ, როდესაც კრუიზზე ვიქნებით" — ეს დე ანჯელესის სიტყვებია.

ავთანდილ სვანიძე





ზღვაოსნებს არ უყვართ ქალი გემბანზე, მაგრამ შტეფი გრაფი ხომ გამონაკლისია

# სწრაფები მალევე მორჩნენ
## ოთხი მსოფლიო რეკორდი ორ დღეში

მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი ციგურაობაში კანადაში, ოლიმპიადა 88-ის მასპინძელ კალგარიში მოეწყო. ბევრისმნახველი დახურული საციგურაო კიდევ რამდენიმე მსოფლიო რეკორდის მომსწრე გახდა. არა და არ ასვენებს არც სხვებსა და არც საკუთარ თავს ჰოლანდიელი ჯანი რომე. ბოლო ორი წლის მანძილზე მსოფლიო რეკორდის მფლობელმა 5000 მეტრზე კიდევ 2,77 წამით გააუმჯობესა ძველი მიღწევა. კაცების ლიდერს არც გერმანელი გუნდე ნიმან-შტირნემანი ჩამორჩა. ეს ფენომენალური მონაცემების სპორტსმენი, რომლის პირველი მსოფლიოს რეკორდი ათი წლის წინათ, 1990 წელს ალინუსხა, უკვე მეშვიდედ ცვლის მსოფლიოს საუკეთესო შედეგს 3000 მეტრზე. ამჯერად წამითა და 16 მეასედით. .

სულ კალგარიში 4 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. პროგრამა, ყველაზე გრძელი დისტანციების გამოკლებით, სრულად შეესაბამებოდა ოლიმპიურ პროგრამას. ყინულზე დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის 170-მა მოციგურავემ.

სპრინტერებისთვის კალგარი მსოფლიოს თასზე ასპარეზობაში საბოლოო იყო, ახლა „სწრაფები" ორი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან ერთი — სპრინტერთა — 26-27 თებერვალს გაიმართება სეულში, მეორე — ცალკეულ სახეობებში — 3-5 მარტს ნაგანოში.

კანადელმა ჯერემი უოტერსპენმა წლეულს მეორედ მოიგო მსოფლიო თასი და მსოფლიო ჩემპიონატზეც ფავორიტად მიემგზავრება. გაცილებით რთული ვითარებაა სპრინტერ ქალებში. უკანასკნელი ორი სეზონის ლიდერი, კანადელი კატრიონა ლემეი-დოანი წლევანდელ თასის გათამაშებაში წარუმატებლად გამოდის, იმდენად წარუმატებლად, რომ ვერც ერთი სტარტი ვერ მოიგო. რაც შეეხება გერმანელ მონიკა გარბრეხტს, სეზონი მშვენივრად კი დაიწყო, მაგრამ ფინიშზე აშკარად მოუკლო, რაც სხვა სპორტსმენებს მშვენიერ შანსს აძლევს, წარმატებით იბრძოლონ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის.

### ქალები

500 მ. საბოლოო შედეგი
1. მონიკა გარბრეხტი (გერმანია) — 736
2. ტომომი ოკაზაკი (იაპონია) — 589
3. ერიკო სანმია (იაპონია) — 575
4. კატრიონა ლემეი-დოანი (კანადა) — 566

1000 მ. საბოლოო შედეგი
1. მონიკა გარბრეხტი (გერმანია) — 725
2. ტერეზა ჰოისეტი (ნორვეგია) — 660
3. ერიკო სანმია (იაპონია) — 466
7. ლემეი დოანი (კანადა) — 388

1 500 მ.
1. გუნდე ნიმან-შტირნემანი (გერმანია) — 212
2. ანი ფრეიზინგერი (გერმანია) — 206
3. მაკი ტაბატა (იაპონია) — 200

3000-5000
1. გუნდე ნიმან-შტირნემანი (გერმანია) — 300
2. კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) — 240
3. რენატე გრენევოლდი (ჰოლანდია) — 190

### კაცები

500 მ. საბოლოო შედეგი
1. ჯერემი უოტერსპენი (კანადა) — 765
2. ხიროიასუ შიმიცუ (იაპონია) — 750
3. მაიკლ აილენდი (კანადა) — 738

1000 მ. საბოლოო შედეგი
1. ჯერემი უოტერსპენი (კანადა) — 755
2. იაკო იან ლიუვანგი (ჰოლანდია) — 623
3. იან ბოსი (ჰოლანდია) — 601

1 500 მ.
1. ადნე სუნდროლი (ნორვეგია) — 280
2. იან ბოსი (ჰოლანდია) — 220
3. იდს პოსტმა (ჰოლანდია) — 142

5000-10 000
1. ჯანი რომე (ჰოლანდია) — 300
2. ბობ დე იონგი (ჰოლანდია) — 220
3. ფრანკ დიტრიხი (გერმანია) — 182



გუნდე ნიმან-შტირნემანი



# გმირი გია

1 თებერვალი

**ბუფალო — ანაჰაიმი 2:2**

1:0 1:0 0:2 0:0

1:0 შატანი 11'37 (25); 2:0 პეკა 35'51 (9); 2:1 ოლაუსონი 44'43 (7); 2:2 რუჩინი 51'16 (9)

**ოტავა — ბოსტონი 4:4**

2:1 0:2 2:1 0:0

1:0 პროსპალი 0'52 (12); 1:1 აქსელსონი 16'09 (9); 2:1 დაკელი 17'53 (3); 2:2 კარტერი 29'14 (22); 2:3 დიმაიო 38'56 (5); 3:3 რუა 44'41 (4); 4:3 ბურკი 52'33 (7); 4:4 ბონკი 59'27 (14)

**კაროლინა — ფლორიდა 4:2**

2:0 2:2 0:0

1:0 ფრენსისი 8'11 (14); 2:0 კოვალენკო 14'06 (11); 2:1 პერიში 32'20 (19); 2:2 კოზლოვი 34'10 (13); 3:2 კაპანენი 34'37 (20); 4:2 ვესტლუნდი 86'29 (4)

**პიტსბურგი — ვაშინგტონი 3:2**

1:1 1:0 1:1

1:0 სტრაკა 12'05 (10); 1:1 ნიკოლიშინი 17'35 (7); 2:1 ლანგი 36'00 (16); 2:2 ოუთსი 50'22 (8); 3:2 სტრაკა 52'41 (11)

**ტამპა — ტორონტო 3:5**

1:0 2:1 0:4

1:0 სილინჯერი 9'41 (16); 2:0 კუბინა 26'25 (5); 3:0 გრეტონი 34'13 (13); 3:1 ტომასი 34'36 (14); 3:2 კლარკი 49'23 (3); 3:3 სუნდინი 53'46 (24); 3:4 კლარკი 54'15 (4); 3:5 კოროლიოვი 59'22 (15)

**კალგარი — სენტ ლუისი 4:5**

1:2 0:1 3:1 0:1

0:1 პელერინი 4'32 (4); 1:1 შანცი 8'06 (7); 1:2 რიზონერი 10'19 (1); 1:3 დემიტრა 32'19 (20); 2:3 უილმი 42'42 (8); 2:4 რიზონერი 49'34 (2); 3:4 ბურე 55'12 (27); 4:4 ნაზაროვი 58'49 (9); 4:5 დემიტრა 62'02 (21)

**კოლორადო — ვანკუვერი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 საკიკი 34'19 (10); 2:0 დედმარში 46'26 (14); 2:1 კლეტი 47'16 (5)

**სან ხოსე — ფინიქსი 0:1**

0:0 0:0 0:0 0:1

0:1 კარნი 61'32 (2)



REUTERS კალგარიდან

ყვანჯის უშნოდ ტრიალი არ შეიძლება! კალგარელი კლარკ უილმი (23) და სენტლუისელი კრეიგ კონროი

სამი თვის შემდეგ როგორც იქნა დაბრუნდა დომინიკ ჰაშეკი. შეგახსენებთ, რომ იგი 29 ოქტომბერს დაშავდა, ფლორიდასთან მატჩში. ტრავმის შემდეგ ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში მან ყველას დაუმტკიცა, რომ იგი ისევ ის „დომინატორია" და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია, მარტომ გადაარჩინოს თამაში. „ჰაშეკი რომ არ ყოფილიყო, უეჭველად მოვიგებდით" — თქვა მატჩის შემდეგ ანაჰაიმის სუპერფორვარდმა ტეემუ სელიანემ, რომელმაც ორი პასი კი მიითვალა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა ეს უეჭველად ჰაშეკის დამსახურებაა, მაგრამ ეს კი ყველაფერი ძირითად დროში მოხდა, ამიტომაც მატჩის მთავარი გმირი გახდა არა დომინიკი, არამედ მისი ანაჰაიმელი კოლეგა გი ებერი — ოვერტაიმში მან ფანტასტიკურად ითამაშა. სელიანეს უსაფუძვლო დაჯარიმების შემდეგ სტუმრები დამატებით დროში უმცირესობაში დარჩნენ და გამარჯვებას მოწყურებულმა „ხმლებმა" ყველა ღონე იხმარეს, რათა ჰაშეკის დაბრუნება წარმატებით აღენიშნათ. ებერს დამატებით დროში 9-ჯერ (!) დაურტყეს და ყველა მოიგერია, ახალბედა მაქსიმ აფინოგენოვს კი სამჯერ არ გაატანინა.

მოგეხსენებაც ფინიქსიც ძირითადი მეკარის, ნიკოლაი ხაბიბულინის გარეშე ასპარეზობს, თუმც მიზეზი ტრავმა არ არის. კარგა ხანია, იგი კლუბს ედავება, 4-წლიან და 20-მილიონიან კონტრაქტს ითხოვს, მაგრამ „კოიოტების" მეთაურები არა და არ თმობენ და ამის საბაბიც აქვთ. „ბულინის" (ნიკოლაის მეტსახელია) გუნდი ხომ დივიზიონის ლიდერია, თანაც სათადარიგო მეკარეები შონ ბურკი და ბობ ესენცა კარგად ირჯებიან. ამჯერადაც სან ხოსესთან შეხვედრაში, ძირითადი დრო რომ უგოლოდ დასრულდა, სწორედ ესენცას (34 მოგერიება) დამსახურებაა. ოვერტაიმში კი „კოიოტებმა" მეტოქეს გამარჯვება გამოჰგლიჯეს.

შეწყდა ვაშინგტონის 11-მატჩიანი წარმატებული სერია. „ეს მშვენიერი იყო. ოლაფი თავისი დამაჯერებელი თამაშით მოგების შანსს გვაძლევდა და იღბალიც ჩვენს მხარეზე იყო. ახლა კი თავიდან უნდა დავიწყოთ" — დანანებით ამბობდა კეპიტალსის ლიდერი პეტერ ბონდრა. ისე, ოლაფ კოლციგი ამჯერადაც ვაჟკაცობდა. არც სერგეი გონჩარი დარჩა უქულოდ, მაგრამ სავსებით დამსახურებული ფრე სტუმრებს იარომირ იაგრმა გამოჰგლიჯა ხელიდან. სუპერჩეხმა (2 პასი) ჩვეულ სტილში ჩამოიშორა რამდენიმე მეტოქე, მერე მარტინ სტრაკას გადასცა ზუსტი პასი.

თავის ახალ კლუბ კაროლინაში პირველი ქულა მიითვალა, ცნობილმა ფორვარდმა როდ ბრინდამორმა, რომელიც სულ ახლახან ფილადელფიამ კეიტ პრიმოზე გაცვალა. თუმცა კაროლინას ქომაგები ამაზე მეტად გუნდის მოგებამ და ტრავმირებული რონ ფრენსისის დაბრუნებამ გაახარა.

მცირე ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა კოლორადოელმა ჯო საკიკმა ლიგაში დაბრუნება გოლითა და პასით აღნიშნა, მაგრამ ვანკუვერის ძლევით გამოწვეული სიხარული გუნდს კიდევ ერთი ლიდერის, პეტერ ფორსბერგის დაშავებამ ჩაამწარა.

**სამველ ლარიბიანი**

## თვის მოთამაშე
### ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი)



ამბობენ, კარგი მეკარე გუნდის ნახევარიაო. ოლაფ კოლციგმა 1998 წლის შემდეგ, როცა ვაშინგტონი ფინალში გაიყვანა, ვერა და ვერ გაიხარა. მან ვერც წინა სეზონში, ვერც წლეულს ივარგა და ვერაფრით ავიდა ერთხელ უკვე მიღწეულ დონეზე. მაგრამ „ოლ სტარში" მოულოდნელმა არჩევამ გერმანელი გამოაცოცხლა და აი, შედეგიც — იანვარში „კეპიტალსმა" ჩინებული 11-მატჩიანი სერია (+10+1-0) გამართა და თერთმეტივე შეხვედრაში მის კარს სწორედ კოლციგი იცავდა. გუნდმა საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა, ოლაფმა კი მეკარეთა შორის მე-4 ადგილზე აინაცვლა. თვეც ფილადელფიასთან ეფექტური „შათაუტით" დაასრულა დედაქალაქელთა გოლკიპერმა და ლიგის არჩევანიც განაპირობა. არადა, ღირსეული კონკურენტები საკმაოდ ჰყავდა.

**საუკეთესო ექვსეული**

*ოლაფ კოლციგი* (ვაშინგტონი, 1); *სერგეი გონჩარი* (ვაშინგტონი, 1) — *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, 2); *პატრიკ ელიაში* (ნიუ ჯერსი, 1) — *პეტერ ფორსბერგი* (კოლორადო, 1) — *პაველ ბურე* (ფლორიდა, 2)

## თვის ახალბედა
### ტრევორ ლეტოვსკი (ფინიქსი)



ფინიქსის წლევანდელ წარმატებებს არცთუ უსაფუძვლოდ უკავშირებენ გუნდის ლიდერების, განსაკუთრებით კი ჯერემი რენიკის ჩინებულ თამაშს. მას არც სხვა წამყვანი მოთამაშეები ჩამორჩებიან, მაგრამ ნურც ეგრეთ წოდებულ საშუალო რგოლს დავუკარგავთ ღვაწლს — ეს ბრიგადა შავი სამუშაოს შესრულებას და ვარსკვლავების ჩრდილში ყოფნას არ თაკილობს და მათ ბევრად უიოლებს საქმეს. წლეულს „კოიოტებმა" ტრევორ ლეტოვსკის სახით სწორედ ასეთი ტიპის საიმედო ჰოკეისტი შეიძინეს. ჭაბუკი ფორვარდი ერთობ კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, რის წყალობითაც ფინიქსმა მესამე ცენტრფორვარდის პრობლემა გადაწყვიტა. იანვარში კი კლუბის ხელმძღვანელებმა ლეტოვსკი რიცხვმრავლობაშიც გამოსცადეს და მოწადინებულმა ახალბედამ ქულების მოგროვებაც დაიწყო. საბოლოოდ იგი იანვარში ჩატარებული 14 მატჩიდან 10-ში გამოირჩა და 2 გოლითა და 9 პასით დამსახურებულად ირგუნა თვის ლაურეატობა.

**საუკეთესო ექვსეული**

*მარტინ ბირონი* (ბუფალო, 2); *ბრაიან რაფალსკი* (ნიუ ჯერსი, 2) — *იერე კარალაჰტი* (ლოს ანჯელესი, 1); *იან ჰლავაჩი* (რეინჯერსი, 1) — *ტრევორ ლეტოვსკი* (ფინიქსი, 1) — *მაიკ იორკი* (რეინჯერსი, 2)

## კვირის მოთამაშე
### სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი)



იშვიათობაა, როცა კვირის ან თვის რჩეული მცველი ხდება. რადგან ლაურეატების დასახელების უმთავრესი კრიტერიუმი მაღალი შედეგიანობაა, ამ ამპლუის მოთამაშეებს უჭირთ ფორვარდებთან გაჯიბრება. მაგრამ გასული კვირა გამონაკლისი გამოდგა. სიურპრიზი ვაშინგტონელმა სერგეი გონჩარმა შემოგვთავაზა. 7 დღის განმავლობაში ჩატარებულ 4 მატჩში 7 (3+4) ქულის დაგროვება ერთობ მოულოდნელია რუსისგან, რომელმაც სეზონი გაფიცვითა და არადამაჯერებელი ასპარეზობით დაიწყო. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გუნდმა ოთხჯერ მოიგო და წარმატებული სერია 11 მატჩამდე გაზარდა. მცველი, რომელსაც შედეგიანობაშიც ბადალი არ ჰყავდა ლიგაში, სამართლიანად აღიარეს გასულ კვირაში საუკეთესოდ.

**საუკეთესო ექვსეული.** 24-30 იანვარი

*ოლაფ კოლციგი* (ვაშინგტონი, 1); *სერგეი გონჩარი* (ვაშინგტონი, 2) — *რომან ჰამრლიკი* (ედმონტონი, 1); *სტივ ტომასი* (ტორონტო, 1) — *პეტერ ნედველი* (რეინჯერსი, 1) — *ტონი ამონტე* (ჩიკაგო, 1).




**იყიდება როტვეილერის ლეკვები**

☎ 39 42 65

დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 15 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### დავით უსტიაშვილი -ვითა-



დრომ მოიტანა, რომ საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი თბილისის „ვითა“ მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით მხოლოდ ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძვის. ჩემპიონს უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფ თსუ-სთან. ვითელთა წარმატებაში უდიდესი როლი ითამაშა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის დავით უსტიაშვილის მიერ ორგანიზებულმა შეტევებმა. უსტიაშვილის უზუსტესი პასების შემდეგ ფარქვეშ ფხიზლად მყოფ ახალკაცს ისღა რჩებოდა, ბურთი კალათში მიეთავსებინა. ამის შედეგად „ვითამ“ გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა.

**— დათო, პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა შესვენების შემდეგ კინაღამ ქარს გაატანეთ. სტუდენტებმა თვრამეტქულიანი სხვაობა ერთ ქულამდეც დაგიყვანეს. რით ახსნით ჩემპიონის ასეთ უყურადღებობას? დარწმუნებული იყავით, რომ გამარჯვება „ვითას“ დარჩებოდა?**

— რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვება „ვითას“ დარჩებოდა. მართალია, შარშანდელი შემადგენლობიდან მთავარ მწვრთნელთან ერთად ექვსი კალათბურთელიც მოვიკლისეთ, მაგრამ იმდენი ძალა კი შეგვწევს, რომ პირველი ნახევრის შემდეგ მოპოვებული 18-ქულიანი უპირატესობა აღარ დავთმოთ.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, შესვენებამდე გადაწყდა მატჩის ბედი თუ შესვენების შემდეგ? მეორე ტაიმის ერთ-ერთ მომენტში თსუ-ს თქვენგან მხოლოდ ქულაღა აშორებდა და სულაც არ იყო გამორიცხული, რომ წინაც გასულიყო და გამარჯვებაც მოეპოვებინა.**

— მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში სტუდენტები კინაღამ წამოგვეწივნენ, პირველი ტაიმის შემდეგ უკვე ყველაფერი ნათელი იყო, გამარჯვებას „ვითა“ უფრო იმსახურებდა.

**— ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ტაიმის შესახებ რას იტყვით?**

— პირველ ნახევარში ყველაფერი გამოგვდიოდა — განსაკუთრებით ვიყოჩაღეთ დაცვაში. მეორეში კი ცოტა მოვდუნდით, მოულოდნელად პრობლემები შეგვექმნა მეტოქის მიერ დაყენებული ზონის წინააღმდეგ თამაშის დროს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხუთი-ექვსი კაცით მთელ შეხვედრას ერთ დონეზე ვერ ჩაატარებ. მეორე ტაიმში ჩვენც გვქონდა ჩავარდნები, მაგრამ მთლიანობაში, ჩემი აზრით, ცუდად არ გვითამაშია.

**— კონკრეტულად თქვენი თამაშის შესახებ რას გვეტყვით? კმაყოფილი დარჩით?**

— დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით შორს ვარ ჩემი სათამაშო ფორმიდან და, აღნიშნულიდან გამომდინარე, არც თამაშით დავრჩენილვარ კმაყოფილი. აშკარად მეტის გაკეთება შემიძლია.

**— რა გაქვთ მხედველობაში, „ვითაში“ შექმნილი ფინანსური პრობლემები თუ...**

— „ვითაში“ რომ პრობლემებია, ეს გუნდიდან მთავარი მწვრთნელის და ექვსი კალათბურთელის წასვლამაც დაადასტურა. მე სულ სხვა პრობლემები მაქვს მხედველობაში. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი, სადაც ჩვენ ვვარჯიშობთ, შაბათ-კვირაობით კი თბება ეროვნული ჩემპიონატის მატჩების დროს, მაგრამ დანარჩენ დღეებში ასეთ სიამოვნებას მოკლებული ვართ და იქ ნამდვილი საყინულეა. სანამ არ დათბება, სრული დატვირთვით ვარჯიში წარმოუდგენელია და სხვაგვარად სათამაშო ფორმის აღდგენაზე საუბარიც კი არ ღირს.

**— თქვენც ხომ არ აპირებთ გუნდიდან წასვლას?**

— ზაფხულში, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე, მქონდა რამდენიმე მიწვევა, მაგრამ „ვითაში“ დარჩენა ვამჯობინე. სეზონის ბოლომდე გუნდის გამოცვლას არ ვაპირებ და შემდეგ ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

**— თქვენ კარგად უძღვებით თამაშს და პასებიც ჩინებული გაქვთ. საჯარიმოების სროლაც გეხერხებათ, მაგრამ იშვიათად უტევთ ფარს და არც სამქულიანების სროლისას აქტიურობთ...**

— მე ყოველთვის გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ვთამაშობ და ვცდილობ, მწვრთნელის დავალება ბოლომდე შევასრულო. ჩემი, როგორც გამთამაშებლის, მოვალეობა თამაშის ორგანიზება და პასების განაწილებაა. ფარზე შეტევებისა და სამქულიანებისთვის კი „ვითას“ აგრესიული კალათბურთელებიც ჰყავს და გამოცდილი მსროლელებიც. თუ გუნდის ინტერესები მოითხოვს, შეტევაში თამაში და სამქულიანების სროლაც შემიძლია, გააჩნია მწვრთნელი რა დავლებას მაძლევს.

**— ვითელებთან საუბრისას არაერთხელ თქმულა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში გუნდის მიზანი ექვსეულში მოხვედრაა. დავიჯეროთ, რომ საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი მხოლოდ ექვსეულში მოხვედრით შემოიფარგლება?**

— მთავარია დათბეს, კარგად მოვემზადოთ და შემდეგ ვნახოთ.

**— „ვითა“ შემადგენლობის გაძლიერებას ხომ არ გეგმავს?**

— არ ვიცი. ეგ უკვე გუნდის ხელმძღვანელობის საქმეა და მე ვერაფერს გეტყვით.

**— თქვენ ხშირად იტკიებდით მუხლს და სერიოზული ოპერაციაც გაქვთ გადატანილი. ტრავმებს ამჯერადაც ხომ არ უჩივით?**

— დიდი ხანია მუხლი აღარ მაწუხებს, ოღონდ ეგ არის, რომ თსუ-სთან შეხვედრისას მცირე ტრავმა მივიღე.

**— ტრავმა სერიოზული ხომ არ არის?**

— არა მგონია. დარწმუნებული ვარ, ორ-სამ დღეში გამივლის.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# აღმოსავლეთი

## ხუთეული


**ალენ აივერსონი**
ფილადელფია
უკანა ხაზი, 1*


**ედი ჯონსი**
შარლოტი
უკანა ხაზი, 3


**ვინს კარტერი**
ტორონტო
ფორვარდი, 1


**გრანტ ჰილი**
დეტროიტი
ფორვარდი, 5


**ალონზო მურნინგი**
მაიამი
ცენტრი, 5

## სათადარიგოები


**რეი ალენი**
მილუოკი
უკანა ხაზი, 1


**ალან ჰიუსტონი**
ნიუ იორკი
უკანა ხაზი, 1


**რეჯი მილერი**
ინდიანა
უკანა ხაზი, 5


**ჯერი სტეკჰაუზი**
დეტროიტი
უკანა ხაზი, 1


**დეილ დევისი**
ინდიანა
ფორვარდი, 1


**გლენ რობინსონი**
მილუოკი
ფორვარდი, 1


**დიკემბე მუტომბო**
ატლანტა
ცენტრი, 6

# დასავლეთი

## ხუთეული


**ჯეისონ კიდი**
ფინიქსი
უკანა ხაზი, 3


**კობი ბრაიანტი**
ლეიკერსი
უკანა ხაზი, 2


**კევინ გარნეტი**
მინესოტა
ფორვარდი, 3


**ტიმ დანკანი**
სან ანტონიო
ფორვარდი, 2


**შაკილ ონილი**
ლეიკერსი
ცენტრი, 7

## სათადარიგოები


**მაიკლ ფინლი**
დალასი
უკანა ხაზი, 1


**გერი პეიტონი**
სიეტლი
უკანა ხაზი, 6


**ჯონ სტოკტონი**
იუტა
უკანა ხაზი, 10


**კარლ მელოუნი**
იუტა
ფორვარდი, 12


**რაშიდ ვოლესი**
პორტლენდი
ფორვარდი, 1


**კრის ვებერი**
საკრამენტო
ფორვარდი, 2


**დევიდ რობინსონი**
სან ანტონიო
ცენტრი, 9

*მოთამაშის გვარის შემდეგ მითითებულია მისი კლუბი, ამპლუა და ოლ სტარში მონაწილეობის რაოდენობა

## რეგულარული ჩემპიონატი

# იუინგს მეათასე ჩაუშხამეს

1 თებერვალი

**იუტა 96:104 სიეტლი**

**იუტა:** სტოქტონი (15), ჰორნაჩეკი (15), რასელი (19), მელოუნი (26 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), პოლინაისი (2); ეისლი (9), ოსტერტაგი (4), გილიამი (2), ლუისი (2), ვონი (2), კიფი

**სიეტლი:** პეიტონი (35), ბერი (8), პატერსონი (8), ბეიკერი (33), გრანტი (2); ვილიამსი (16), მაკკოი (2), ლუისი, ფოსტერი, პერსონი

„სიეტლის" ქართველი ცენტრისთვის ამ შეხვედრამაც ისევე ჩაიარა, როგორც ამ ბოლო ხანებში ჩატარებული მატჩების უმრავლესობამ. ქართველმა მთელი დრო სკამზე გაატარა და ვერ დააჭაშნიკა ცნობილი „დელტა ცენტრის" მოედანი. სამაგიეროდ, მას უმოწყალოდ ბომბავდნენ მისი თანაგუნდელები, განსაკუთრებით დრიმთიმელები — გერი პეიტონი და ვინ ბეიკერი. „სიეტლმა" მნიშვნელოვანი და ამავე დროს მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა.

„იუტა ჯაზის" გულშემატკივრებს კი თავისი გუნდისადმი უკმაყოფილება თანდათან შიშში გადაეზარდათ, რაც „სიეტლთან" საშინაო მარცხმა კიდევ უფრო გააღრმავა. ნუთუ ეს „იუტას" დასასრულის დასაწყისია? — შიშობს „ჯაზის" ერთგული ფანობა. აგერ უკვე სამი წელია, „იუტას" სამი თამაში ზედიზედ არ წაუგია. უფრო მეტიც, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „იუტა" შინ ზედიზედ ორჯერ არ დამარცხებულა. „სიეტლამდე" ჯაზმა უსახურ „ვანკუვერთანაც" ჭამა სირცხვილი საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ.

ეს შეხვედრა „სიეტლის" ლიდერის გერი პეიტონისთვის ერთგვარად ღირშესანიშნავიც იყო. გერი თავის 10-წლიან კარიერაში 750-ე მატჩს ატარებდა (ყველა „სიეტლის" რიგებში). ამასთან მან ზედიზედ 272-ე მატჩი დაიწყო სასტარტო ხუთეულში, რაც რეკორდია მოქმედ კალათბურთელებში. ეს დამატებითი სტიმული იყო გერისთვის, თუმც მას ეს არც სჭირდებოდა. იმ დღეს ხომ ლიგის ისტორიაში უძლიერესი მეპასის, ჯონ სტოქტონის წინააღმდეგ უწევდა თამაში. ამ ორი მძლავრი გამთამაშებლის მტრობა (რა თქმა უნდა, მოედანზე) მრავალი წელია, გრძელდება. ამ ბოლო ხანს პეიტონის უპირატესობა აშკარაა. ამ თამაშმაც აჩვენა, რომ სტოქტონი უკვე საკმაოდ დაბერდა იმისათვის, რომ პეიტონი დაიჭიროს. მოულოდნელად თავი არც ბეიკერმა შეირცხვინა. მოულოდნელად იმიტომ, რომ მას ხომ თვით მელოუნის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. ეს კი ხუმრობა არ გეგონოთ. ბეიკერმა აჯობა კიდეც „მეილმენს" და 33 ქულით სეზონის რეკორდიც დაიმყარა, რამაც ხელი შეუწყო მის გუნდს, ეს თამაში საკმაოდ დამაჯერებლად მოეგო.

არადა, შეხვედრის დასაწყისი სტუმართათვის მხოლოდ ცუდს თუ მოასწავებდა. „იუტა" ჩვეულებისამებრ თავიდანვე მიეძალა მომხდურს და პირველ მეოთხედში ცხრა ქულითაც აჯობა, მაგრამ ეს იყო და ეს. სტუმრებმა პირველ ნახევარშივე მოახერხეს დაწინაურება და დიდ შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობით წავიდნენ. „სიეტლი" შეხვედრის დამთავრებამდე ხუთ-ნახევარი წუთით ადრე 90:79 იგებდა. „იუტა" არ თმობდა. ჯაზმა ბოლოსაც გაიბრძოლა და 2,13 წუთით ადრე სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 95:94, თუმც მეტი ვეღარ შეძლო. „სიეტლი" ისე მსუბუქად გაიჭრა წინ, თითქოს ლიგის ერთ-ერთ ბობოლას კი არა, ვთქვათ, „გოლდენ სტეიტს" ანაც „ჩიკაგოს" ეთამაშებოდა. ჯერ ბეიკერმა ივარგა — ორი საჯარიმო და ნახტომში სროლა ჩააგდო. შემდეგ შეტევაში პეიტონმა სამქულიანი ააცილა, მაგრამ ბურთი მის გუნდს დარჩა. სათადარიგო შემონდ ვილიამსმა რთული სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები 36 წამით ადრე 102:96 დააწინაურა, რითაც საბოლოოდ გატეხა მეტოქე, თავის მწვრთნელ პოლ ვესტფოლს კი ათქმევინა, შემცდარვარ, ამ ბიჭს სათადარიგოთა სკამზე რომ ვაყურყუტებდიო.




დალასი — ფილადელფია. შონ რუქსი (მარცხნივ) ფილადელფიელ ბილი ოუენსს უფარებს

**სან ანტონიო 105:81 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (29 ქულა, 18 მოხსნა), ჯონსონი (22)

**ლეიკერსი:** ონილი (31), ბრაიანტი (19)

**კლიპერსი 76:107 გოლდენ სტეიტი**

**კლიპერსი:** ტეილორი (16)

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (24 ქულა, 12 მოხსნა), სტარქსი (20), მარშალი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**პორტლენდი 92:81 ჩიკაგო**

**პორტლენდი:** გრანტი (19)

**ჩიკაგო:** ბრენდი (22)

**ჰიუსტონი 99:83 შარლოტი**

**ჰიუსტონი:** მობლი (23), ფრენსისი (22)

**შარლოტი:** ჯონსი (20)

**დალასი 100:101 ფილადელფია**

**დალასი:** სებალოსი (26 ქულა, 13 მოხსნა), ფინლი (21)

**ფილადელფია:** აივერსონი (29), რეთლიფი (25 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**ნიუ იორკი 77:98 ორლანდო**

**ნიუ იორკი:** კემბი (23)

**ორლანდო:** ატკინსი (22)

**კლივლენდი 112:108 ვაშინგტონი**

**კლივლენდი:** კემპი (28 ქულა, 12 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** მიურეი (23), ჰამილტონი (22)

**ინდიანა 99:96 ბოსტონი**

**ინდიანა:** სმიტსი (26), როუზი (20)

**ბოსტონი:** უოლკერი (27)

„სიეტლთან" დამარცხების შემდეგ „იუტა ჯაზმა" შუა დასავლეთის დივიზიონის ლიდერობა „სან ანტონიოს" გადაულოცა, რომელმაც იმ დღეს საშინლად გაამწარა „ლეიკერსი". თავის მხრივ პირველ ადგილს შეელია „ლეიკერსი". ჩემპიონთან მარცხმა წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილში მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა — „პორტლენდის" შემდეგ.

პირველ თებერვალს გამართული თამაშებიდან ცენტრალურად სწორედ ჩემპიონი „სან ანტონიოს" და იმდროისთვის ყველას მჯობნი „ლეიკერსის" შეხვედრა მიიჩნეოდა. ყველა ფიქრობდა, რომ ისინი ერთმანეთს გააწამებდნენ, მაგრამ... ჩემპიონი ისე გაისარჯა, როგორც მას შეეფერებოდა და ნაქებ „ლეიკერსს" სულ კუდით ქვა ასროლინა. „ლეიკერსი" კი იმ დღეს მხოლოდ შაკილ ონილის იმედად იყო, რადგან სნაიპერმა გლენ რაისმა მატჩი აშკარად ჩააფლავა და სულ რაღაც ხუთი ქულით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება კობი ბრაიანტს, იმ დღეს ნამდვილად აკლდა ჩვეული ცეცხლი. ამდენად „ლეიკერსის" მთელი იმედები შაკილ ონილისკენ იყო მიმართული, მას ხომ ხან ტიმ დანკანის, ხანაც დევიდ რობინსონის წინააღმდეგ უწევდა თამაში, რომლებმაც იგი შავ დღეში ჩააგდეს. უკვე დასაწყისში მიიღო ონილმა პერსონალურები და დაცვაში შეუმჩნეველი გახდა. ვერც ტიმ დანკანის კაუჭებს დააფარა და მატჩის ბოლოს მოხსნებიც მხოლოდ შვიდი მოაგროვა. მართალია, ონილს 31 ქულა გააკეთა, მაგრამ მისი დიდი ნაწილი შაკმა მაშინ ჩააგდო, როცა გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, ცნობილი იყო. მისი მეურვე, დევიდ რობინსონი, მართალია, მხოლოდ [illegible] ქულას დასჯერდა, მაგრამ პირველ ტაიმში, როცა „ლეიკერსი" ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუშვა კალათში, იგივე ითქმის ტიმ დანკანზე, თუმც ყმაწვილმა ტიმმა მოხუც თანაგუნდელზე ორჯერ მეტი ქულის გახერხება შეძლო, თან ისე, რომ ოფლი არ მოუდენია.

ხმები დაირხა, შეშლილი დენის როდმანი „დალასში" თამაშს აპირებსო და ეს თითქმის გადაწყვეტილია. როდმანის მისვლით „დალასი" უდავოდ მოძლიერდება. მანამდე კი იგი ერთ რიგით გუნდად რჩება, რომელიც უფრო მეტს აგებს, ვიდრე იგებს. ტეხასელებს ამ სამშაბათს ხელიდან გაუფრინდათ გამარჯვება. ბოლო მეოთხედში ათ ქულას უგებდნენ აივერსონის „ფილადელფიას", მაგრამ ვერ შეიშნოვეს უპირატესობა. მატჩის დამთავრებამდე 16 წამით ადრე აივერსონმა როდმანის მომავალ გუნდს ორი საჯარიმოც ჩაუგდო და გამარჯვება ცხვირწინ ააცალა.

ნიუ იორკში ღირშესანიშნავი რამ მოხდა. „ნიუ იორკის" ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა თავისი მე-1000 თამაში ჩაატარა ლიგაში, მაგრამ ერჩივნა, ეს დღე არ გასთენებოდა — მან სულ 7 ქულა ჩააგდო. მის გუნდს კი შინაურ სარბიელ „მედისონ სკვერ გარდენში", 20 ათასი გულშემატკივრის თვალწინ, უსახურმა „ორლანდომ" მოსჭრა თავი.

მარცხიანი გამოდგა „ვაშინგტონის" ახალი მთავარი მწვრთნელის, დარელ უოლკერის დებიუტი. ჯორდანის რჩეულმა მწვრთნელმა თავისი გუნდი ურიგოდ არ ათამაშა, მაგრამ მაინც ვერ მოუგო სტუმრად არცთუ ძლიერ „კლივლენდს".

**ირაკლი ფირაშვილი**

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 2 თებერვალი

| G ჯგუფი | H ჯგუფი |
|---|---|
| ვილერბანი 76:61 პო ორტეზი | ფორტიტუდო 79:53 ულქერი |

## კვირის მოთამაშე

### დიკემბე მუტომბო

**•ატლანტა•**



გასულ კვირაში ლიგას არ ჰყოლია გამოკვეთილი მოთამაშე, თუმცა ეს ტიტული ვიღაცას ხომ უნდა რგებოდა და კვირის (24-30 იანვარი) ლაურეატის წოდება „ატლანტა ჰოქსის" ზაირელმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ ირგუნა. 218-სანტიმეტრიან აზმაზ მუტომბოს სასწაული არ ჩაუდენია, მან ისე, როგორც სჩვევია, არცთუ ბევრი ქულა ჩააგდო, მაგრამ ფარი დაიპყრო, ბურთებიც ხსნა და მეტოქეთა ბევრ სროლასაც დააფარა. „ატლანტამ" გასულ კვირაში სამი თამაშიდან ორი რომ მოიგო, ამაში ლომის წილი სწორედ მუტომბოს მიუძღვის. მისმა გუნდმა სამშაბათს „ჩიკაგო" 96:89 დაამარცხა იმ შეხვედრაში ზაირელმა 14 ქულა და 23 მოხსნა გაახერხა. მუტომბო აგრეთვე კარგად გაისარჯა „ნიუ იორკთან" 98:96 მოგებულ მატჩშიც. მან აშკარად აჯობა ნიუ იორკის ბებერ ცენტრს პატრიკ იუინგს და 18 ქულასთან ერთად 24 მოხსნასა და ოთხ დაფარებას მოუყარა თავი. საბოლოოდ ატლანტელს ამ სამ შეხვედრაში საშუალოდ 13,7 ქულა, 19.7 მოხსნა და 3,0 დაფარება დაუგროვდა, რითაც ოდნავ გააუმჯობესა სეზონის მაჩვენებლები.

დღეისთვის კვირის რჩეულს სეზონში საშუალოდ 14,5 მოხსნა აქვს და იგი სათავეში უდგას ლიგის მომხსნელთა სიას, გარდა ამისა, 3,3 მოხსნით მესამეა ლიგაში, თამაშიდან სროლების ჩაგდებების 58,9 პროცენტით კი — მეორე.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მაიამი | 27 | 16 | 62,8 |
| ნიუ იორკი | 26 | 17 | 60,5 |
| ფილადელფია | 25 | 20 | 55,6 |
| ბოსტონი | 20 | 24 | 45,5 |
| ორლანდო | 21 | 26 | 44,7 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 27 | 38,6 |
| ვაშინგტონი | 14 | 31 | 31,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 29 | 15 | 65,9 |
| შარლოტი | 24 | 19 | 55,8 |
| ტორონტო | 24 | 19 | 55,8 |
| მილუოკი | 25 | 20 | 55,6 |
| დეტროიტი | 22 | 22 | 50,0 |
| კლივლენდი | 19 | 26 | 42,2 |
| ატლანტა | 16 | 26 | 38,1 |
| ჩიკაგო | 8 | 34 | 19,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 29 | 16 | 64,4 |
| იუტა | 27 | 16 | 62,8 |
| მინესოტა | 25 | 17 | 59,5 |
| დენვერი | 20 | 22 | 47,6 |
| ჰიუსტონი | 18 | 27 | 40,0 |
| დალასი | 17 | 27 | 38,6 |
| ვანკუვერი | 12 | 31 | 27,9 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 34 | 10 | 77,3 |
| ლეიკერსი | 34 | 11 | 75,6 |
| სიეტლი | 29 | 17 | 63,0 |
| საკრამენტო | 27 | 16 | 62,8 |
| ფინიქსი | 25 | 18 | 58,1 |
| კლიპერსი | 11 | 33 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 32 | 23,8 |

## იანვრის საუკეთესო

### კევინ გარნეტი

**•მინესოტა•**



იანვრის საუკეთესო მოთამაშედ ლიგამ „მინესოტა ტიმბერვულვზის" თავდამსხმელი კევინ გარნეტი დაასახელა. გასულ თვეში გარნეტი მართლაც ყველას სჯობდა და ალალად დაიმსახურა პირველობა. მის აღიარებას ხელი „მინესოტას" შედეგიანმა თამაშმაც შეუწყო. გარნეტის წინამძღოლობით „მგლებმა" თხუთმეტი შეხვედრიდან თორმეტში იმარჯვეს, რაც იანვარში ლიგის საუკეთესო შედეგია, ამასთან „მგლებმა" სტუმრად ჩატარებული შვიდი მატჩიდან ექვსში დაჩაგრეს მასპინძლები. „ტიმბევრვულვზმა" თვის განმავლობაში ბევრი ბობოლა გუნდი გაამწარა ძირითადად სწორედ გარნეტის თავგამოდების წყალობით. თვითონ ლაურეატმა პირად ორთაბრძოლებში აჯობა მასზე გამოცდილ და ჯანიან თავდამსხმელებს, იუტელ კარლ მელოუნს და „საკრამენტოს" ლიდერ კრის ვებერს, რომელიც წლეულს ბრწყინვალე ფორმაშია და საუკეთესო სეზონსაც ატარებს. გარნეტმა განსაკუთრებით 17 იანვარს ინდიანასთან 101:100 მოგებულ შეხვედრაში გაიბრწყინა და კარიერის რეკორდიც დაიმყარა 31 ქულით, რასაც 13 მოხსნა და 7 პასიც დაურთო. სულ მას იანვარში ჩატარებულ 15 შეხვედრაში საშუალოდ 25,8 ქულა, 10,5 მოხსნა და 4,9 პასი მოუგროვდა. ამჟამად გარნეტი 23,2 ქულით მეცხრე ადგილზეა ბომბარდირთა სიაში და 120 მოხსნით მეოთხე მომხსნელთა შორის.

გარნეტს გარჯა სხვა მხრივაც დაუფასდა. კალათბურთელის ლაღი თამაშით მოხიბლულმა გულშემატკივარმა იგი „ოლ სტარის" დასავლეთის გუნდის სასტარტო ხუთეულში აირჩია, ამასთან გამოკითხვაში ამ ამპლუის ყველა ვარსკვლავს, მათ შორის ტიმ დანკანსა და კარლ მელოუნს ამჯობინა.

გარნეტს ტიტული ვერ წაართვეს მოცილეებმა — ალონზო მურნინგმა (მაიამი), გერი პეიტონმა (სიეტლი) და ანტუან ჯეიმისონმა (გოლდენ სტეიტი).

გარნეტის „მინესოტამ" რომ იანვარი მშვენივრად განვლო, იქიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ თვის საუკეთესო მწვრთნელად სწორედ ამ გუნდის დამრიგებელი ფლიპ სანდერსი დაასახელს. სანდერსს სულ ორი კონკურენტი ჰყავდა — „ნიუ იორკის" ჯეფ ვან განდი და ჩვენებური სტეფანიას „სიეტლის" თავკაცი პოლ ვესტფოლი.

# სუპერბოულის შემდეგ

ბლუზის სამშობლო, სამხრეთი, მისურის შტატი, ჯადოსნური და მოღიღინე ქალაქი სენტ-ლუისი... დღეს აქ დიდ საბურთაო გამარჯვებას ზეიმობენ. აქაურმა „რემზმა“ ოცდამეთოთხმეტე სუპერბოულში დაამარცხა „ტენესი ტიტანზი“ და ეროფეი აღმართა. გუნდის გამარჯვებას ერთი სევდიანი, მაგრამ მოხდენილი ამბავიც მოჰყვა: „რემთა“ მრავალნაცადმა მწვრთნელმა დიკ ვერმეილმა თავისი გადადგომის შესახებ ამცნო ჟურნალისტებს. ასეა, როცა ოცნება ასრულდება ხოლმე. და მაინც ბედნიერ დიკს ვინს ლომბარდის სახელობის თასი აღუმართავს და ასე ემშვიდობება საზოგადოებას.

სუპერბოულის ალაგას, ატლანტაში კი, იქაური საქალაქო სასამართლო წინასწარ დაკითხვაზე უხმობს „ბალტიმორ რევენზის“ მოთამაშე რეი ლუისს. სუპერბოულის გასრულებიდან ორიოდ საათის შემდეგ ატლანტაში ორი კაცი მოუკლავთ და ერთ-ერთ ეჭვმიტანილად ლუისი ჩანს. თუმცა, მისი ვექილი აცხადებს, ლუისი მხოლოდ შემთხვევითი შემსწრეა ამ საშინელი ამბისა და მკვლელობის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდაო.





REUTERS



მარსელი — რენი 1:1. რენელმა შაბანი ნონდამ (№14) მარსელელ სირილ პუქეს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

## ინგლისი

გადადებული მატჩი

**შეფილდ უენსდი 0:1 მანჩესტერი**

0:1 შერინგემი (73)

ლიგის თასი.

ნახევარფინალი. I მატჩი

**ლესტერი 1:0 ასტონ ვილა**

## ჰოლანდია

XIX ტური

**ტვენტე 4:1 ალკმარი**

0:1 რიკსენი (19), 1:1 გრუიჩი (43), 2:1 პეირემანსი (69), 3:1 დე ვიტე (79), 4:1 ვანეგოო ოფ ჰესელინკი (90)

**კამბური 0:0 ნაიმეგენი**

**ჰერენვენი 1:1 აიაქსი**

1:0 ლიურლინგი (38), 1:1 მახლასი (42)

**ვიტესი 3:1 გრააფსხაპი**

1:0 იოხემსენი (44), 2:0 ლაროსი (56), 2:1 ტუმბა (70), 3:1 დიარა (82)

**ვალვაიკი 1:0 ტილბურგი**

1:0 პეტროვი (25)

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**დანდი იუნ. 0:4 რეინჯერსი**

ლიგის თასის მეოთხედფინალი

გადათამაშება

**კილმარნოკი 1:0 ჰართსი**

## ესპანეთი

თასის მერვედფინალი.

II წრე

**სელტა 0:1 *ესპანიოლი* (1:2)**

0:1 სერანო (90)

**ვილიარეალი 3:0 (პენ.2:4) *კომპოსტელა* (0:3)**

1:0 კანია (64), 2:0, 3:0 მოიზესი (69პ, 90)

***ატლეტიკო* 2:0 რეალ უნიონი (3:0)**

***ბარსელონა* 0:0 ორენსე (2:1)**

**დეპორტივო 0:1 *ოსასუნა* (0:1)**

**ოვიედო 0:0 *მერიდა* (0:1)**

***რაიო ვალეკანო* 3:1 ლეიდა (3:2)**

## საფრანგეთი

XXIV ტური

**მარსელი 1:1 რენი**

1:0 პუქე (24), 1:1 ნონდა (87)

**ნანსი 1:2 ტრუა**

1:0 ზე ალსინო (28), 1:1 ჯუკიჩი (43პ), 1:2 მანდი (69)

**სენტ ეტიენი 0:2 ლანსი**

0:1 საკო (9), 0:2 მორეირა (90)

**სედანი 2:1 მონპელიე**

1:0, 2:0 დი როკო (1პ, 3), 2:1 მაულიდა (82პ)

**სტრასბური 4:2 ლიონი**

1:0 ლუინდულა (33), 2:0 ლავილი (47ს.კ.), 3:0, 4:0 ლუინდულა (68, 76), 4:1 ანდერსონი (79), 4:2 კანუტე (80)

**ნანტი 1:3 მეცი**

0:1 საა (9), 1:1 და როშა (42), 1:2 ბატიკლი (45), 1:3 კარიერი (67ს.კ.)

**ლე ავრი 2:2 ბასტია**

1:0 ბეზელენი (19), 1:1 ჟურიეტი (31), 2:1 გრაველენი (46), 2:2 ლორანი (68)

### II დივიზიონი

25-ე ტური. ლილი — ტულუზი 2:0; ლორიანი — ლე მანი 0:0; ვალანსი — კაენი 0:0; კანი — კრეტეი 1:0; ლავალი — აიაჩო 1:0; ამიენი — ლუანი 1:1; გენგამი — შატორუ 3:2; სოშო — ვასკეალი 2:1; ნიმი — ნიცა 1:1; გენიონი — ნიორი 2:2

## ბელგია

თასის მეოთხედფინალი

**აალსტი 4:1 ბეერსხოტი**

## თურქეთი

გადადებული მატჩი

**ვანი 1:0 გიოსთეფე**

თასის მეოთხედფინალი

**ანკარა 7:0 ნაზილი**

**ანთალია 3:1 დარდანელი**

**ბურსა 1:0 გაზიანთეფი**

**ტრაბზონი 1:2 გალათასარაი**

## აფრიკის თასი

**სამხრეთ აფრიკა 1:1 ალჟირი**

**გაბონი 0:0 კონგოს დრ**



# რონალდოს ელჩობა

რონალდო აღარ თამაშობს. აპრილამდე ვერაფრით დაეხმარება „ინტერს“. სამაგიეროდ, შეუძლია მსოფლიო საზოგადოებას დაეხმაროს. ჟენევაში ჩასული რონალდო გაეროს ერთ-ერთი პროგრამის აქტივისტი შეიქნა და ამ პროგრამის ადმინისტრატორ მარკ მელოხ ბრაუნისგან შესაბამისი რწმუნებაც მიიღო. ამიერიდან რონალდო გაეროს კეთილი ნების ელჩი იქნება და სიღარიბის წინააღმდეგ იბრძოლებს.

# ოლ სტარის კვირა

ამ თვეს თებერვალს ტორონტოში ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთდაგვარად საიუბილეო, ორმოცდამეათე „ოლ სტარი“ გაიმართება. ჰოკეის დიდი შოუს წინასწარი სანახაობანი ხვალიდანვე დაიწყება. სამუზეუმო ამბავიც მზადაა. კანადელებს რომ ჰოკეი უყვართ, არა მხოლოდ დღევანდელობის ამბავია, არამედ წარსულისაც. აგე, დიდების დარბაზის გამოფენა...



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაб ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli